

აკაკი წერეთლის
დაბადებიდან

180

წლისთავისადმი
მიძღვნილი

სამეცნიერო შრომების
ჩრებული



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**აკაკი წერეთლის დაბადებიდან
180 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო შრომების
კრებული**



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

რედაქტორები:

პროფესორი ლადო მინაშვილი

ასისტენტ პროფესორი ლევან ბებურიშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN 978-9941-13-955-0

ს ა რ ჩ ე ვ ი C o n t e n t s

გია არგანაშვილი „ფარული კონფლიქტი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“ 5 Gia Arganashvili Hidden Conflict in Akaki Tsereteli's Poem <i>Gamzrdeli</i> 15
ხათუნა ბასილაშვილი საბჭოთა და პოსტკოლონიური პერიოდის მთარგმნელობითი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა და ქართული თარგმანის თანამედროვე პრობლემები..... 16 Khatuna Basilashvili A brief overview of the translation activities of the Soviet and postcolonial era and the modern challenges of Georgian translation..... 30
ლევან ბებურიშვილი გრიგოლ ორბელიანის ერთი ტაეპის შესახებ („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“) 31 Levan Beburishvili About the one line of Grigol Orbeliani ("The gold chain is better than freedom!")..... 39
ნანა გაფრინდაშვილი ციტატური რემინისცენცია, როგორც მხატვრული ტექსტის ელემენტი 40 Nana Gaprindashvili Citation Reminiscence as an Element of a Fictional Text..... 49
ნანა გონჯილაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის..... 51 Nana Gonjilashvili, Ekaterine Navrozashvili On the History of Translation of Mirza Fatali Akhundzade's Play..... 61
ანა დოლიძე კავკასიის ომის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობის წარმოჩენა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში 62 Ana Dolidze Representation of the symbolic-allegorical significance of the Caucasus war in the work of Akaki Tsereteli..... 66

მაია იანტბელიძე ვაჟა-ფშაველა, როგორც ფოლკლორისტი (ეთნოგრაფიული წერილები).....	67
Maia Iantbelidze Vazha-Pshavela as a folcklorist (Ethnographycal letters).....	76
ლადო მინაშვილი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურული ურთიერთმიმართების შესახებ	77
Lado Minashvili About the literary relations between Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli	88
მარიამ მირესაშვილი წერილი, როგორც ლიტერატურული ეპოქის დოკუმენტი	89
Mariam Miresashvili Letter as a document of the Literary era	98
მაია ნაჭყებია ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებების ტრადიცია ლიტერატურაში (ზოგიერთი ასპექტი).....	99
Maia Nachkebia Tradition of Christian and Democratic Values in Literature (Some Aspects).....	104
ინგა სანიკიძე XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე	105
Inga Sanikidze 19th Century Georgian Lexicography on the Example of Kote Kipiani's Works.....	112
თამარ შარაბიძე იყო თუ არა აკაკი მეორე დასის წარმომადგენელი?.....	114
Tamar Sharabidze Was Akaki a member of the second troupe?	123

გია არგანაშვილი

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ფარული კონფლიქტი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“

უკანასკნელ წლებში, პოლიტიკური მიზანშეწონილობის (აფხაზეთის თემა) და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მწერლის შემოქმედების პირობით სარეიტინგო სიაში (უპირველესად კი მკითხველის თვალში) ყველაზე მაღალ ნიშნულზე მისმა პოემა „გამზრდელმა“ დაიმკვიდრა თავი.

ამ პოემისადმი ინტერესი სოციალურ ქსელშიც იგრძნობა. თუმცა ზოგიერთ მკითხველს ტექსტის მხატვრულ ღირებულებებზე მეტად სიუჟეტის ნამდვილობის ამბავი უფრო აინტერესებს და საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სწორედ ამ მიმართულებით იღრმავებს ცოდნას.

ნებისმიერ შემთხვევაში, მათი მცდელობაც მაინც პოემის უკეთ გაცნობასა და მის პოპულარობას ემსახურება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მასალის (რეალური ამბის) წინ წამოწევის ტენდენციამ შესაძლოა გარკვეულად დააზიანოს ლიტერატურულ ტექსტის მხატვრული ღირებულება და ყურადღების მიღმა დატოვოს ის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომლებიც ამ პოემაში იგრძნობა.

ჩვენი კვლევის მიზანი კი სწორედ პოემის მაღალმხატვრული დონის ჩვენება და იმის მცდელობაა, რომ ნაწარმოებში დასმული ყოფითი პრობლემების მიღმა მკითხველმა ის ფარული დაპირისპირებაც დაინახოს, რომლის არსებობა ნაწარმოებს კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს შორის უმკვიდრებს ადგილს.

მკითხველი უთუოდ დაინტერესდება, თუ რა ფარულ კონფლიქტზეა საუბარი?

ჩვენ ვფიქრობთ, ნაწარმოების მთავარი მოტივი, რომელსაც ბათუსა და საფარ-ბეგს შორის მტრობა აჩენს, მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოა იმ ღრმად დაფარული კონფლიქტის საჩვენებლად, რომელსაც ბათუსა და ჰაჯი-უსუპს შორის მსოფლმხედველური დაპირისპირებაში ინვეს.

ამის დასაბუთება კი პერსონაჟთა ხასიათის კვლევას, კლასიკურ ლიტერატურულ ტიპებთან მათი მსგავსების ჩვენებას, იდენტობის განსაზღვრას და კონკრეტული იდეისთვის მათი ქმედების მოტივაციის ახსნას ითხოვს.

მსჯელობის დროს ჩვენ დავეყრდნობით ლიტერატურული ტექსტების (აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“) შედარებითი ანალიზის მეთოდს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავიხედოთ პერსონაჟთა ხასიათში და ნაწარმოების მთავარ იდეასაც ჩავწვდეთ.

მკითხველს კი შევახსენებ, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის მსგავსება თავიდანვე შენიშნა ქართულმა კრიტიკამ.

*

აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“ ისეთი მოულოდნელობით იჭრება პერსონაჟთა შორის ღრმა და ემოციური კონფლიქტი, რომ მკითხველიც, ერთი მხრივ, ბათუს მიმართ თანაგრძნობის, ხოლო, მეორე მხრივ, საფარ-ბეგის დასჯის სურვილით ენთება და ერთგვარ იმედგაცრუებასაც კი გრძნობს, როდესაც აფხაზ ჭაბუკში შურისძიების წყურვილი ცხრება და შეურაცხყოფილი და ღირსებაშელახული ქმარი ძიძიშვილის მოქმედებაზე პასუხს გამზრდელ-მოძღვრისგან ითხოვს.

ბათუს ამ მოთხოვნის აღსრულება გარკვეულ დროს მოითხოვს და იქმნება იმის საშიშროება, რომ ტექსტში თხრობის დინამიკა შენელდეს, თუმცა ავტორი გრძნობს, რომ მკითხველის მოთმინების ძაფიც მეტისმეტადაა დაჭიმული და მხოლოდ სამართლიანობის მყისიერი აღსრულება იხსნის მას განწყვეტისაგან.

მართალია, ჰაჯი უსუბის მხრიდან დამნაშავის მიმართ გამოტანილი „სასჯელი“ ოდნავადაც კი ვერ პასუხობს ჩვენს მოლოდინს, მაგრამ პოემის ამგვარი მოულოდნელი და გაუგონარი დასასრული სულ სხვა საფიქრალს აღუძრავს მკითხველს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კლასიკური ლიტერატურისთვის ესოდენ ნაცნობ დანაშაულზე (მეგობრის ღალატი, ადათის დარღვევა) სასჯელი ტრადიციული სქემიდან ამოვარდა და ჩვენი შეფასების საზღვრებს გასცდა.

ბუნებრივია, გამზრდელის ქმედებამ ჩვენში კიდევ უფრო გაამყარა იმის განცდა, რომ ჰაჯი-უსუბი არ მხოლოდ სრულიად უდანაშაულო მსხვერპლია (ავტორიც ხომ შეეცადა მისი ბრალი გაექარწყლებინა), არამედ პოემის ტრადიციული სამკუთხედისთვისაც

ერთგვარად „ზედმეტი“ პერსონაჟია. ამ პირობებში მისი კონფლიქტის სამართლებრივ მხარედ წარმოდგენა და პოემაში არსებულ ფარულ კონფლიქტზე საუბარი სიტუაციის ოდნავ განსხვავებული კუთხით დანახვას და პერსონაჟთა ფსიქო-სოციალური პორტრეტის შექმნას მოითხოვს, რაც მის მხატვრულ ინტერპრეტაციას უნდა დაეყრდნოს.

როგორც აღვნიშნეთ, პოემის არსში გარკვევა მხოლოდ სხვა ტექსტთან შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით მიგვაჩინია შესაძლებლად და შედარების ობიექტად აქ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ გვესახება. მკითხველს კი შევახსენებ, რომ ამ ორ ტექსტს შორის მსგავსება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შენიშნეს, შემდეგ ამ საკითხს გურამ ასთიანიც ჩაუღრმავდა, ამ რამდენიმე წლის წინ კი ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ (2 იანვარი, 2013) გამოვაქვეყნე ნერილი („ორი პოეტი - ორი განდეგილი“), რომელშიც საუბარი იყო ამ ორი პოემის მსგავსებაზე და გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ სწორედ აქ გაგრძელდა (დასრულდა?) ის შემოქმედებითი „შინაური პოლემიკა“, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის, მათი ლიტერატურული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე (ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის „პოეტში“ (1860 წ.), ხოლო, მეორე მხრივ, აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების ლექსში („პოეტი“, 1986 წ.) დაიწყო.

„მკითხველს კარგად ახსოვს ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი („პოეტი“), რომელშიც ავტორმა თავისი იდეური მრწამსი და საკუთარი აზრი პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე ჩამოაყალიბა. მოგვიანებით, აკაკი წერეთელმა იმავე სახელწოდების ლექსში, ერთგვარი შეკამათების ფორმით, საგრძნობლად განსხვავებული თვალსაზრისი შესთავაზა მკითხველს. თითქოსდა ორი შემოქმედის მსოფლმხედველური სხვადასხვაობა არც უნდა გამხდარიყო სალაპარაკო, მაგრამ მკითხველმა იგრძნო, რომ ამ მოკლე პოეტური ფორმულირებების მიღმა კონკრეტული რეალობა - მიმართულება გზისა და ქვეყნის სამომავლო პერსპექტივა ისახებოდა [არგანაშვილი 2013: 86].

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მინიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“
[ჭავჭავაძე 1987: 103].

ილია ჭავჭავაძის ამ ერთ სტროფშიც კარგად ჩანს, რომ პოეტის მისეული ხატი ერის წინამძღოლის სახეს წარმოგვიდგენს და ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველის მისიას იტვირთებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი ამბიციური აზრი მეცხრამეტე საუკუნის მკითხველშიც ერთგვარ შემწყნარებლურ ღიმილს იწვევდა და ამ ირონიულმა „ღიმილმაც“ არ დააყოვნა, როდესაც აკაკი წერეთელმა თავისებურად გაიაზრა თანამოკალმის ეს პოეტური სურვილი: „საკვირველია, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს რა და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ღმერთი დამლაპარაკებოდეს!“

ხოლო იმავე სახელწოდების ლექსში თავად აკაკი წერეთელმა უფრო მეტი მოკრძალება გამოიჩინა და პოეტის დანიშნულებად ცასა და მიწას შორის უბრალო შუაკაცობა გამოაცხადა:

„თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“

[წერეთელი 1988: 303].

ამ ლიტერატურული პოლემიკის მიუხედავად, ამ ორ ლექსში გაცხადებულ მსოფლმხედველობებს შორის მსგავსება უფრო მეტი ჩანდა, ვიდრე განსხვავება. რადგან მათი მიზანი და მოწოდება საერთო იყო, მათი შემოქმედებითი გზაც მოჩვენებითად გაიყო, რათა ბოლოს ისევ ერთ ადგილზე მორკალულიყვნენ და ერთმანეთს შეხვედროდნენ, როგორც ერთგვარი ანალიზი და შეფასება მათ მიერ განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისა.

„გამზრდელისა“ (აკაკი წერეთელი) და „განდეგილის“ (ილია ჭავჭავაძე) განხილვას ჩვენ სწორედ იმ მსგავსებით დავინწყებთ, რომელიც ამ ორი პოემის მთავარ პერსონაჟებს აერთიანებს და რასაც ერთი შეხედვითაც ამჩნევს მკითხველი:

„ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი“

[წერეთელი 1960: 176].

ამის შემდეგ კი მხოლოდ სტროფის მარცვლების რაოდენობა და სარიტმო წყვილი იცვლება, სხვა მხრივ, თითქოს ერთი და იგივე პერსონაჟის დახასიათება გრძელდება, ისე ბუნებრივად ებმის ეს ორი სტროფი ერთმანეთს:

„განშორებია ამ ნუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნობა
ეშმაკის მახე და ცთუნებაა“

[ჭავჭავაძე 1987: 257].

მე მგონი, ეჭვს არ იწვევს, რომ ორივე მათგანი (ბათუ და ბერი) თავისებურად განდევნილია. ორივე მათგანი გაცილებულა ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებას. ბერი გამოქვაბულს შეხიზვნია, ბათუ – ფაცხა-მღვიმეს (ისიც გამოქვაბულია). ბერი უზენაესთან საუბრობს და ღვთის კარნახს ემორჩილება. ბათუ კი (ნაზიბროლას ფიქრში) ცასა და ქვეყანას შუამავალობს (შეუძლებელია, აქ მკითხველს კიდევ ერთხელ არ გაახსენდეს ამ ორი შემოქმედის გაცხადებული მსოფლმხედველობა).

როგორც ვხედავთ, „განდევნილის“ ბერი ცოდვილი სამყაროს შვილია და ის კაცობრივი ბუნების დათრგუნვის ფასად ეზიარება უმაღლეს ღირებულებას. ბათუს კი სწორედ პირველყოფილი ადამიანური სილალე ანიჭებს კმაყოფილებას. თუმცა მისი ეს მდგომარეობა მაინც ილუზიურია, რადგან საზოგადოების მხრიდან ცალკეული ინდივიდის მიმართ ყოველთვის მოქმედებს მიზიდულობის ძალა (ისევე როგორც მთელისა და მისი ნაწილის), რაც მუდმივ დაძაბულობას ქმნის და შინაგანი კონფლიქტის მიზეზს აჩენს.

მინდა ორი ნაწყვეტი კიდევ შევთავაზო და ამ ორ პოემას შორის კიდევ ერთ სიტუაციურ მსგავსებაზე მივანიშო მკითხველს. მოსალოდნელი საფრთხის წინ ბუნების მრისხანება ისეთ უეჭველს ხდის მათ შორის კავშირს, რომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ერთ-ერთი ავტორის მხრიდან სრულიად შეგნებულ ქმედებასთან გვაქვს საქმე. ვინაიდან აკაკი წერეთელმა მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ გამოაქვეყნა ეს პოემა, სავარაუდოდ, სწორედ მან გამოიყენა ეს მსგავსება, როგორც ლიტერატურული ხერხი, რითაც ნაწარმოების ნაკითხვის ახალი სტრატეგია და განსხვავებული ხედვის კუთხე შესთავაზა მკითხველს:

„დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭეჭა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭეჭით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭეჭა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, ან გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, -
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა“

[ჭავჭავაძე 1987: 260].

მკითხველს ალბათ არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ გარკვეული ადამიანური საფრთხის წინ ბუნების მრისხანება მოვლენებში ღვთის ჩარევას, მის განგებულებას ადასტურებს. ამ მხრივ, ორივე ლიტერატურული ტექსტი ბიბლიურ სქემას ეყრდნობა.

„ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!...
ცა მრისხანებს, ელვა-ჭეჭამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!...
ქარი ზუის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.
თითქოს მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!“

[წერეთელი 1960: 178]

ბუნების ასეთი მრისხანების ჟამს საფრთხე ორივე „განდგინილს“ ერთნაირად ემუქრება. აფხაზ ჭაბუკს („აკაკი წერეთელი

„გამზრდელი“) ძიძიშვილის, ხოლო ბერს (ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“) ლამაზი ქალის სახით.

მწყემს ქალს (ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“) ბერში არსებული წინააღმდეგობის გამჟღავნების ფუნქცია აკისრია (ამიტომ ქალს სახელიც არა აქვს). ბერის დაცემის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მასშია და ტექსტში დახატული შემადრწუნებელი გარემოც ადამიანის სულიერი სამყაროს ნგრევის მაუწყებელ საგანგაშო ხმაურად ისმის.

რაც შეეხება ბათუს (აკაკი წერეთლის „გამზრდელი“), ჩვენ ვიცით, რომ ძიძიშვილის სტუმრობა მისთვისაც არანაკლებ საფრთხისშემცველი აღმოჩნდა და აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ ვერ იგრძნო ბათუმ ეს საშიშროება, რატომ დაუშვა მოსალოდნელი უბედურება აფხაზმა ჭაბუკმა ?!

პოემის ტექსტში თავიდანვე იგრძნობა, რომ ბათუმ ცალმხრივად განსაჯა საფარ-ბეგის საქციელი. ვერ გააცნობიერა, რომ მას შემდეგ, რაც ძიძიშვილმა უკუღმართი საქმე (ქურდობა) იკისრა, ის აღარ იყო მისი სულიერი ძმა და მოყვასი, რომლის ნდობაც შეიძლებოდა... მაგრამ ბათუ არა თუ ხელს უმართავს მას ცუდ საქმეში, არამედ ამ უკადრებელი საქმის აღსრულებას თვითონვე იკისრებს. გამართლებასაც უძებნის საფარ-ბეგის საქციელს და ამის მიზეზად სიყვარულს ასახელებს.

ტექსტში თითქოს უცნაურად და უპირობოდ არის გაიდვალებული ქალისადმი სიყვარული თუ გატაცება. თუმცა ეს სრულიად ბუნებრივია. ბათუ, თავისი მსოფლმხედველობით და ცხოვრების წესით, იმდენად ახლოს დგას „პირველ ადამიანთან“, არ გვიკვირს, თუ მასში მცნებებზე მეტად თავისუფალი ადამიანის ინსტინქტი უფრო მუშაობს.

მომხდარი ტრაგედიის შემდეგ კი ბათუ თავზარდაცემულია და ფიქრობს ამ ყოველივეს ლოგიკური ახსნა მოუძებნოს:

„ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა, ტყვილად ბედს
რას უჩივი, რით ემდური?“

[წერეთელი 1960: 184]

მისი ბრალდება ღვთის მიმართ („ღვთის რისხვა“) აშკარად უმოტივაციო, თუმცა ლოგიკურია, რადგან ბათუ („ძველი დღის ადამიანი) დამნაშავეს, ბერისგან (ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ განსხვავებით) ის საკუთარი თავის „გარეთ“ ეძებს.

მართლაც, იმ განსაცდელში, რომელიც ბათუს ოჯახს დაატყდა თავს, მთავარი დამნაშავე საფარ-ბეგია. აქ მკითხველსაც კი უჭირს პასუხისმგებლობის ბათუზე გადანანილება და მასთან ერთად უღრმავდება საფარ-ბეგის ცოდვის პირველმიზეზს.

ბათუ იცნობს საფარ-ბეგის ცხოვრების ერთ ნაწილს, რომელიც მან ბათუსთან ერთად გაატარა (სავარაუდოდ, ეს ბავშვობაა), ეს ძიძიშვილის ცხოვრების ის ნაწილია, რომელსაც ბათუ ენდობა, მაგრამ რჩება საფარ-ბეგის ცხოვრების მეორე პერიოდი, რომელიც მან საზოგადოებაში გაატარა და რომელმაც უმტყუნა ახალგაზრდა აფხაზს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ბათუს (მასთან ერთად მკითხველის) ბრალდება საზოგადოებასაც მიემართება, უფრო სწორედ კი ჰაჯი-უსუბს - გამზრდელს, რომელიც, ბათუს აზრით, პასუხისმგებელი იყო საფარ-ბეგის ცხოვრების იმ ნაწილზე, ბათუს გარეშე რომ გაატარა.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბათუ, რომელმაც მთებში თავისუფალი ადამიანის ცხოვრებით, რჯულის გარეშე იცხოვრა, სწორედ რჯულის (რელიგია აქ პირობითია) ქმედითობამ და მასზე დაყრდნობილმა აღზრდის სისტემამ დააეჭვა.

(მივაქციოთ ყურადღება, რომ აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ის წინააღმდეგობა, რომელიც „ორი პოეტის“ მსოფლმხედველობაში არსებობს).

მას შემდეგ, რაც ბათუმ „მიაგნო“ საფარ-ბეგის დანაშაულის მიზეზს, მან თითქოს შეუნდო ძიძიშვილს საქციელი და გამზრდელთან გააგზავნა. საფარ-ბეგი ჰაჯი-უსუბთანაც ადასტურებს, შეცოდება მაპატიო. თუმცა საკითხავია რამდენად გულისხმობდა აღმზრდელთან გაგზავნა პატიებას?

„პატიებაა, როდესაც ადამიანი ადამიანს შეუნდობს და რაღაცა მიზეზით ხელს იღებს შურისძიებაზე. თუმცა, ადამიანს მაინც არა აქვს ნება უმაღლესი მსაჯულის გადანყვეტილება შეცვალოს. ამიტომ პატიება უზუნაეს სამსჯავროზე გადაცემასაც გულისხმობს. ისე, როგორც მოძღვარმა შეუნდო გაბრიელს („გლახის ნაამბობი“ – ილია ჭავჭავაძე): „აქ მე შემინდვია და იქ ღმერთმა იცისო“. ბათუმ

საფარ-ბეგი ჰაჯი-უსუბთან გააგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ჰაჯი-უსუბი მოძღვარი და სასულიერო პირია, ის მაინც არ ჩაითვლება უმაღლეს მსაჯულად, რადგან ის არ არის ღმერთი, რადგან მას თავის მოკვლაც შეუძლია...“ [არგანაშვილი 2013: 88]

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ბათუმ თავიდან აიცილა კაცის-კვლის ცოდვა, რადგან ტრადიცია და ადათი არ აძლევდა საფარ-ბეგის მოკვლის უფლებას და შურისძიების მახვილი მოძღვარს გადასცა.

ბათუ თავისუფალი ადამიანის მსოფლმხედველობით დაუპირისპირდა ჰაჯი-უსუბის აღმზრდელობით რელიგიურ სისტემას და ერთგვარი აკრძალული ხერხით, თითქოს დაანგრია კიდეც ის.

თუ განვაზოგადებთ, ეს ბათუსა (აკაკი წერეთელი „გამზრდელი“) და განდევნილი ბერის (ილია ჭავჭავაძის „განდევნილი“) მარადიული დაპირისპირებაა, რამაც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მთელი სიმძაფრით იჩინა თავი.

აქ თავისუფალი ადამიანი „რჯულის ადამიანს“ უპირისპირდება. ეს „ძველი“ და „ახალი ადამიანის“ მარადიული კონფლიქტია. ჰაჯი-უსუბის აღმსარებლობა, ამ შემთხვევაში, იმდენად პირობითია, რომ მის პერსონაჟს ნებისმიერი მორწმუნე, ამ შემთხვევაში თუნდაც „განდევნილის“ (ილია ჭავჭავაძე) ბერიც წარმატებით ჩაანაცვლებდა.

ფაქტობრივად, ეს ბათუს („გამზრდელი“ - აკაკი წერეთელი) და ბერის („განდევნილი“ - ილია ჭავჭავაძე) დაპირისპირებაა.

ამდენად, როდესაც ბათუ საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბთან აგზავნის, ამით ერთგვარ შეტყობინებასაც უგზავნის მას და მომხდარზე პასუხისმგებლობის აღებას ავალდებულებს. ბათუ და ჰაჯი-უსუბი „ერთ ენაზე“ საუბრობდნენ, საფარს არ შეეძლო ამ „შეტყობინების“ წაკითხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის არ ნავიდოდა ყაბარდოში. ახლა კი სრულიად დანდობილად მიდის გამზრდელთან, რადგან დარწმუნებულია, რომ თავისი უღირს საქციელს ის საკუთარი სისხლით გამოისყიდის.

უსაფუძვლოა იმის მტკიცება (ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით), რომ ბათუ საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბთან დანაშაულის გაცნობიერების მიზნით აგზავნის. ამით მან დამნაშავეში სინანულის გრძნობა უნდა აღძრას. თუმცა ჩვენ ვხედავთ (მკითხველიც დარწმუნებულია ამაში), რომ საფარ-ბეგს გულწრფელი სინანული ბათუს მიერ მისი მხილებისთანავე აღედრა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საფარ-ბეგი მორ-

ჩილად მიდის ყაბარდოში, რათა თავისი დანაშაულისთვის დამსახურებული სასჯელი მიიღოს.

გამზრდელი კი ზუსტად „კითხულობს“ ბათუს ქარაგმულ შეტყობინებას. და სიტყვებით - „მესმის, მესმის...“ ჰაჯი-უსუბი სწორედ ის აზრს ადასტურებს, რომ მან ბათუს ნათქვამი სწორად გაიგო. ამ მომენტიდან კი საფარ-ბეგმა სრულიად დაკარგა სიტუაციის შეფასების უნარი, რადგან მაშინაც კი, როცა ჰაჯი უსუბმა დამბაჩა ამოიღო, ის ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ გამზრდელის სამიზნე თვითონ გახდებოდა...

აქ თითქოს ავტორსაც სურს, რომ ჰაჯი-უსუბს პასუხისმგებლობა აეცილებინა:

„მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა“

[წერეთელი 1960: 189].

დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ან გამზრდელს უნდა მოეკლა გაზრდილი (ეს უფრო დასაშვებია), ან... არა, ამგვარ დასასრულს ავტორიც კი ვერ წარმოიდგენდა...

აქ უკვე ცხადად გამოიკვეთა პოემაში არსებული ფარული კონფლიქტი - ჰაჯი-უსუბი ჩვენ თვალწინ, თვალსა და ხელს შუა ისე გაიზარდა, რომ ავტორის ნებას აღარ დაემორჩილა და „დამოუკიდებელი“ ნაბიჯი გადადგა.

(შეგახსენებთ, რომ პერსონაჟთა ამგვარი თვითნებობა, როდესაც ისინი ავტორის ნებას აღარ ემორჩილებიან, იშვიათია კლასიკურ ლიტერატურაში და ერთ-ერთ ამგვარ (მდიდარი წარმოსახვის ნაყოფი) შემთხვევას ჩვენ სწორედ „გამზრდელში“ ვხვდებით).

ჰაჯი უსუბი კარგად ხვდებოდა, რომ ბათუს დანაშაულზე გაცემულ მის პასუხს იმგვარი ექო უნდა გამოეცა, რომ მისი ხმა ყაბარდოდან აფხაზეთს მისწვდენოდა.

კავკასიის მთებში, სადაც სისხლი ყოველთვის წყალივით იღვრებოდა, ასეთი რეზონანსი მხოლოდ გამზრდელის თვითმკვლელობას თუ ექნებოდა.

ბათუსთვის კი, რომელიც არ იზიარებდა სინანულით დანაშაულის გამოსყიდვის შესაძლებლობას, მხოლოდ სისხლით დამონმებული პასუხი თუ იქნებოდა ყველაზე სანდო საბუთი მოძღვრის მხრიდან აღებული პასუხისმგებლობისა.

ამ გადაწყვეტილებით ჰაკი-უსუბმა ნერტილი დაუსვა, ერთი მხრივ, ბათუს ავანტიურისტულ ქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამუდამო სინანულისთვის განირა საფარ-ბეგი.

ეს იყო იმ „შინაური კონფლიქტის“ დასასრულიც, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ლიტერატურაში იჩინა თავი.

*

ავტორის შენიშვნა:

სტატიის ფინალში (მე-9-მე-10 გვ.) მტკიცებულებათა ის ლოგიკური ხაზი გამოვიყენე, რომელიც ამავე თემაზე შექმნილ ნერილში „ორი პოეტი - ორი განდეგილი“ ჩემი მსჯელობა ეყრდნობოდა (გამოყენებულ ლიტერატურაში ეს ნერილი მითითებულია). თუმცა, ვინაიდან ტექსტის ზუსტი ციტირება არ მომხდარა, საჭიროდ არ მივიჩნიე მისი ბრწყალეებში ჩასმა და შესაბამისი გვერდის მითითება.

ლიტერატურა:

არგანაშვილი 2013: არგანაშვილი გ. „ორი პოეტი - ორი განდეგილი“, ჟ. „ახალი საუნჯე“, 1, 2013;

წერეთელი 1990: წერეთელი ა. თხზულებანი, ტომი I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988;

წერეთელი 1960: ჩვენი საუნჯე (აკაკი წერეთელი), თბილისი, „ნაკადული“, 1960;

ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, ტომი 1, თბილისი, „მეცნიერება“, 1987.

Gia Arganashvili

Hidden Conflict in Akaki Tsereteli's Poem *Gamzrdeli*

S u m m a r y

In recent years, taking into consideration political expediency (Abkhazian theme) and public interest, of Akaki Tsereteli's literary heritage his poem *Gamzrdeli* (the Tutor) has established itself as highly rated in the conventional ranked list of the writer's works (primarily with a reader's eye).

The interest in this poem is expressed felt in social network. However, some readers are more fascinated in the actual reality of the plot than artistic value of the text, and in order to satisfy their own curiosity, they deepen their knowledge in this direction.

In any case, their attempt serves to better familiarization with the poem and its popularization. Although it should also be noted that in a work of

fiction, the tendency to bring to the fore the true story can to some extent harm the artistic value of the literary text and neglect those universal problems that are shown in this poem.

The goal of our study is to display the high artistic level of the work and an attempt to make the reader see the hidden controversy beyond the everyday problems posed in the poem, the existence of which ranks this poem among the best works of classic literature.

The reader will probably be interested in what kind of hidden enmity we are talking about.

I think that the main motif of the work, which gives rise to the hostility between Batu and Sapar-Beg, is just a preparatory work for demonstration of the deeply hidden conflict caused by the ideological confrontation between Batu and Haji-lusub.

During the discussion, I will rely on the method of comparative analysis of literary texts (Akaki Tsereteli's "Gamzrdeli" and Ilia Chavchavadze "Gandegili"), that helps me to gain an insight into character of the main protagonists and understand the main idea of the work.

I would like to remind the reader that the Georgian critics noticed the similarity between these two works from the very beginning.

ხათუნა ბასილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა და პოსტკოლონიური პერიოდის მთარგმნელობითი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა და ქართული თარგმანის თანამედროვე პრობლემები

თარგმნა აახლოებს ხალხებს და მათ სხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანების შემოქმედებით ნაღვანს აცნობს, რის გამოც ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესია ინტელექტუალურ საქმიანობათა შორის. მხატვრული თარგმანი, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის ერთ-ერთი უმთავრესი ფორმა და ერების მიერ მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილის გაცნობის ძირითადი საშუალება, არა მხოლოდ კულტურების დაახლოების ინსტრუმენტია, არამედ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ლიტერატურული ტენდენციებისა და ტრადიციების შექმნის ძლიერი მამოძრავებელი ძალაც.

თარგმანი ეროვნული ლიტერატურის გვერდით და მის პარარალელურად იქმნება, რის გამოც უდიდესია მისი როლი ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში. თარგმნა უფრო მეტია ვიდრე ერთ ენაზე კოდირებული ინფორმაციის მეორე ენის კოდით შეცვლა, ის უცხო განწყობილებების, ხასიათის, კულტურის, აზროვნებისა და ტრადიციების ახალ ნიადაგზე გადმოტანის საშუალებაა, რის გამოც საბჭოთა კავშირში ისიც, მთლიანი ლიტერატურული პროცესის მსგავსად, მკაცრ პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლს ექვემდებარებოდა და პროპაგანდის მძლავრი იარაღი იყო. მიზანიც იგივე ჰქონდა - კომუნიზმის იდეალების ერთგული და მისი მშენებელი ადამიანის აღზრდა. როგორც ნ. გაფრინდაშვილი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირში სათარგმნ მასალას სამი ძირითადი კრიტერიუმით არჩევდნენ: „ავტორი საბჭოთა კავშირის მეგობარი უნდა ყოფილიყო, ნაწარმოები კი რეალისტური და პროგრესული“ [გაფრინდაშვილი 2012: 211]. ამ სამი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება თარგმნას ხელს უწყობდა და ახალისებდა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ „ნებისმიერი ბინალური ლიტერატურული ურთიერთობები პოზიტიური ფაქტორია“ [გაფრინდაშვილი 2012: 212], რომელსაც სათანადოდ გამოყენება სჭირდება.

მ. გორკის მეცადინეობითა და ხელშეწყობით მთარგმნელობითი საქმიანობის პოლიტიკა საბჭოთა მანქანის ამუშავებისთანავე შეიქმნა. თავდაპირველი გეგმის თანახმად, საბჭოთა მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს უნდა გასცნობოდა, რის გამოც ჯერ კიდევ 1919 წელს ლენინის მხარდაჭერით დაარსდა გამომცემლობა „ვსემირნაია ლიტერატურა“ (1919-1927 წ.) რომლის მიერ დაბეჭდილი ნაწარმოებები პირველ ეტაპზე მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, საბჭოთა დიქტატის „სიმნიფის“ ხანაში შესვლის შემდეგ კი სათარგმნ ავტორთა შერჩევის მექანიზმი „დაიხვეწა“ და გამკაცრდა ცენზურა. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა მთარგმნელობითი საქმიანობის უმთავრეს სახასიათო შტრიხად. ყველა თარგმანი ორმაგ მკაცრ ცენზურას გადიოდა. პირველი, რა თქმა უნდა, იდეოლოგიური იყო. თარგმნის დაწყებამდე თავად ავტორსაც და ტექსტსაც მკაცრი იდეოლოგიური შემოწმებისთვის უნდა გაეძლო. ხდებოდა ტექსტის იდეოლოგიური გადამუშავება, რომლის ფარგლებშიც თარგმანი ორ ეტაპად სრულდებოდა - ჯერ პნკარედული თარგმანი კეთდებოდა, შემდეგ კი

მისი გადამუშავება ხდებოდა, სადაც ის არასასურველი პასაჟებისგან იზიარდებოდა და იდეოლოგიურად მისაღები აქცენტები კეთდებოდა. მაგ., გერმანელი მწერლის ვოლდემარ ბონზელის რომანში „ფუტკარი მია და მისი თავგადასავალი“ გამოჩნდა წყარო ტექსტში არარსებული კლასობრივ ბრძოლასთან დაკავშირებული გამონათქვამები. ასევე მოხდა ავსტრიელი მწერლის, ფელიქს ზალტენის „ბემბიში“, რომელშიც ქრისტიანული პასაჟები საბჭოთა იდეოლოგიისთვის მისაღებებით ჩაანაცვლეს.

ცენზურის მეორე ეტაპზე ადგენდნენ თარგმანის წყაროს ტექსტთან ეკვივალენტობისა და ადეკვატურობის ხარისხს. მათ განიხილავდნენ კოლეგიების სხდომებზე და საგულდაგულოდ ამუშავებდნენ, რასაც საბჭოთა კავშირში შექმნილი თარგმანის უნაკლობის მიღწევის სურვილით ხსნიდნენ.

საბჭოთა მთარგმნელობით საქმიანობას დიდწილად განსაზღვრავდა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა. „სოცრეალისტური კანონი ცნობდა და აღიარებდა მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას, ამიტომ არარეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის საბჭოთა წარმომადგენლებიც იდევნებოდნენ და არარეალისტური უცხოური ძეგლების თარგმნაც აკრძალული იყო“ [გაფრინდაშვილი 2012: 206]. მწერლებისა და მათი ნაწარმოებების ბედს ოფიციალური კრიტიკა, რიგ შემთხვევებში კი, პარტიული მუშაკების მოსაზრებები და შეხედულებები განსაზღვრავდა. განაჩენი - „ხალხისათვის გაუგებარი“ მწერლისა და მისი თხზულებისთვის ტრაგიკული იყო, რადგან, როგორც ნუსი, ასეთ შეფასებას სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკურ კანონისთვის მიუღებელი ნაწარმოებები იმსახურებდნენ, რომლებიც არ ითარგმნებოდა. საბჭოთა კავშირში არსებობდა „პროგრესული“ და „კეთილსაიმედო“ რეალისტი შემოქმედის ცნება, რომლების ნაწარმოებებსაც ენთუზიაზმით თარგმნიდნენ და მილიონობით ტირაჟით გამოსცემდნენ. „არასაიმედოები“ და „ხალხისთვის გაუგებრები“ კი, როგორადაც განსაკუთრებით მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის (მაგ. ჯოისი, კაფკა, ნაბოკოვი, კამიუ, პაუნდი) მწერლებსა და პოეტებს მოიაზრებდნენ, ამ მხრივ „იჩაგრებოდნენ“. სამაგიეროდ ითარგმნებოდა საბჭოთა მანქანის მიერ შედარებით „უნყინრად“ მიჩნეული ანტიკური (ვერგილიუსი, ჰომეროსი, და სხვ.) და ძველი ეპოქის გენიალური მწერლების ნაწარმოებები (შექსპირი, გოეთე), თუმცა, საბჭოთა ცენზურისთვის მათ შემოქმედებაშიც იყო სოცრეალისტისთვის „მიუღებელი“ ელემენტები, რომლებსაც

მკითხველს სახეცვლილი ფორმით სთავაზობდნენ - ტექსტებიდან „მავნე გამონათქვამებს“ იღებდნენ და „სასარგებლოებით“ ანაცვლებდნენ.

პარალელურად „ხალხთა მეგობრობის“ დროშის ქვეშ გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობა მიმდინარეობდა, რადგან სხვადასხვა სახელმწიფოს მექანიკური და ძალადობრივი გზით გაერთიანების შედეგად მიღებული საბჭოთა იმპერია მასში შემავალი ხალხების ერთმანეთთან დასაახლოებლად და ახალი საბჭოთა ადამიანის შესაქმნელად უკან არაფრისგან იხევდა, მიზნის მისაღწევად, სხვა მრავალთა შორის, ეროვნულ კულტურათა შერწყმას და მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობების ხელშეწყობას ცდილობდა. საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ლიტერატურული ურთიერთობების გასაღრმავებლად დიქტატურა მაქსიმალურად იყენებდა თარგმნის პოტენციალს, რომლის საშუალებითაც კავშირში შემავალ რესპუბლიკებს ერთმანეთის ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ისტორიას და კულტურას აცნობდა. საბჭოთა დიქტატის აპრობირებულ მეთოდთა შორის იყო მწერლების დელეგაციების მივლინება, რომლებსაც სხვა რესპუბლიკებში საქმიანი ვიზიტების შემდეგ ამ ხალხების ცხოვრების თავიანთ ნაწარმოებებში ასახვა ევალებოდათ. ამ თვალსაზრისით საბჭოთა მანქანა ეფექტურად მუშობდა და ყველანაირად ხელს უწყობდა მასში შემავალ ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების დამყარებას, რასაც მკვეთრად იდეოლოგიზებული ხასიათი ჰქონდა და ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა - ახალი, საბჭოთა ადამიანისა და საბჭოთა, კოლექტიური ცნობიერების შექმნას.

საბჭოთა კავშირის მთარგმნელობითი საქმიანობის სავიზიტო ბარათია 1967-1977 წლებში გამოცემული მსოფლიო ლიტერატურის 200-ტომეული, რომელსაც მასში წარმოდგენილი ნაწარმოებების ფართე სპექტრისა და თარგმანების მაღალი ხარისხის გამო საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო გადაეცა. ეს სერია ლიტერატურის განვითარების სამ პერიოდს მოიცავს - უძველესი ხანიდან დაწყებული-მე-18 საუკუნის ჩათვლით, მე-19 და მე-20 საუკუნეები, თუმცა, მე-20 საუკუნის ლიტერატურის ნიმუშებს შორის არ არის შეტანილი ისეთი ავტორების შემოქმედება, რომლებმაც ამ ეპოქის შექმნაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს: ჯეიმს ჯოისი, პრუსტი, კაფკა, ნაბოკოვი და ა. შ.

საბჭოთა დიქტატურის არსებობის პირობებში შესრულებული თარგმანების ნაწილი უმაღლესი დონის შემოქმედების ნიმუშებია, რადგან ამ ეპოქაში მრავალი ღირსეული, ნიჭიერი და მაღალკვალიფიციური მთარგმნელი საქმიანობდა, რომელთა შორისაც ის ნიჭიერი მწერლები და პოეტებიც იყვნენ, „რომელთა ორიგინალურ ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ ავტორების პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო“. [გაფრინდაშვილი 2014], თუმცა „შემთხვევითებიც“ მოიძებნებოდნენ, რომლებიც, არასრულყოფილად ფლობდნენ წყარო ენას და არც სათანადო ნიჭი და კვალიფიკაცია ჰქონდათ.

საბჭოთა კავშირი დევნიდა და კრძალავდა მოდერნისტულ ხელოვნებას ყველა ფორმით, თუმცა მთარგმნელები ასეთი დიქტატის პირობებშიც ახერხებდნენ „არაკეთილსაიმედო“ პოეტებისა თუ მწერლების ნაწარმოებების თარგმნას, რის სადემონსტრაციოდაც მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს საბჭოთა პერიოდში ეზრა პაუნდის პოეზიის თარგმნის შესახებ.

პაუნდის ნაწარმოებების პირველი თარგმანები რუსულ ენაზე ჯერ კიდევ 1910-იან წლებში გამოჩნდა, თუმცა, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო არ გაგრძელდა. პაუნდის რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელი აკმეისტი პოეტი და „პოეტთა გილდიის“ ერთ-ერთი წევრი - მიხეილ ზენკევიჩი (1886-1973) გახდა. მის თარგმანებს შორისაა: „The Garden, “A Pact”, “The Rest“. მან ესეც კი უძღვნა პაუნდს, რომელიც „ახალი ინგლისური პოეზიის ანთოლოგიაში“ უნდა შეეტანათ. თუმცა, ანთოლოგიაში შეიტანეს დიდი ნაწყვეტი ელიოტის „უნაყოფო მიწიდან“, მაგრამ მასში შესატანად გამზადებული პაუნდის ლექსები ამოიღეს, რადგან ამ დროისთვის იგი (პაუნდი) უკვე მუსოლინის მხარდამჭერად და მის მგზნებარე გულშემატკივრად იყო ქცეული, რის გამოც ზენკევიჩის ეზრა პაუნდის პოეზიის თარგმანებმა მზის სინათლე პირველად 1994 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგლა იხილა.

პაუნდის ლექსების თარგმანები საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე პირველად 1982 წელს დაიბეჭდა კრებულში „ამშ-ს პოეზია“, ცალკე კრებულად კი, სახელწოდებით - „ეზრა პაუნდის რჩეული ლექსები“ 1992 წელსლა გამოიცა.

ეს მოკლე მიმოხილვაც ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოვლინდა ინტერესი იმისადმი, რასაც თავისი ზეობის ხანაში ასე გულმოდგინედ ახშობდა საბჭოთა მანქანა. თუმ-

ცა, იმასაც შევნიშნავთ, რომ რუსულ ენაზე მოდერნისტული პოეზიის ნიმუშები მაინც გამოიცემოდა, რაც, სავარაუდოდ, ნაკარნახევი იყო დიქტატის სურვილით - საბჭოთა სახელმწიფო არ ჩამორჩენოდა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ე.წ. პოსტკოლონიურ ლიტერატურულ-კულტურულ პერიოდში ვითარება შეიცვალა, ცენზურა გაუქმდა. ასეთ დროს უცხოელი ავტორების ლიტერატურას თითქოს მკითხველთა ცხოველი ინტერესი უნდა გამოეწვია, თუმცა, მოვლენები სხვაგვარად წარიმართა, რის მიზეზადაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი და დეკოლონიზაციით გამოწვეული პრობლემები უნდა მივიჩნიოთ. დეკოლონიზაცია ძირშივე ცვლის ყოფას და ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევს. დეკოლონიზაცია გათავისუფლების პროცესთან ერთად ახალ თაობას, ახალ ადამიანს ქმნის. როგორც ფრანც ფანონი აღნიშნავს კოლონიზაცია „შიმშილის, უპურობის, უხორცობის, უფეხსაცმლობის, უნახშირობის, უშუქობის განყოფილებაა, ესაა მუხლებზე მდგომი ადამიანის პოზიცია“ [Fanon 1961: 2], გათავისუფლება კი საბჭოთა კავშირის მიერ იმპერიის საფუძველში ჩადებული ნაღმების გამო ადვილი არ აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო მტკივნეული გახადა და გაახანგრძლივა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტრავმებისა და ზოგადად კოლონიური მემკვიდრეობისგან გათავისუფლების ისედაც რთული პროცესი.

პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ მთარგმნელობითი პროცესის შესახებ საყურადღებოა ა.კოპალიანისა და ს. ბენიძის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა - „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“, რომლითაც ირკვევა, რომ 1991 წლიდან უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილი ლიტერატურის შესახებ ერთიან მონაცემებს არ ფლობს არცერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის არც სტატისკის ეროვნული სამსახური, რის გამოც განსახილველი ნაშრომების ავტორები ძირითადად პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და გამომცემლობების მიერ მონოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნიან, რომ 1991 წლიდან თარგმანები ძირითადად ოთხი ევროპული ენიდან სრულდებოდა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული. ნიშანდობლივია, რომ პოსტკოლონიური პერიოდის პირველ წლებში თარგმანები კვლავ ძირითადად რუსული ენიდან ხორციელდებოდა, რომელი ოდნავ მოგვიანებით ინ-

გლისურმა ჩაანაცვლა. მთარგმნელობითი საქმიანობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა 2005 წელს, როდესაც თარგმნილი წიგნების რაოდენობამ წელიწადში 200-ს გადააჭარბა. ყველაზე მეტმა ნათარგმნმა წიგნმა (386 ცალი) 2011 წელს იხილა მზის სინათლე. საყურადღებოა, რომ 2005 წლის შემდეგ მხატვრულმა ლიტერატურამ პროცენტულად სხვა თარგმნილ ლიტერატურას შორის პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თარგმნა ძირითადად გამომცემლობების სახსრებით ხდება, რომლებიც ერიდებიან საკუთარი რისკის ფასად ნაკლებად ცნობილი ან ისეთი ავტორების თარგმნასა და გამოცემას, რომელიც მკითხველთა მასობრივი ბაზრის დაინტერესებას არ იწვევს. წიგნების პოპულარიზაციაზეც ძირითადად გამომცემლობები ზრუნავენ, რომლებიც წიგნის წარდგენისა და მკითხველისთვის ახალი თარგმანების გაცნობის მიზნით პრეზენტაციებს მართავენ, რის შესახებაც მკითხველს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებითა და სოციალურ ქსელებით აუწყებენ.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი მთარგმნელები იშვიათად არიან თარგმანთმცოდნეები; უმრავლესობა ძირითადად წყაროების სპეციალისტია, რასაც კვლევის ავტორები თავისებურად ხსნიან - „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ ენების შემსწავლელ ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე სავალდებულო საგანია. არიან ისეთებიც, რომელთაც ფილოლოგიური განათლება არ აქვთ, მაგრამ მათი თარგმანები ფილოლოგიური განათლების მქონეთა თარგმანებს არაფრით ჩამოუვარდება, რაც როგორც განსახილველი კვლევის ავტორები ასკვნიან, იმის დასტურია, რომ „მხატვრული მთარგმნელის პროფესიის დასაუფლებლად სპეციალურ განათლებაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭი, ნაკითხობა და ფართო ზოგადი განათლებაა“ [კოპალიანი 2012: 200].

კვლევის ავტორები მთარგმნელთა გამოკითხვაზე დაყრდნობით თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორად სახელმწიფო მთარგმნელობითი პოლიტიკის არარსებობას მიიჩნევენ, რის გამოც ქართულ ლიტერატურას აკლია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ნათარგმნი, უამრავი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წიგნი.

რაც შეეხება თარგმნილი ლიტერატურის ჟანრებს, კვლევის ავტორების ცნობით, ძირითადად ითარგმნება ფენტეზი, დეტექტივი, ბულვარული რომანები, ბესტსელერები, რომლებიც მთელ მსოფ-

ლიოში და მათ შორის საქართველოშიც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალმხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქვე დავძენთ, რომ გამომცემლობები სერიოზულ ლიტერატურასაც თარგმნიან; თარგმნიან როგორც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის ასევე მოდერნიზმის შედეგებსაც. ამ ფაქტს კვლევის ავტორებიც ხაზგასმით აღნიშნავენ და ასეთ არჩევანს კონკრეტული გამომცემლობის გემოვნებითა და საგამომცემლო პოლიტიკით ხსნიან.

თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობის წინაშე არსებული გამოწვევების საინტერესო ანალიზს წარმოადგენს ნანა კობახიძის სტატია-ინტერვიუ „თარგმანის შესახებ თანამედროვე საქართველოში,“ რომელიც დღესდღეობით მიმდინარე მთარგმნელობით საქმიანობას და ქართველ მთარგმნელთა წინაშე არსებულ პრობლემებს მათი პერსპექტივიდან ხედავს.

ინტერვიუში საუბარია ისეთ საყურადღებო საკითხებზე, როგორებიცაა: თარგმანსა და საგამომცემლო საქმეში ბოლო 20 წელიწადში მიმდინარე პროცესები, მასში განხორციელებული სასიკეთოდ ძვრები და მათი გამომწვევი მიზეზები. რას ნიშნავს ქართველი მთარგმნელებისთვის „კარგი თარგმანი“, როგორ ხედავენ ისინი იმ გავლენას, რომელსაც მთარგმნელობითი საქმიანობა ახდენს ენის განვითარებაზე, თარგმანი და საავტორო უფლებები, მთარგმნელთა თაობები და ა.შ. საინტერესოა ქართველი მთარგმნელების მოსაზრებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ურთულეს ინტელექტუალურ პროცესში და საქართველოში არსებულ რეალობასთან ერთად, ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის სპეციფიკასაც კარგად იცნობენ. ჩვენ შევეცდებით მათი მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი საქმიანობისთვის სახასიათო რამდენიმე შტრიხი გამოვკვეთოთ.

ინტერნეტრესურებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ:

ა) უკანასკნელ ხანს გაიზარდა ქართული გამომცემლობების რაოდენობა და ჟანრობრივ მრავალფეროვნებასთან ერთად გაიზარდა იმ ენების რიცხვი, რომლებიდანაც ითარგმნება ლიტერატურა, ასევე გაზარდა სათარგმნ ავტორთა სია და ქვეყნები, რომლების ნაწარმოებებსაც თარგმნიან. მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართულია ყველა თაობის მთარგმნელი.

ბ) გამომცემლობები თარგმნიან არა მხოლოდ მასობრივი ბაზრისთვის განკუთვნილ ნაწარმოებებს, არამედ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკასაც და მეოცე საუკუნის ხელოვნების ნიმუშებსაც (უმბერტო ეკო - ვარდის სახელი, დიოგენე, 2014 წ., რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“, დიოგენე, 2012, კარლ გუსტავ იუნგი - „პასუხი იობს“, გამომცემლობა დიოგენე, 2016 წ, მარსელ პრუსტი - „სოდომი და გომორი“, გამომცემლობა არტანუჯი, 2015 წ. და სხვ.). საბედნიეროდ, ეს სია არცთუ მოკლე აღმოჩნდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სერიოზული ლიტერატურის თარგმნის თვალსაზრისით, გამომცემლობა „დიოგენე“ უპირობო ლიდერია, რასაც მთარგმნელი მაია ბადრიძე მისი საგამომცემლო პოლიტიკით ხსნის.

საყურადღებოდ მიგვაჩნია მ. ბადრიძის შემდეგი განცხადება: „სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მუზილის „უთვისებო კაცი“, რომელიც ურთულესი ტექსტია და გერმანულენოვან ქვეყნებშიც კი ნაკლებად ეტანებიან, საქართველოში წაიკითხეს და გარკვეულ წრეებში განხილვის თემადაც იქცა. ასევე მოულოდნელი იყო მკითხველის რეაქცია იუნგის წიგნზე – „პასუხი იობს“, რომელიც ძალიან სწრაფად გაიყიდა.“ (მ. ბადრიძე). ეს ორი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ფაქტი, ძალიან საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის ქართველი მკითხველის მაღალი ლიტერატურული გემოვნების შესახებ და მისი მხრიდან სერიოზული ლიტერატურის კითხვის მზაობაზე მეტყველებს.

ასევე საყურადღებოა მთარგმნელ დათო გაბუნias განცხადებაც, რომელიც სერიოზული ლიტერატურის თარგმნის შესახებ ამბობს: „არ მეგულება გამომცემელი (ვისთანაც პირადად მექონია ურთიერთობა), რომელიც მსგავს წინადადებას სრულიად უგულვებლყოფს. ისეც მომხდარა, გამომცემელს რჩევა ჭკუაში დასჯდომია და შეთავაზებული წიგნი წლების შემდეგ გამოუცია. ასე რომ, ბალანსი „კომერციულ“ და „ღირებულ“ ლიტერატურას შორის არსებობს.“ ეს მოსაზრება მნიშვნელოვანია, რამეთუ ის ქართველი გამომცემლების პოლიტიკის საინტერესო შტრიხს წარმოაჩენს, რომლის თანახმადაც, ისინი არ არიან დიქტატორები, რომლებიც მთარგმნელის აზრს არ იზიარებენ და კარგ და მდარე ხარისხის ლიტერატურას ერთმანეთისგან ვერ განასხვავებენ.

გ) გამომცემლობების სერიოზული ლიტერატურით დაინტერესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მთარგმნელების კვალიფიკა-

ციაც, რადგან სერიოზული ლიტერატურის თარგმნას მაღალკვალი-ფიცირებული მთარგმნელი სჭირდება, რომელსაც წყარო და სამიზ-ნე ენების ცოდნაზე მეტი მოეთხოვება. მან უნდა გასხნას ორიგი-ნალში კოდირებული ინფორმაცია და ადეკვატურად გადმოიტანოს სამიზნე ენაზე, უნდა ამოიცნოს ალუზია, წაიკითხოს ქვეტექსტი, კონცეპტი და გააცოცხლოს დედნისეული ხატი. სწორად ააჟღეროს დედნისეული სტილი, მიაგნოს ინტონაციას, იგრძნოს ტექსტის მუ-სიკა, შექმნას პერსონაჟებისა და მთხრობელის ენობრივი პორტრე-ტები, მოახდინოს სხვა კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია მიმ-ღებ ენაზე და ა.შ. ეს ყველაფერი ნებისმიერი ნაწარმოების თარ-გმნის დროს მნიშვნელოვანია, მით უფრო სერიოზული, მრავალ-პლასტიანი და მრავალპლანიანი ნაწარმოებების თარგმნისას. არ-სებობს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ევროპისთვის გუშინდე-ლი დღეა (მაგ., ფროიდი, გოტფრიდ ბენი), ქართულ ლიტერატურაში კი ამ მხრივ არაფერი არსებობს ან თუ არსებობს არასრული სახით (მაგ., კაფკა, პრუსტი და უამრავი სხვა). ასეთი მდგომარეობის მიზე-ზი, მხოლოდ გამომცემლობების პოლიტიკა არ და ვერ იქნება. მსოფლიო ლიტერატურა უკიდევანო ოკეანეა, ქართველ მთარ-გმნელთა, კვალიფიციურ და თუნდაც ნაკლებკვალიფიციურთა რაო-დენობა, კი საკმაოდ მცირერიცხოვანია, ყველაფრის თარგმნას მთარგმნელთა არაერთი თაობის შრომაც კი არ ეყოფა.

დ) ბოლო პერიოდის ქართველ მთარგმნელთა მოსაზრებების გაცნობისას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი შტრიხი გამოიკვეთა: მათ კარგად ესმით „მთარგმნელის შებოჭილობის სინდრომის“ არსი. ზოგიერთი ქართველი პრაქტიკოსი მთარგმნელი (მ. ბადრიძე, დ. გაბუნია, ქ. ქანთარია, ხ. ცხადაძე და სხვები) სრულად აცნო-ბიერებს იმ საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც თარგმნა ჰქვია. მაგ., დ. გაბუნია ამბობს: „კარგი შეიძლება ენოდოს თარგმანს, რომელიც ზედმინევნით ზუსტად მიჰყვება ორიგინალს და თავისუფალია მთარგმნელის „განსაკუთრებული ხედვით“ გამართლებული თავ-ხედობისგან. მთარგმნელს არა აქვს უფლება მოატყუოს მკითხ-ველი, რომელსაც დედნის ნაკითხვის საშუალება არა აქვს.“

მთარგმნელ ქეთევან ქანთარიას კი თარგმანის ეკვივალენტუ-რობისა და ადეკვატურობის ცნებებთან ერთად მთარგმნელის „წე-სიერების“ კონცეპტიც შემოაქვს, რაც თავისი არსით „შებოჭი-ლობის“ ტოლფასი უნდა იყოს, რადგან მისით ის გულისხმობს, რომ მთარგმნელი უხეშად არ უნდა შეიჭრას ტექსტში და სათარგმნ ენა-

ზე არ გადმოიტანოს ის, რაც იქ არ არის, ან მას მოეჩვენა, რომ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ თარგმნა ტექსტის მთარგმნელის პრიზმაში გატარებას გულისხმობს, მაგრამ „ნესიერი“ მთარგმნელი არასდროს „იძალადებს“ ტექსტზე, მუდამ უერთგულებს ინფორმაციულ პლასტს, რომლის სწორად გადმოტანის შემთხვევაში სხვა, მასზე დაშენებულ პლასტებსაც სწორად შეინარჩუნებს.

იმავე ფენომენს უმბერტო ეკოს ქართველი მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე მთარგმნელის „პასუხისმგებლობას“ უწოდებს. ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თარგმანმცოდნეობის ისეთ საბაზისო ცნებებს, როგორებიცაა: „სანდოობა“, „ერთგულება“, „სიზუსტე“; მისი აზრით მთავარია, „მთარგმნელი ლაზათიანად წერდეს ქართულად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თარგმანს. დანარჩენს მოევლება“. ალბათ, მის ასეთ განცხადებას თარგმანმცოდნეები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ, მაგრამ ჩვენ მისი თარგმანების ადეკვატურობის ხარისხზე ყურადსაღებს ვერაფერს ვიტყვით იტალიური ენის არცოდნის გამო, თუმცა, ქართულ ენაზე ისინი უდავოდ კარგად ჟღერს.

ნიკა სამუშიას აზრით კი „მთარგმნელი სტილს და ზომიერებას უნდა იცავდეს. თარგმანს უნდა ეტყობოდეს, რომ უცხოელი ავტორის ტექსტია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, თითქოს ორიგინალს კითხულობ“.

ქ. ქანთარია კი საბჭოთა კავშირის პერიოდში აღზრდილი მრავალი ადამიანი სათქმელს ამბობს, რისგანაც, სხვათა შორის, ბევრი დღემდე ვერ გათავისუფლდა: „მკითხველთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ვინც ქართულად ნაკლებს კითხულობდა – ხარისხიანი თარგმანები იშვიათობა იყო. ზუსტად ვერც იმას ვამბობ, როდის დაიწყო უკეთესობისკენ მკაფიო სვლა. ალბათ, ათი წელია (შესაძლოა ნაკლებიც) ნავსი გატყდა და მასობრივად წამოვიდა კარგი, შიგადაშიგ – ძალიან კარგი თარგმანები“. იმავე თაობას ბევრი ვეკუთვნით, ვინც ასეთი სტერეოტიპის გავლენის ქვეშ გაიზარდა: „რუსული თარგმანები ბევრად აღემატება ქართულს.“ ქ. ქანთარია ამ ფენომენს პოსტკოლონიურ პერიოდში ქართული ენის „გაცოცხლების“ სურვილით ხსნის. ეს ამ მოვლენას „საკუთარი ენის გაცოცხლების ინსტინქტს“ უწოდებს, რომელიც „შესაძლოა თავად ენის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ინსტინქტიც იყოს, რომელიც მთარგმნელს საყვარელი ტექსტის საკუთარ ენობრივ სივრცეში გადმოტანის სურვილს უჩენს.“ გასათვალისწინებელია მკითხვე-

ლის ფაქტორიც, რომლის მოთხოვნა და გემოვნება გაიზარდა და, შესაბამისად, გაჩნდა თარგმანის კრიტიკის ელემენტებიც.

როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელი ჩემი მხრიდან დავძენდი, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვნად შეიცვალა თავად გამომცემლობების პოლიტიკა და დამოკიდებულება, ისინი გაცილებით მეტი გულისყურით ეკიდებიან მხატვრული ტექსტის ქსოვილს, ქართული ენის გამართულობას, ვიდრე ეს თუნდაც საუკუნის დასაწყისში ხდებოდა. მაგ., გამომცემლობა „პალიტრა-L-მა“ თავიდან თარგმნა ჯეინ ოსტინის აღიარებული რომანი „ამპარტავნობა და ამოჩემა“, როდესაც ჩათვალა, რომ მისივე პირველი გამოცემა დღევანდელ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა და მხატვრულად ნელგამართულად ვერ ჩაითვლებოდა.

იმავე სტერეოტიპის დამსხვრევის მცდელობაა სანდრო ნავერიანის ინტერნეტსივრცე „ტაბლოგში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც იგი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნიგნის მოყვარულს ერს აქვს მშობლიურ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, ჩემი აზრით, მათგან მაინც განვსხვავდებით იმით, რომ „ქართული თარგმანები“ აპრიორი მეორე ადგილზე გვყავს დაყენებული. ხოლო, პირველი, რა თქმა უნდა, რუსულია. ჩვენ ასე გვასწავლეს, რომ სად ქართული მონტე კრისტო და სად - რუსული. ახლოსაც ვერ მივაო. ან ბალზაკი ნახეთო, ანდაც დიკენსიო... ეს სტერეოტიპია, რომელიც მართო ღმერთმა იცის როდის და როგორ ჩამოყალიბდა. ძალიან ცუდი და ძლიერი სტერეოტიპი, მის დასამსხვრევად წუთსაც არ ვკარგავთ, რადგან გვგონია, რომ არ იმსხვრევა. სინამდვილეში კი, საკმაოდ მყიფეა და მისი განადგურებაც - ადვილი, უბრალოდ, საჭიროა ცოტათი მეტი დაკვირვება და დაფიქრება.“ [ნავერიანი: ტაბლოგი]. ამ მოსაზრებას განვავრცობ და ჩემი მხრიდან დავძენ, რომ, როდესაც ჩემი მთარგმნელობითი პრაქტიკის განმავლობაში ქართული და რუსული თარგმანების შეპირისპირებაზე მომიხდა მუშაობა, ეს სტერეოტიპი წუთში დაიმსხვა; თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ უარვყოფთ, რომ რუსული ლიტერატურა ძალიან ბევრ კარგ თარგმანს იცნობს.

ე) ქართველი მთარგმნელები ერთხმად აღიარებენ თარგმანის როლს ენის განვითარების საქმეში, რადგან ეს ურთულესი ინტელექტუალური პროცესი მთარგმნელს უამრავი გამოწვევის წინაშე აყენებს. თარგმანს ისინი ენის განვითარების ერთ-ერთ შესაძლებლობად მიიჩნევენ.

ვ) ქართველი მთარგმნელების მოსაზრებებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ზემოთ თქმულის მიუხედავად, ნაკლები ყურადღება ექცევა პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მთარგმნელების თაობის აღზრდას, რადგან ფილოლოგიის ფაკულტეტებზე თარგმანი მხოლოდ რამდენიმე სემესტრის განმავლობაში ისწავლება, ისიც ძირითადად თეორიული კურსების სახით, რომლებიც პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის მცირე შესაძლებლობას იძლევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დასავლეთის გამოცდილების გაზიარება, სადაც ამ ურთულეს ხელოვნებას სპეციალური „მთარგმნელობითი სახელოსნოების“ ფარგლებში ეუფლებიან. კიდევ უფრო საყურადღებოა ისეთი მთარგმნელების სიმწირე ან, უფრო სწორედ, თითქმის არარსებობა, რომლებიც მსოფლიოს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში შექმნილ ნააზრევს გააცნობენ.

ზ) მთარგმნელები მწვავედ განიცდიან იმ ფაქტს, რომ გამომცემლობების ძალისხმევის მიუხედავად, ნაკლები დაინტერესება იგრძნობა თავად თარგმნის პროცესით. გამომცემლობების ძალისხმევის მიუხედავად, გამართონ პრეზენტაციები და იმსჯელონ ამა თუ იმ ახლად თარგმნილის წიგნის შესახებ, დისკუსიები არასაკმარისად ტარდება. როგორც მ. ბადრიძე აღნიშნავს: „მუზილის თარგმნას 7 წელი შევალიე. როდესაც ამხელა საქმეს აკეთებ, გინდა, ემოცია ვიღაცას გაუზიარო, უთხრა, რა პრობლემებს წააწყდი. ისეთი განცდა მაქვს, რომ პროფესიული ლიტერატურული ცხოვრება აქ კი არა, გერმანიაში მაქვს, რაც ძალიან რთულია.“

თ) საყურადღებოა მ. ბადრიძისეული ხედვა საბჭოთა ეპოქისა, რომელსაც იგი საბჭოთა პერიოდის რკინის ფარდისა და ჩაკეტილობის გამო „ინცესტუალურ საზოგადოებას“ უწოდებს, „რომელიც არც არაფერს გასცემდა და არც იღებდა“. მასზე მსჯელობისას იგი ჰაიდეგერის ფრაზას იშველიებს: „ჩვენთან ყოფიერებამ ვერ ილაპარაკა, რადგან არც არსებულა.“, რაც გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს მთარგმნელს, რომელიც იმ ლიტერატურის თარგმნას იწყებს, რომელსაც ქართულ ლიტერატურულ სივრცეში მანამდე არ უარსებია. როგორც ირკვევა, სწორედ ასეთ სირთულეს წააწყდა იგი იუნგის თარგმნისას, რადგან „ქართულ ენაზე ყოფიერებების ეს ფორმა არ არსებობდა.“

ი) ქართველი მთარგმნელები ასევე საუბრობენ მთარგმნელის ინტელექტუალური თუ საავტორო უფლებების პრობლემაზე, რომელიც დღეს ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. აუცილებლად უნ-

და არსებობდეს სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც მათ ამ უფლებებს დაიცავდა. თუმცა, ხ. ცხადაძის აზრით ის, რომ მთარგმნელმა გაყიდვებიდან წილი მოითხოვოს, არარეალურია. მთავარია, ჰონორარი მაინც იყოს „ღირსეული.“ აქვე დავძენთ, რომ ჰონორარი სხვადასხვა გამომცემლობისა და მთარგმნელის შემთხვევაში დიფერენცირებულია.

კ) ალბათ სასიკეთო ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გამომცემლობებმა დაიწყეს თარგმნილი ლიტერატურის სერიული გამოცემა, მაგ., გამომცემლობა დიოგენემ - დაიწყო სერია „ამერიკელებზე“ მუშაობა, რომელიც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ვერ დაასრულა. გამომცემლობა „პალიტრა-L-მა“ გამოუშვა სერია „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ,“, ასევე „ჩემი რჩეული მსოფლიო“ და სხვა. ეს მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მთარგმნელობით საქმიანობას, მისით ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას, მეორე მხრივ კი ქართველ მკითხველს მსოფლიოს ყველაზე ფასეულ ნაწარმოებებს აცნობს და ამავე დროს კარგი თარგმანის წყალობით ენის გამდიდრებას უწყობს ხელს.

ლ) ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ იმას, რაც გამომცემლობებს სერიოზული სირთულის წინაშე აყენებს - ქართული ბაზრის რაოდენობრივი სიმცირე. საქართველოში, სადაც მოსახლეობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3716 900 მილიონი იყო, რომლის მხოლოდ გარკვეულმა ნაწილმა იცის ქართული ენა და კიდევ უფრო მცირე ნაწილი კითხულობს წიგნს (მით უფრო სერიოზულს), წიგნის თარგმნა და გამოცემა ხშირ შემთხვევაში არამომგებიანი ბიზნესია. რის გამოც, ის გამოცოცხლება, რომელიც 2000-იანი წლების მთარგმნელობით საქმიანობაში იგრძნობოდა, ინფლაციის მატებასთან ერთად შენედა. მთარგმნელობითი საქმიანობა ნაკლებად ფინანსდება სახელმწიფოს, კერძო ფონდების ან მეცენატების მხრიდან, რაც ალბათ იმით აიხსენება, რომ თარგმანის, როგორც კულტურათაშორის დიალოგის, მნიშვნელობისა და როლის პოპულარიზაცია ნაკლებად ხდება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოში მნიშვნელოვნად იკლო იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც წიგნს კითხულობს. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ინტერნეტ-სივრცე სულ უფრო მეტად იკავებს წიგნის ადგილს ადამიანების ცხოვრებაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ 21-ე საუკუნის პირველივე წლებიდან ქართულ მთარგმნელობითი საქმიანობაში გამოცოცხლება იგრძნობა და ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმისადმი დამოკიდებულება იცვლება როგორც გამომცემლობების, ასევე მთარგმნელების მხრიდანაც - ქართული მთარგმნელობითი საქმიანობა უდავოდ განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

ლიტერატურა:

- გაფრინდაშვილი 2012:** გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბილისი, 2012.
- გაფრინდაშვილი 2014:** გაფრინდაშვილი ნ. 2014: სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით, ჟ. „სპეკალი“, 2014, N 8.
- გაფრინდაშვილი... 2010:** გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია - ქართული ლიტერატურის მაგალითზე, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი, თბილისი, 2010.
- კობაიძე 2014:** კობაიძე ნ. სტატია-ინტერვიუ „თარგმანის შესახებ თანამედროვე საქართველოში“, ჟ. „არილი“, 2014, -N 3.
- კოპალიანი... 2012:** კოპალიანი ა., ბენიძე ს. ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა, თბილისი, 2012.
- Fanon 1961:** Fanon F. *The Wretched of the Earth*. Translated from French by Richard Philcox. Broadway. New York, 1961.
- Probstein 2012:** Probstein I. "I have beaten out My Exile": The Perception of Ezra Pound's Poetry in Russia.
- https://www.academia.edu/36328295/EZRA_POUND_IN_THE_WORLD_I_HAVE_BEATEN_OUT_MY_EXILE_THE_PERCEPTION_OF_EZRA_POUNDS_POETRY_IN_RUSSIA

Khatuna Basilashvili

A brief overview of the translation activities of the Soviet and postcolonial era and the modern challenges of Georgian translation

S u m m a r y

The research topic of the present paper is the trends in the development of literary translation under the Soviet Union and in the post-Soviet (postcolonial) era. It explores the role of censorship and the attempts of the

Soviet Empire to, on the one hand, keep pace with the world literary processes and on the other, insulate the Soviet reader from “harmful” tendencies of modernist literature. In addition, the paper deals with the challenges facing modern Georgian translation school and the practicing translators; it discusses their individual approaches to the process of translation and the role of publishing houses in translating foreign literature as well as difficulties caused by the lack of the state policy on translation. The paper also explores the reasons determining the choice of the genres of the translated literature. It is clear that the choice, more often than not, is dictated by commercial considerations and the publishers avoid translating commercially risky books which may not be liked or understood by the mass market. Another problem facing the Georgian publishers is a relatively small Georgian market. In conclusion, the paper states that the modern Georgian translation school is undoubtedly on the rise due to the refinement of the publishers’ attitude to the translated works and the endeavours of different generations of experienced, educated and highly qualified translators who treat their work with a high sense of responsibility.

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ ორბელიანის ერთი ტაეპის შესახებ („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“)

გრიგოლ ორბელიანი საკმაოდ რთული ფიგურაა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შორის. პოეტის პიროვნებისა და მისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის საკითხზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული. მკვლევართა უმეტესება გრიგოლ ორბელიანს სახავს გაორებულ პიროვნებად, ე. წ. „მამათა“ თაობის ბელადად, რომელმაც ეროვნული ინტერესების სამსახური პირად კარიერას შესწირა. ეს საკმაოდ ვრცელი საკითხია და ამჟამად მის განხილვას არ შევუდგებით. ყურადღებას გავამახვილებთ გრიგოლ ორბელიანის მისამართით გამოთქმულ ერთ-ერთ ბრალდებაზე, სიტყვებზე, რომლებიც მის მთავარ ზნეობრივ დანაშაულად მიიჩნევა. ვგულისხმობთ ცნობილ ფრაზას

ლექსიდან „პასუხი შვილთა“: „ოქროს ჯაჭვის ჯობს თავისუფლებას!“ ლიტერატურათმცოდნეთა უდიდესი ნაწილის მოსაზრებით, ეს სიტყვები გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკურ მრწამსს გამოხატავს. მაგ. ელგუჯა მალრაძე წერს: „რისხვის ცეცხლისმფრქვეველი პოეტი თავშეუკავებლად გაიძახის: „ოქროს ჯაჭვის სჯობს თავისუფლებასო!“ ასეთ მსჯელობას საერთო არაფერი აქვს ახალი დროის სიოს ქროლასთან“ [მალრაძე 1967: 495]. კრიტიკოსთა უმრავლესობის მიერ პოეტის გამოთქმა დაახლოებით ასე განიმარტება: პოლიტიკურად რუსეთის მორჩილებაში, მონობაში ყოფნა სჯობს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რადგან იგი უფრო მომგებიანია.

მკვლევართა ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა პროფესორმა ლადო მინაშვილმა, რომელმაც თავის მეტად საგულისხმო ნაშრომში „გრიგოლ ორბელიანთან ილია ჭავჭავაძის მიმართებისათვის“, აღნიშნა, რომ ხსენებული სიტყვები არამც და არამც არ უნდა იქნას გაგებული პირდაპირი აზრით, რადგან იგი ირონიული ქვეტექსტის მქონეა და თავად შვილთა თაობას მიემართება. მეტი სიცხადისათვის მოვიტანოთ ლექსის სათანადო სტროფი:

ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ ფრაზები:
„მოყვასს – შეწვენა,
ბოროტსა – დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!..
სიტყვა – სიტყვაა,
საქმე კი – სხვაა...
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..
[ორბელიანი 1958: 71]

ლ. მინაშვილი მიუთითებს, რომ აუცილებელია, ბოლო ტაეპი არა იზოლირებულად, არამედ მთლიანი სტროფის კონტექსტში იქნას გააზრებული. ამ შემთხვევაში კი ნათლად გამოჩნდება, რომ „...მხცოვანი პოეტი სიტყვასა და საქმეს შორის დაცილებას სწორედ ახალგაზრდობას საყვედურობს – თქვენ ამჯობინეთ თავისუფლებას ოქროს ჯაჭვიო. სხვა საკითხია, რამდენად მართებულად მივიღებთ

გრ. ორბელიანის ამ საყვედურს ახალგაზრდობისადმი, მაგრამ საკუთრივ თავის თავზე ნათქვამად მიჩნევა იმისა, რასაც იგი სხვებს საყვედურობს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“ [მინაშვილი 2009: 83]. აქვე ავტორს მოაქვს გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი უახლოესი პიროვნებისა და მისი ბიოგრაფოსის იონა მეუნარგიას სიტყვები ილიას შესახებ, რომლებშიც აშკარად ჩანს გრიგოლ ორბელიანის ფრაზის ზეგავლენა. თავის „ნანახსა და გაგონილში ილიას ცხოვრებიდან“ იონა მეუნარგია წერს: „ილიამ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას თავი ანება. მარცხენა გზით რომ არაფერი გამოვიდა, ილია მარჯუნისაკენ გაემართა, „ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცვალაო“ [მეუნარგია 1937: 21]¹.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ინერციით კვლავ დომინირებს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სიტყვები - „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“ - პირდაპირი აზრით უნდა გავიგოთ და მასში გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური მრწამსია გაცხადებული. ამ შეხედულებას სადღეისოდაც იმეორებენ როგორც ცნობილი, ასევე დამწყები ავტორები.

მაგალითად, სოსო სიგუა წერს: „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“ - წერდა რუსეთის გენერალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს ერთგულებას სასჯელი მოსდევდა, ღალატსა და კომპრომისს - ჯილდო“ [სიგუა 2011: 313].

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნაშრომში „ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი“ აღნიშნავს: „გრიგოლ ორბელიანი ახალი თაობის წარმომადგენელთა ეროვნული თვალთახედვისაგან განსხვავებულ პოზიციას იცავდა და „შვილების“ მიერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალად დასახულ თავისუფლებას „ოქროს ჯაჭვს“ ანაცვალებდა“ [ნიკოლეიშვილი 2014: 277].

კიდევ უფრო სქემატურია ამ მხრივ ლევან გიგინეიშვილის მსჯელობა: „გრიგოლ ორბელიანი, რომელიც აკრიტიკებდა ილიას თაობის, თერგდალეულების თავისუფლებისაკენ მისწრაფებას, წერდა: „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა, ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“. „ოქროს ჯაჭვის“ მდგომარეობა საკმაოდ კომფორ-

¹ გრიგოლ ორბელიანის ხსენებულ სიტყვებს გაკვრით ეხება დავით წერეთლიანაც პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში. მისი აზრითაც, ამ ფრაზას ირონიული დატვირთვა აქვს: „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“ - ეს... ფრაზა, ცხადია, სარკასტულია“ - წერს კრიტიკოსი [წერეთლიანი 2014: 91].

ტულია: შენ არაფრის გადაწყვეტა არ გინევს, შენი ბედი სხვაგან, პეტერბურგში იწერება, ორგზის მირონცხებული მართლმადიდებელი იმპერატორის პალატებში“ [გიგინეიშვილი 2014: 37]. როგორც ვხედავთ, აქ გრიგოლ ორბელიანს ბრალად ედება არამხოლოდ პოლიტიკური მონობის ქადაგება, არამედ თერგდალეულთა თავისუფლებისაკენ მისწრაფების დაგმობაც.

როსტომ ჩხეიძის აზრითაც, ხსენებული ტაეპი გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური და ზნეობრივი მრწამსის გამომხატველია: „ოქროს ჯაჭვის სჯობს თავისუფლებასო!... გრიგოლ ორბელიანის ეთიკური მრწამსიც და ცხოვრების წესიც ეს იქნებოდა ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი „ელგუჯას“ გამოჩენამდე, ხელახლა რომ აუფორიაქებდა და აულორძინებდა მეამბოხურ სულს და აღავსებდა თავისუფლების იმ წყურვილით, ილია რითაც გათანგულიყო...“ [ჩხეიძე 2020: 480].

მსგავს მოსაზრებას ვხვდებით სხვა არაერთი მკვლევარის ნაშრომში, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პუბლიცისტებსა და კრიტიკანებზე, რომელნიც დაუფარავი სიძულვილით წერენ გრიგოლ ორბელიანზე და ლამისაა რუსეთის აგენტად გამოაცხადონ იგი. მიგვაჩინია, რომ პოლიტიკური ვნებების აყოლა ამ შემთხვევაში გამართლებული არ არის. ლიტერატურის ისტორიკოსი ლიტერატურული ფაქტის შეფასებისას პირადი სიმპათია-ანტიპათიით კი არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ობიექტური ესთეტიკური და ისტორიულ-ლიტერატურული კრიტერიუმებით.

ჩვენი წერილის მიზანია დამატებითი არგუმენტები მოვიტანოთ იმ სრულიად უეჭველი ფაქტის კიდეც უფრო ცხადსაყოფად, რომ გრიგოლ ორბელიანის ხსენებული სიტყვები არამც და არამც არ შეიძლება გაგებულ იქნას პირდაპირი აზრით და იგი გადატანითი, ირონიული მნიშვნელობითაა გამოყენებული.

I. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ილიამ და მისმა თანამოაზრებებმა სახელმწიფო სამსახურში შესვლით ერთგვარად უღალატეს უწინდელ იდეალებს, საკმაოდ გავრცელებული იყო ილიას თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში და მას გამოთქვამს არამხოლოდ „მამათა თაობის“ წარმომადგენელი გრიგოლ ორბელიანი, არამედ ერთხანს ილიას თანამებრძოლი, თერგდალეული გიორგი წერეთელიც.

1897 წელს, იხსენებდა რა 60-იანი წლების ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოძრაობას, გ. წერეთელი წერდა: „საქართველოს მოამბე“, როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკლული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთათ დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრემაც. ჟურნალის მოსპობასთან ერთათ ილ. ჭავჭავაძის წრეც უცბათ დაიშალა. ყველამ მოძებნა თავთავის შესაფერი სახელმწიფო სამსახური. თვითონ თ. ილ. ჭავჭავაძე ჯერ გახდა განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილობის მოხელეთ, მერე მომრიგებელ შუამავლათ და ბოლოს მომრიგებელ მოსამართლეთ. პეტრე ნაკაშიძეც აგრეთვე მოიქცა. ივ. პოლტორაცკი შევიდა უმთავრეს გამგეობის კანცელარიის მოსამსახურეთ, გ. ჩიქოვანი მომრიგებელი შუამავლის კანდიდატათ, სავანელმაც აგრეთვე იმავ თანამდებობაში შერგო თავი. ილ. წინამძღვრიშვილმა, მიხეილ ყიფიანმა და ვახ. თულაშვილმა კი გასამიჯნავ დაწესებულებაში იშოვნეს კარგი ადგილები. რაკი მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობისა მოხერხებულათ დაბინავდნენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისევ ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყუდროება“ [წერეთელი 1897: 3].

როგორც ვხედავთ, გიორგი წერეთლის წერილში უფრო მეტი კონკრეტულობითაა გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი შეკუმშულად, ერთი მოსწრებული ტაეპით გადმოგვცემს. სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანია ეს შეხედულება, მაგრამ ფაქტია, რომ ილიასა და მისი წრის სახელმწიფო სამსახურში დაბინავებას არაერთგვაროვან შეფასებას აძლევდნენ არა მხოლოდ უფროსი თაობის, არამედ ახალთაობის წარმომადგენლებიც. გრიგოლ ორბელიანსაც აღნიშნული გარემოება აქვს მხედველობაში, უკიჟინებს რა ახალთაობას ოქროს ჯაჭვზე თავისუფლების გაცვლას.

II. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ლირიკოსი, დიდი ოსტატია პოეტური კომპოზიციისა. ამ მხრივ დიდი სიზუსტე მისი შემოქმედებითი ბუნების ერთი უმთავრესი მახასიათებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა მოეთავსებინა თავისი პოლიტიკური მრწამისის გამომხატველი ფრაზა გრიგოლ ორბელიანს სრულიად უკონტექსტოდ ლექსის იმ ნაწილში, რომელშიც იგი ახალგაზრდებს სიტყვისა და საქმის ერთმანეთისაგან დაშორებას საყვედურობდა?! ბოლო ტაეპის ძირითადი კომპოზიციური ფუნქციაა შეაჯამოს ზემოთ თქმული, მოახდინოს მისი რე-

ზიუმირება, ან განზოგადება. ასეთ კომპოზიციურ პრინციპზეა აგებული „პასუხი შვილთას“ არაერთი სტროფი, რომლებიც აფორისტული შეფერილობის გამონათქვამებით სრულდება.

იმ შემთხვევაში კი, თუ პირდაპირი აზრით გავიგებთ სიტყვებს: „ოქროს ჯაჭვის სჯობს თავისუფლებას“, აშკარაა, რომ არავითარი კავშირი წინარე მსჯელობასა და ბოლო ტაეპს შორის არ არსებობს. ასეთი შეუსაბამობა კი სრულიად წარმოუდგენელია ლირიკული კომპოზიციის ისეთი ოსტატისაგან, როგორც გრიგოლ ორბელიანი იყო.

III. გრიგოლ ორბელიანის ხსენებული სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არ შეიძლება იმის გამოც, რომ საკითხი – თავისუფლება სჯობს, თუ რუსეთის ქვეშევდრომობა – არც ქცეულა 70-იანი წლების ცნობილი ლიტერატურული პოლემიკის განსჯის საგნად. „პასუხი შვილთა“ დაინერა ილიას „გამოცანებისა“ და „კიდევ გამოცანების“ პასუხად. ამ პამფლეტებში ილიას ეს საკითხი სრულიადაც არ წამოუჭრია. გაუგებარია, რისთვის უნდა სჭირდებოდეს გრიგოლ ორბელიანს ასეთი ვულგარული ფორმით (რომლითაც ახალგაზრდობას უფრო მეტი მოდავების საფუძველს მისცემდა) საკუთარი პოლიტიკური მრწამსის აფიშირება მაშინ, როდესაც ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა?!

IV. თუ სიტყვები – „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“ – პირდაპირი მნიშვნელობით იქნა გაგებული, ისინი თავისთავად შეიცავენ იმ აზრს, რომ საქართველოს თავისუფლება იძულებითაა შეზღუდული, რომ იგი ჯაჭვითაა შებორკილი (მიუხედავად იმისა, რომ ჯაჭვი ოქროსია). ასეთ რამეს კი არც ერთ შემთხვევაში საჯაროდ ვერ იტყოდა იმპერიის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე, მეფისნაცვლად ნამსახური გრიგოლ ორბელიანი, რომლის ხასიათის ერთი ძირითადი ნიშანი გადამეტებული სიფრთხილე გახლდათ. აკი, სწორედ ამ თვისების გამო საყვედურობდნენ მას ახალგაზრდები („მაგრამ გაუბედავია, თუმცა უყვარს თვისი ერიო“).

V. ძალზე საგულისხმოა, რომ თავიანთ პოლემიკურ ლექსებსა და წერილებში სამოციანელები გრიგოლ ორბელიანს არსად კიცხავენ ხსენებული ფრაზის გამო. არადა, მთავარ მოსადავებელ ფაქტად სწორედ ეს სიტყვები უნდა გამხდარიყო. გრიგოლ ორბელიანს ამ გამოთქმას არსად გაუხსენებს მისი ისეთი უღმობელი კრიტიკოსიც კი, როგორცაა აკაკი წერეთელი. ხოლო ილია ჭავჭავაძე ამ პოლემიკიდან რამდენიმე წლის შემდეგ გრიგოლ

ორბელიანს შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „სასიქადულო მამული-შვილი“, „სახელოვანი ქართველი“, „დიდებული მწერალი“, „სიტყვამაღალი მოძღვარი, რომლის მიცვალებამ ყოვლის ქეშმარიტის ქართველის გული შესძრა“ [ჭავჭავაძე 1991: 213-215]. შეუძლებელია ილიასაგან ასეთი შეფასება დაემსახურებინა იმ ადამიანს, რომელიც, თურმე, ამტკიცებდა, რომ თავისუფლებას მონობა სჯობია. ილიას უკომპრომისობა ამ საკითხში ნათლად ჩანს თუნდაც იმ შემთხვევიდან, როცა თავის „გამოცანებსა“ და „პასუხის პასუხში“ ილიამ არ დაინდო გიორგი მუხრანსკი, რომელიც ეროვნულ ნიჰილიზმს ქადაგებდა.

ერთი სიტყვით, ახალი თაობა არსად ედავება გრიგოლ ორბელიანს ამ სიტყვების გამო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამოციანელები, დღევანდელი მკითხველისაგან განსხვავებით, შესანიშნავად მიხვდნენ გრიგოლ ორბელიანის ირონიას.

VI. დაბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი, რომლის გათვალისწინებამაც, ვფიქრობთ, საბოლოოდ უნდა დაუსვას წერტილი ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ორაზროვნებას.

„პასუხი შვილთა“ (სათაურით „პასუხი უღირსთა შვილებთა“) ბეჭდური სახით თავდაპირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (1874, # 7-8). პოეტის სიცოცხლეში იგი მეორედაც დაიბეჭდა, ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ კრებულში „თავადის გრ. ორბელიანის ლექსები“ (თბილისი, 1879). სწორედ ამ უკანასკნელ გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტია მიღებული ლექსის ძირითად ვარიანტად.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ცისკარის“ პირველნაბეჭდი ტექსტი მცირე, ნიუანსობრივ სხვაობას ავლენს ბოლო რედაქციასთან. ეს განსხვავება უმნიშვნელოა, თუმცა მეტად საგულისხმო და არსებითი ჩვენი საკითხის თვალსაზრისით. კერძოდ, ლექსის ხსენებული სტროფი „ცისკარში“ ასე იკითხება:

ან სად არიან,
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ ფრაზები...
მოყვასს – შეწვენა,
ბოროტსა – დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!

ფრაზა – სიტყვაა,
საქმე კი სხვაა...
ჯაჭვი ჰსჯობია თავისუფლებას!...”
[ორბელიანი 1874: 7]

არ გვგონია, რომელიმე საღად მოაზროვნე ადამიანმა განაცხადოს, რომ გრიგოლ ორბელიანი აქ პირდაპირი მნიშვნელობით ამტკიცებს „ჯაჭვი სჯობია თავისუფლებასო“. როგორც ვხედავთ, პირველნაბეჭდ ტექსტში არსად ფიგურირებს „ოქროს ჯაჭვი“, შესაბამისად ვერანაირად ვერ მოხერხდება „ჯაჭვის“ გააზრება რუსული მმართველობის მეტაფორად. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტიდან სრულიად ნათელია, რომ ამ სიტყვებს ირონიული მიზანდასახულობა აქვს.

თხზულების საბოლოო რედაქციაში პოეტმა უფრო ოსტატურად ჩამოქნა ციტირებული სტოფის უკანასკნელი ტაეპი და მეტი აზრობრივი სიზუსტე შესძინა ირონიულ ნათქვამს. საბოლოოდ ფრაზა ასე ჩამოყალიბდა: „სიტყვა – სიტყვაა, საქმე კი – სხვაა... ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..“

ვფიქრობთ, პირველნაბეჭდი ტექსტის გათვალისწინებამ გრიგოლ ორბელიანის ხსენებული ფრაზის ირგვლივ არსებულ გაუგებრობას სამუდამოდ უნდა დაუსვას წერტილი და შესაბამისად, პოეტსაც უნდა მოეხსნას უმძიმესი ბრალდება – ბედნიერი მონობის დაყენება თავისუფლებაზე მაღლა.

ეს ერთი შემთხვევაა გვარწმუნებს, რომ, სამწუხაროდ, ზოგჯერ წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით ვუდგებით კლასიკოსთა ტექსტებს და ვერ მოგვიხერხებია „კარგად ნაკითხვა ნასაკითხისა“.

ლიტერატურა:

- გიგინეიშვილი 2014: გიგინეიშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის მარადიული აქტუალობა. ჟ. “ჩემი სამყარო”, 2014, # 3.
- მალრაძე 1967: მალრაძე ე. გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, „ნაკადული“, 1967.
- მეუნარგია 1937: მეუნარგია ი. ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან. თბილისი, 1937.
- მინაშვილი 2009: მინაშვილი ლ. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
- ნიკოლეიშვილი 2014: ნიკოლეიშვილი ა. ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ტ. I, ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი, 2014.

- ორბელიანი 1874:** ორბელიანი გრ. [ძველი სემინარისტი] „პასუხი უღირსთა შვილებთა“. ჟ. „ცისკარი“, 1874, # 7-8.
- ორბელიანი 1879:** თავადის გრ. ორბელიანის ლექსები (გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძის). თბილისი: ქართ. წიგნთა გამომცემი ამხანაგობა, 1879.
- ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.
- სიგუა 2011:** სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი. ტ. I, თბილისი: “ფავორიტი პრინტი”, 2011.
- ჩხეიძე 2020:** ჩხეიძე რ. მუხა უდაბნოში (ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა). თბილისი, „ჩვენი მწერლობა“, 2020.
- წერედიანი 2014:** წერედიანი დ. ანარეკლი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014.
- წერეთელი 1897:** წერეთელი გ. კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“ ჟ. „კვალნი“, 1897, # 46.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V. თბილისი: „მეცნიერება“: 1991.

Levan Beburishvili
About the one line of Grigol Orbeliani
("The gold chain is better than freedom!")

S u m m a r y

Grigol Orbeliani is a very interesting and controversial figure of nineteenth century Georgian literature. The poet's public work in the nineteenth century deserved conflicting assessments. To this day, there is controversy over Orbeliani's political views. Some scholars do not forgive Grigol Orbeliani for the words "the golden chain is better than freedom!", Which they consider to be an expression of the poet's political beliefs. The opposite view is developed around this issue by Prof. Lado Minashvili, who in his work "Ilia Chavchavadze's Relation to Grigol Orbeliani" points out that the words from the poem "Answer to the Children" - "Golden Chain is better than freedom" - has an ironic subtext and does not express Grigol Orbeliani's beliefs. Despite the convincing argument of the researcher, the old view still prevails in modern literary circles (today this view is repeated by R. Chkheidze, A. Nikoleishvili, S. Sigua, L. Gigineishvili, etc.). In such a situation, we think it is necessary to take into account the first printed text of the poem - "Answer to the Unworthy Children" - "Tsiskari", 1874, N 7-8), which reveals a slight variation with the main text and which assures us that Grigol Orbeliani's words undoubtedly have an ironic connotation.

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ციტატური რემინისცენცია, როგორც მხატვრული ტექსტის ელემენტი

ლიტერატურათმცოდნეობაში მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული ინტერტექსტუალობის, ტექსტში „თავისისა“ და „სხვისის“ ურთიერთმიმართების კვლევის თვალსაზრისით. ეს პრობლემა ძველია და საკმაოდ ხშირად ექცევა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ლიტერატურული მიბაძვა, სესხება, ალუზია, პლაგიატი და სხვ., ხშირად გვევლინება კვლევის ობიექტებად. მათ შორის მეტად საინტერესო კატეგორიაა რემინისცენცია, რომლის მრავალი თეორიული თუ პრაქტიკულ-ლიტერატურული ასპექტი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ კვლევასა და ანალიზს.

თვალსაჩინო მკვლევრებმა, მ. ფუკომ, ჟ. დერიდამ, ჟ. დელიოზმა, ჟ. ლიოტარმა, ვ. მიულერმა, პ. პლეტმა, ზ. მინცმა, რ. ტიმენჩიკმა, პ. ტოროპმა, ი. ლევიმმა, ტ. სეგალმა და სხვებმა თავიანთი კვლევებით ნათლად უჩვენეს რემინისცენციებისა და ციტატების, როგორც მხატვრული ტექსტის უმნიშვნელოვანესი ელემენტების, როლი, ფუნქცია და მნიშვნელობა ავტორისეული ჩანაფიქრის აღქმისა და გაგების თვალსაზრისით. ამ მკვლევართა მიგნებები და პოზიცია ლოგიკურ ბმაშია მ. ბახტინის კონცეფციასთან, რომლის მიხედვით კულტურა დიალოგური ფენომენია, ხოლო დიალოგი კულტურის უნივერსალური კატეგორია და ყველა მხატვრული ტექსტი არსებობს იმდენად, რამდენადაც არის ჩართული დიალოგში ან პოლილოგში სხვა ტექსტებთან. მისი აზრით, «Всякое понимание есть соотнесение данного текста с другими текстами и переосмысление в новом контексте». [Бахтин М.М [ინტერნეტრესურსი]

მ. ბახტინი თვლის: «Текст живет, только соприкасаясь с другим текстом (контекстом). Только в точке этого контакта текстов вспыхивает свет, освещающий и назад, и вперед, приобщающий данный текст к диалогу.» [Бахтин М.М. 1979: 364]

მ. ბახტინის იდეას ეხმიანება ი. ლოტმანი, რომელიც აღნიშნავს, რომ: «Текст вообще не существует сам по себе, он неизбежно включается в какой-либо (исторически-реальный или условный) кон-

текст. Текст существует как контрагент внетекстовых структурных элементов, связан с ним как два члена оппозиции» [Лотман 1994: 204].

რემინისცენციის, ალუზიისა და დიალოგის განსხვავებული ასპექტების კვლევა არც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვისაა უცხო. რემინისცენციასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევენ სხვადასხვა თაობის მკვლევრები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. მირესაშვილის, ნ. გაფრინდაშვილის, თამარ სიდამონიძის, მაია კვიციანიას, მ. თუხარელისა და სხვათა ნაშრომები.

მწერლები და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები ხშირად იყენებენ რემინისცენციას, მიზანმიმართულს თუ უნებლიეს, რათა სხვა მწერლის, მუსიკოსის, მხატვრის და ა.შ. ნაწარმოების რომელიმე მხატვრული ელემენტის, პასაჟის, სათაურის, მოტივის და ა. შ. საშუალებით მკითხველამდე, მსმენელამდე, მნახველამდე მიიტანონ თავიანთი სათქმელი, გამოხატონ თავიანთი იდეურ-ესთეტიკური პოზიცია. ამას ისინი ძირითადად ცნობიერების რეფლექსირებული რეტროსპექციით, ალუზიით, ციტირებით, ამავე ან მსგავს თემაზე უკვე არსებული ხელოვნების ნიმუშის, მხატვრული ფრაზის თუ კონსტრუქციის აღდგენა-განმეორებით და ა.შ. ახდენენ.

რემინისცენცია შეიძლება იყოს როგორც ნაწარმოების ტექსტში, ისე ეპიგრაფში ან სათაურში. რემინისცენციის კვლევა ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემაა, რადგან მწერალთა შემოქმედებაში, მათ შორის გენიალური და ორიგინალური მწერლების შემოქმედებაში, უამრავი რემინისცენციაა, რომლებშიც ავტორები მიმართავენ სხვადასხვა მხატვრულ-ესთეტიკურ წყაროს, თუმცა სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ვ. ხალიზევი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რემინისცენცია მეტად ხშირი და ნიშანდობლივი მოვლენა გახდა მწერალთა შემოქმედებაში და მწერლის შემოქმედების იზოლირება წინამორბედთა თუ თანამედროვეთა გამოცდილებიდან მხოლოდ მის შეზღუდულობასა და ვიწრო თვალსაწიერზე მეტყველებს, „Гипертрофированная, самодовлеющая реминисцентность, сопряженная с замкнутостью литературы в мире собственно художественных феноменов, интересов, проблем, для культуры и самого искусства отнюдь не благоприятна“. [Хализев В. Е. [ინტერნეტრესურსი]

თავად ტერმინი რემინისცენცია (ლათინ. *reminiscentia* – გახსენება, მოგონება) კარგად ხსნის ამ მხატვრულ-ესთეტიკური მოვ-

ლენის არსს. შემოქმედს ახსენდება სხვა ნაწარმოებები. ეს შეიძლება მოხდეს მიზანმიმართულად ან უნებლიედ. სამეცნიერო ლიტერატურაში საინტერესოა ინტერტექსტუალური მიდგომა, რომლის მიხედვითაც ლიტერატურული ტექსტი მართო სხვა ლიტერატურულ ტექსტებთან კი არ არის ჩართული დიალოგში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებთანაც. ეს მოვლენა „სინკრეტული ინტერტექსტუალობისა“ და „ინტერმედიალობის“ სახელით მოიხსენიება [Plett 1991: 16]. სინკრეტული კულტურული რემინისცენციები, ანუ მინიშნებები და მითითებები ხელოვნების სხვა დარგების (ფერწერა, არქიტექტურა, მუსიკა და სხვა) ნაწარმოებებზე ხელოვნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რემინისცენცია არის ლიტერატურა ლიტერატურაში, როცა ერთი მწერალი მიმართავს მეორე მწერლის მხატვრულ სამყაროს; მუსიკა ლიტერატურაში, როცა მწერალი მიმართავს მუსიკალურ ნაწარმოებს; მხატვრობა ლიტერატურაში, როცა მწერალი მიმართავს მხატვრულ ტილოს და ა.შ.

ასე რომ, რემინისცენცია პროდუქტიული მხატვრული ხერხია, რომელიც ორგვარ მეხსიერებასთან არის დაკავშირებული. ადამიანის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და აღდგენის ფსიქიკურ უნართან და მხატვრულ-ესთეტიკურ მეხსიერებასთან, რომლის საშუალებითაც ხდება ავტორის მიერ მხატვრული ნაწარმოების რეციფიენტის გადამისამართება წინამორბედების ან თანამედროვეების კულტურულ-ისტორიულ ფაქტებთან, მოვლენებთან, ნაწარმოებებთან. ამ ლიტერატურულ-კულტურული თუ ისტორიულ-საზოგადოებრივი პარალელების ბუნება, როლი და ფუნქცია მეტად საინტერესოა. ეს არის თავისებური ხასიათის დიალოგი, რომელსაც ავტორი მართავს მკითხველთან იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელიც იცნობს სხვა ლიტერატურულ ტექსტებს თუ ხელოვნების ნიმუშებს, ახსოვს ისინი, მოახდენს ავტორის მიერ დაშიფრული მხატვრული ინფორმაციის გაშიფვრას, ჩასწვდება, გაიაზრებს და გაიგებს მის სათქმელს.

რემინისცენცია მრავალფეროვანი მოვლენაა, მაგრამ მისი ფორმებიდან ყველაზე ხშირად ციტატა გვხვდება, რომელიც შეიძლება „ზედაპირზეც“ იდოს და ქვეტექსტშიც იგულისხმებოდეს, ზუსტიც იყოს, რომლის სიზუსტეს ავტორი ბრჭყალებით ადასტურებს, და არაზუსტიც, რომელიც შეიძლება იცნო კონტექსტის გარეშეც ან მხოლოდ კონტექსტით. თუმცა შეხვდებით მოსაზრებებს, რომლის

მიხედვითაც რემინისცენცია მხოლოდ ე. წ. უბრჭყალებო ციტირებაა. [Поэтика... : 2008: 206].

მიზანმიმართული რემინისცენცია ისევე, როგორც უნებლიე რემინისცენცია, ლიტერატურული მეხსიერების გამოვლენის მეტად საინტერესო ფორმაა. ამ შემთხვევაში შემოქმედი, მწერალი სრულიად გაცნობიერებულად იქცევა, იგი სხვათა შემოქმედებიდან მიღებულ ინფორმაციას, ემოციას, მხატვრულ-ესთეტიკურ გამოცდილებას იყენებს და მკითხველისაკენ მიმართავს თავისი ასოციაციური აზროვნების პოტენციალს იმ იმედით, რომ მისი მხატვრულ-ასოციაციური აზროვნების ლოგიკა გასაგები იქნება მკითხველისათვის, რაც იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მწერლისა და მკითხველის ლოგიკა და ინტელექტუალური პოტენციალი მეტ-ნაკლებად ერთ დონეზეა. „ამავე დროს მწერალს მკითხველის ლიტერატურული მეხსიერების იმედიც უნდა ჰქონდეს, რადგან რემინისცენციამ თავისი იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია რომ შეასრულოს, მკითხველს უნდა ახსოვდეს ის მხატვრული დეტალი თუ კონსტრუქცია, რომლის აღდგენა-განმეორებასაც აპირებს მწერალი თავის ნაწარმოებში“ [გაფრინდაშვილი... 2011: 414].

უფრო რთული მექანიზმი აქვს იმპლიციტურ და უნებლიე რემინისცენციას, რომელშიც სხვა მწერლისაგან წამოღებული მხატვრული ინფორმაცია „ზედაპირზე“ არ დევს, დაფარულია და იმის შედეგია, რომ მწერალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვისმა (მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის და სხვ.) შემოქმედებამ, რომელიმე კონკრეტულმა ნაწარმოებმა ან, სულაც, მხატვრულმა სახემ. ეს ყოველივე დაილექა მწერლის ქვეცნობიერში და შემდეგ ამ ფორმით წარმოჩნდა მის შემოქმედებაში.

ციტატური რემინისცენცია არ შეიძლება პირდაპირ ბრმა მიბაძვად თუ მექანიკურ გადმოღებად მივიჩნიოთ, სანამ არ გაირკვევა, რა იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია აკისრია ამ ციტატას მხატვრულ ნაწარმოებში, რა მნიშვნელობა ენიჭება მას კონტექსტში, რა თავისებურებებით ხასიათდება მისი გამოყენება.

რემინისცენცია შეიძლება საქმეში ჩაუხედავ მკითხველს მარტივ, მექანიკურ კომპილაციაში ან, მეტიც, პლაგიატშიც აერიოს. რემინისცენციას პლაგიატისა და მექანიკური კომპილაციისაგან ღრმად ინტელექტუალური და შემოქმედებითი ხასიათი განასხვავებს. სწორედ შემოქმედებითი ხასიათით განსხვავდება ციტატური რემინისცენცია ჩვეულებრივი ციტატისა და ციტირებისაგან. რემი-

ნისცენციის სფერო ბევრად უფრო დიდი და ფართოა, ვიდრე უბრალოდ ციტირება. რემინისცენციის მსგავს მოვლენად შეიძლება იყოს მიჩნეული მიბაძვა, სიუჟეტის სესხება, თვით თავისუფალი თარგმანის ნიმუშიც კი.

რემინისცენცია თავისი არსით წინა თაობების მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილების მიღება-გაზიარებაა. სიტყვაკაზმულ მწერლობაში ამ ფორმითაც წარმოჩნდება წინა ეპოქების ლიტერატურული გამოცდილება და აისახება მისი „კვალი“.

უნდა დავეთანხმოთ მკვლევარ ვ. ხალიზევს, რომელიც აღნიშნავს, რომ „Реминисцентный пласт литературных произведений, при всей его огромной значимости, не нуждается в абсолютизации, в рассмотрении его как некоего неперменного центра писательского творчества: поистине художественное произведение с необходимостью отмечено прямыми контактами не только с предшествующей литературой, но и с «внехудожественной» реальностью“. [Хализев В. Е. (ინტერნეტრესურსი)]

ციტატური რემინისცენციები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ავტორის პოზიციის გასარკვევად, რადგან მათი მოხმობით იგი ან თავისი პოზიციის დამტკიცებას ან განმტკიცებას ცდილობს და დამატებით არგუმენტებს ეძებს სხვა ავტორთან, ან არ ეთანხმება და პოლემიკას უმართავს თავის წინამორბედს, მეტიც, თავისი იდეურ-ესთეტიკური პოზიციიდან გამომდინარე შეიძლება ადრე შექმნილი ნაწარმოების პაროდირებასაც მიმართოს.

ალუზია, ციტატა, რემინისცენცია, პარაფრაზი ინტერტექსტუალობის უაღრესად საინტერესო ნაირსახეობებია, თუმცა მკვლევრები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მათი უმრავლესობის გამიჯვნას. აგრეთვე ძალიან საინტერესოა ის კავშირები, რომლებიც სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟებს შორის არსებობს, რასაც გერმანელი მკვლევარი ვ. მიულერი „ინტერფიგურალურ ალუზიას“ უწოდებს. [Muller 1991: 176-194].

ლიტერატურულ რემინისცენციას ქართულ ლიტერატურაშიც ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მხატვრულ-კულტურულ სამყაროში იგი უკვე პირველ ლიტერატურულ ძეგლთან ერთად ჩნდება. ქართული სასულიერო მწერლობა უხვად საზრდოობს და ეყრდნობა ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს. აქედან გამომდინარე მათ ქართული ლიტერატურა ხშირად მიმართავს. ზოგადი ტენდენციის საჩვენებლად მოვიყვანთ

რამდენიმე მაგალითს: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ მთავარი მოქმედი გმირი პავლე მოციქულის იმ მოსაზრებას იმონებებს, რომელიც კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეშია წარმოჩენილი: „მასმიეს მე პავლე მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენ“ [იაკობ ხუცესი...1986: 9].

შუშანიკი თავისი თავის შესახებ ამბობს: „უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკუანაისკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“ [იაკობ ხუცესი... 1986: 29]. „მეთერთმეტე მუშაკი ვენახისა“ მათეს სახარების (მათე 20, 1-16) იგავის გამოძახილია.

ბიბლიისა და სხვა ქრისტიანული კანონიკური ტექსტების ციტირება, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციულია ძველი ქართული ლიტერატურისათვის. იგი საინტერესო პერსპექტივას შლის ავტორის წინაშე, საშუალებას აძლევს მას გამოიყენოს ქრისტიანულ ძეგლებში დაუნჯებული სიბრძნე თავისი ფილოსოფიურ-ზნეობრივი თუ მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატად. ამავე დროს ქართული სასულიერო მწერლობა თავადაც წარმოადგენს რემინისცენციის ობიექტს. თანამედროვე ქართველი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ამ ძეგლებს აქტიურად მიმართავენ, იყენებენ კულტურულ-შემოქმედებით დიალოგში და, შეიძლება ითქვას, ამით ახალ სულს შთაბერავენ ამ ნაწარმოებებს და მეორე ლიტერატურულ სიცოცხლეს აძლევენ მათ.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს ანა კალანდაძის შემოქმედებიდან. ქვემოთ მოყვანილ ლექსში ჩასმულია ციტატა იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებიდან“:

„არ კვნესის, არ მოთქვამს
გული ქვადქცეული:
მარტოკამ ზღაპრული აღმართი ვძლიე და...
მაგრამ...
აღმართებით
ისე ვარ ძლეული,
„ვითარცა ლერწამი
ქართაგან ძლიერთა“

[კალანდაძე 1982: 81].

ერთი შეხედვით, ეს ბრჭყალებში მოცემული ზუსტი ციტირება „აბოს წამებიდან“ („ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“)

თითქოს მექანიკური ხასიათისაა. თუმცა ლექსის მხატვრული სამყაროს სიღრმისეული ჩანვდომა გვარწმუნებს, რომ ამ ციტირებით იქმნება ახალი მხატვრული რეალობა, რადგან, როგორც ზემოთ მივუთითებდით, აქ ციტირებას სწორედ ღრმად ინტელექტუალური და შემოქმედებითი ხასიათი აქვს.

ზოგჯერ მწერალი ასევე შემოქმედებითი მიდგომის საფუძველზე ორიგინალს წარმოაჩენს გარკვეული სახეცვლილებით, ინარჩუნებს მის ძირითად იდეურ-აზრობრივ პლასტებს, მაგრამ ქმნის ახალ მხატვრულ სახეებს. ნიმუშად გამოგვადგება ლექსი, რომელშიც ა. კალანდაძე „შუშანიკის წამების“ მხატვრული სამყაროს პოეტურ გააზრებას გვთავაზობს:

„მოჰყავთ შუშანიკი ტანჯული, გვემული. . .
ფოთოლნი ტირიან ოქროსფერისანი. . .
ნისლებს ეფარება ცაი დიდებული,
ქარმა შეარხია რტოი ძენნისაი.
მთათა მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი,
თვალთა სხივი მოწყდა ელვარებისაი. . .
ტირიან, მოთქვამენ „დედანი ზეპურნი“,
ტირიან ყვავილნი ცხარედ ველისანი. . .
მარტვილს მოაცილებს ქარი მგლოვიარე,
კრძალვით კარს უღებენ ძალნი ზეცისანი. . .
როს „ვითარცა ცოფი, ბრდღუნდა პიტიახში“,
ქარმა გადახარა რტოი ძენნისანი. .
– ილოცვიდეთ ჩემთვის!
უთხრა მტირალ ხალხსა. . .
ხენი თავებს ხრიან ძაძით შენამკობნი. . .
მოკვდა შუშანიკი თთუესა სთულისასა
და ცხოვრებას მისას წერდა იაკობი“

[კალანდაძე 1982: 117].

ამ ლექსში ბევრი პასაჟი ცურტაველისეულია, ავტორის მიერ პერიფრაზირებული („მოჰყავთ შუშანიკი ტანჯული, გვემული“; „ტირიან, მოთქვამენ „დედანი ზეპურნი“; „ვითარცა ცოფი, ბრდღუნდა პიტიახში“; „ილოცვიდეთ ჩემთვის!“ და სხვა), ზოგი კი ა. კალანდაძისეული („ფოთოლნი ტირიან ოქროსფერისანი“; „ნისლებს ეფარება ცაი დიდებული“; „ქარმა შეარხია რტოი ძენნისაი“; „მთათა

მოიხადეს გვირგვინი მეფურნი”; „თვალთა სხივი მოწყდა ელვარებისაი” და სხვ.).

ლექსში „...როცა სხივნი განსასვენად“ ა. კალანდაძე ოდნავ ცვლის „შუშანიკის წამების“ ტექსტს და მხატვრულ-ესთეტიკური დიალოგის საფუძველზე, ერთი მხრივ, ახალ სიცოცხლეს აძლევს „შუშანიკის წამებას“, ხოლო, მეორე მხრივ კი, ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს:

„როცა სხივნი განსასვენად
ყვავილების თეთრ გვირგვინებს
ეახლება და ყვავილი
საალერსოდ რტოებს გაშლის,
ყრმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს,
„ - რაი გინებს?“
„ - ხუცეს, გინესს, პიტიახში. . .“
[კალანდაძე 1982: 118].

გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდი „შუშანიკის წამებიდან“:

„-იაკობ მანდა არსა?
და მე ვარქუ, ვითარმედ:
-რაი გინებს?
და მან მრქუა:
-უნესს პიტიახში.”
[იაკობ ხუცესი... 1986: 15].

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რემინისცენციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში, ის მეტად საინტერესო და პროდუქტიული მხატვრული ხერხია. იგი მკითხველს ანიჭებს ერთხელ განცდილთან, წაკითხულთან, ნაცნობთან კვლავ შეხვედრის ესთეტიკურ სიამოვნებას და აქვს შესაძლებლობა, უსაზღვროდ გააფართოვოს არა მარტო ავტორის შემოქმედებითი პალიტრა, არამედ ტექსტის აზრობრივი ჩარჩოები და მკითხველის თვალსაწიერი. იგი მაღალი ინტელექტის, დახვეწილი მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილებისა და კულტურის მქონე მკითხველის ლიტერატურული მეხსიერებისა და ასოციაციური აღქმის უნარის იმედით იქმნება. ლიტერატურული რემინისცენციით მწერლები ახალ ლიტერატურულ სიცოცხლეს აძლევენ წინამორ-

ბედთა თუ თანამედროვეთა მხატვრულ ნაწარმოებებს და დიალოგის საშუალებით ქმნიან ახალ მხატვრულ რეალობას. ლიტერატურულ რემინისცენციას აქვს ფილოსოფიური და ესთეტიკურ-უტილიტალური ფუნქცია. იგი აერთიანებს კულტურათა ისტორიულ გამოცდილებას, სხვადასხვა თუ ერთ პერიოდში შექმნილ მხატვრულ ტექსტებს, რის შედეგადაც იქმნება სიტყვაკაზმული მწერლობის ჰიპერტექსტი.

შეიძლება ითქვას, რომ რემინისცენცია, ერთი მხრივ, მკითხველის „გამოცდაცა“ მწერლის მხრიდან მოწყობილი, მეორე მხრივ კი, თავისებური ესთეტიკური თამაში, გამოიცნობს თუ არა მკითხველი სხვა ნაწარმოებებიდან აღებულ მხატვრულ სახეებს, პერსონაჟებს, სიუჟეტის პლასტებს, ანუ ამ ნაწარმოებისათვის, ერთი შეხედვით, „უცხო“, მაგრამ მასში ორგანულად ჩასმულ ახალ „სამშენებლო მასალას“, რომელიც ორიგინალის ტექსტისაგან განსხვავებულად, ახლებურად იკითხება და განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს ახალ მხატვრულ რეალობაში. რასაკვირველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რემინისცენციის ხასიათი დამოკიდებულია მხატვრულ ტექსტში მის მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციასა და ავტორის მიზანზე.

ლიტერატურა:

- გაფრინდაშვილი... 2001: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბ. მერიდიანი. 2011.
- კალანდაძე 1982: კალანდაძე ა., ლექსები, თბილისი, მერანი. 1982.
- იაკობ ხუცესი 1986: იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება. იაკობ მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. თბილისი, განათლება. 1986.
- Бахтин ინტ.: Бахтин М.М. К методологии гуманитарных наук. <https://kph.ffs.npu.edu.ua!/e-book/klasik/data/bahtin/k-metodologii.html>
- Бахтин 1979: Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. М.: Искусство, 1979.
- Лотман 1994: Лотман Ю.М. Лекции по структуральной поэтике // Ю.М. Лотман и тартуско-московская семиотическая школа / М.: Гнозис, 1994.
- Поэтика 2008: Поэтика : словарь актуальных терминов и понятий. [гл. науч. ред. Н.Д. Тамарченко]. — М.: Издательство Кулагиной; Intrada, 2008.
- Хализев инტ: Хализев В. Е. Теория литературы . <https://lit.wikireading.ru/43768>
- Muller 1991: Muller W. Interfigurality. A Study of Interdependence of Literary Figures. Intertextuality. Walter de Gruyter, Berlin and New York. 1991.
- Plett 1991: Plett H. Intertextuality. Walter de Gruyter, Berlin and New York. 1991.

Nana Gaprindashvili

Citation Reminiscence as an Element of a Fictional Text

S u m m a r y

There is a rich experience in literary studies in terms of researching the relationship between "one's own" and "belonging to someone else". This issue has been known since ancient times and quite frequently attracts the attention of researchers. Literary imitation, borrowing, plagiarism, etc., often appear as objects of research. Among the most attractive categories is a reminiscence, many theoretical or practical-literary aspects of which still need further exploration and analysis.

The remarkable representatives of the Tartu school and other prominent scholars of the twentieth century, Z. Minc, R. Timenchik, P. Torop, I. Levin, T. Segal and others through their research have demonstrated the role, function, and significance of reminiscences and quotations as essential elements of a fictional text in terms of the perception and understanding of the authorial intentions. The findings and position of these researchers are logically linked to M. Bakhtin's theory, according to which culture is a phenomenon of dialogue, while dialogue is a universal category of culture. Literary texts exist insofar as they are involved in a dialogue or a polylogue with other texts.

The study of different aspects of reminiscence and dialogue is not foreign to Georgian literary criticism either. Reminiscence, as well as various issues related to it, have been studied by different generations of researchers. In this respect works of M. Miresashvili, N. Gaprindashvili, T. Sidamnidze, M. Kvirkevelia etc. are especially significant.

Reminiscence is a productive artistic method that involves two types of memory. On the one hand, it is connected with the mental ability of a reader to encode, store and restore any information and artistic-aesthetic memory, through which the author redirects the recipient of the work of art to the cultural-historical facts, events, literary works of predecessors or contemporaries, on the other. The nature, role and function of these literary-cultural or historical-social parallels are also significant. It is a peculiar form of dialogue that the author conducts with the reader in the hope that the reader will also become acquainted with the ancient culture and will perceive and understand their thoughts.

There was a different understanding of reminiscence in different eras. However, writers and representatives of other fields of arts often employed

reminiscence, intentionally or unintentionally, to refer to another writer, musician, artist, etc. as well as any artistic element of the work, passage, title, or motifs. This way, they try to convey and express their ideological-aesthetic position and message to the reader, listener, viewer. They achieve this mainly by reflecting retrospectiveness of consciousness, allusions, quotations, restoration-repetition of an existing work of art, artistic phrase or construction on the same or a similar subject.

Reminiscence occupies a significant place in Georgian literature; it is a highly interesting and productive artistic method. It gives the reader the aesthetic pleasure of meeting once experienced, already read and thus familiar again, and has the ability to infinitely expand not only the creative palette of the author but also the semantic frames of the text and the horizon of the reader. When creating reminiscence, the author hopes to connect with the literary memory and associative perception of the reader with high intellect, sophisticated artistic-aesthetic experience and culture. Through literary reminiscence, writers give new life to the artistic works of their predecessors or contemporaries and create a new literary reality through dialogue. Moreover, literary reminiscence has a philosophical and aesthetic-utilitarian function. It combines the historical experience of cultures, literary texts written either in a different or in the same period, resulting in the hypertext of literature.

We can say that, on the one hand, reminiscence, can be seen as a "test", a challenge to the reader set by the writer, and a peculiar aesthetic game, on the other. The author is interested whether the reader is capable of guessing and recognising the artistic images, characters, story layers, thus, at first glance, an "unknown", but at the same time, the new "building material" embedded in the work. Unlike the original text, it is read in a new way and performs a different function in the new artistic reality. The nature of reminiscence in each particular case depends on its artistic and aesthetic functions and purpose in the literary text.

This article discusses the practical models of reminiscence on the example of "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" by Iakob Khutsesi and the poetry of Ana Kalandadze.

ნანა გონჯილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის

საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიული მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. რუსთველისა და ნიზამის ეპოქის დასახელებაც საკმარისია ამ ორი ერის კულტურულ ურთიერთობათა ნათელსაყოფად. განსაკუთრებული სიახლოვე XIX ს-ში ვლინდება, როდესაც ცარიზმის ბატონობის ეპოქაში ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი თბილისში იყო, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ რიცხვს განეკუთვნება მირზა ფათალი ახუნდზადე (ახუნდოვი, 1812-1878). იგი გახლდათ კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, დემოკრატი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; აზერბაიჯანულ ენაზე პირველი დრამატული ნაწარმოების შემქმნელი და აზერბაიჯანული თეატრის მესაძირკვე, „თათარი მოლიერი“, არაბული ალფაბეტის რეფორმატორი, უფლებობასა და მონურ პირობებში მყოფი მაჰმადიანი ქალების თავისუფლებისაკენ სწრაფვის პირველი ამსახველი აზერბაიჯანულ ლიტერატურაში.

მირზა ფათალი ახუნდზადეს თქმით, მისმა „მეორე მამამ“, ჰაჯი ალესქერმა, 1834 წელს იგი თბილისში ჩამოიყვანა და მთავარმართებელ როზენს წერილით მიმართა, რათა ახუნდზადე მიეღოთ მის კანცელარიაში აღმოსავლური ენებიდან მთარგმნელად, რუსულ ენაში განაფვისათვის კი სთხოვდა, ახალგაზრდა რომელიმე რუსი მოხელისათვის ჩაებარებინათ. ჰაჯი ალესქერის თხოვნა შეიწყნარეს. აღსანიშნია ისიც, რომ მირზა ფათალის მასწავლებელი, მირზა შაფი, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა მირზა ფათალის მომავალი ცხოვრება, 1840 წლიდან თბილისში დასახლდა და გარკვეულ პერიოდში თბილისის სამაზრო სასწავლებელში აზერბაიჯანული და სპარსული ენების მასწავლებელი იყო (მანამდე ახუნდზადეს ეკავა ეს ადგილი). მირზა შაფიმ თბილისში ჩამოაყალიბა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჯგუფი – „სიბრძნის წრე“ („დივანე

ჰექმათ“), რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ მირზა ფათალი, ასევე აზერბაიჯანელი მწერალი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი აბას-ყული-ალია ბაქირხანოვი (რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ბაქოს ხანის ჩამომავალი) და იმ დროს თბილისში სტუმრად მყოფი ფრიდრიხ ბოდენშტადტი. „სიბრძნის წრეში“ ისინი კითხულობდნენ რუსული და აღმოსავლური პოეზიის კლასიკოსთა თხზულებებს, თავად მირზა შაფისა და ბაქირხანოვის თხზულებებს, მსჯელობდნენ მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მირზა ფათალიმ თბილისში შეიგრძნო დემოკრატიული სულისკვეთება, დაუახლოვდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, კერძოდ, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარეს, რუს ორიენტალისტს ა. ბერჟეს, რომელიც ახუნდზადეს დიდი პატივისმცემელი იყო. მირზა ფათალიმ აქვე გაიცნო თბილისში ირანის ყოფილი კონსული, შემდეგ პარიზში ელჩის თანამდებობაზე მყოფი პროგრესულად მოაზროვნე მირზა იუსუფ-ხანი. ფათალის ახლო კავშირი ჰქონდა ოფიცერ რაჰიმ-ბეგთანაც.

აზერბაიჯანელი მწერლის ნაცნობთა შორის გამოირჩევა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – გიორგი წერეთელი, რომლის შესახებ ფათალი თავის დღიურში კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მას აზერბაიჯანულ ენაზე სასოფლო-სამეურნეო გაზეთის გამოცემა სურდა.

სავარაუდოდ, ფათალისა და ქართული თეატრის ფუძემდებლის, გიორგი ერისთავის, გაცნობა კი თეატრისა და დრამატურგიის ასპარეზზე მოხდა. მათი თხზულებები თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის სოციალურ მხარეებს ასახავდა. მათს ნაწარმოებთა შორის იკვეთება მსგავსება. ახალი თემატიკისა და ჟანრის თვალსაზრისით პირველობა სწორედ ფათალისა და ერისთავს ეკუთვნით. ფათალი წერდა: „დრამატული თხზულებების წარმოშობა აღმოსავლურ ენებზე (ქართულსა და თათრულზე) არაჩვეულებრივი მოვლენაა ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის მათიანეში. კომედიების შექმნაში პირველობა ეკუთვნის დიდად პატივცემულ თავადს გიორგი ერისთავს და მე. არ მაქვს რა უფლება თავი მოვიწონო ჩემს მიერ გაწეული შრომის ღირსებით, მე მხოლოდ ვამაყობ, რომ მუსულმანთაგან კომედიების პირველი მწერალი ვარ [ფაღავა 1966: 137].

აღნიშნული ურთიერთობები მოწმობს, რომ თბილისის ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრთან ერთად ამიერკავკასიის

კულტურული ცხოვრების ცენტრიც იყო, მირზა ფათაღისთვის – მისი ცხოვრების განმსაზღვრელი და გზის დამსახავი, გონების მასაზრდოებელი ქალაქი. 1850-55 წლებში თბილისში დაწერილი ექვსი კომედიით მირზა ფათაღი მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

მირზა ფათაღის კომედიები (კრებულად გამოსვლამდე) იბეჭდებოდა თბილისში, ოფიციალური გაზეთი „კავკაზის“ ფურცლებზე: თარგმანი „მუსიო ჟორდანისა“ (1851 წლის #15, 16, 17), მოლა იბრაჰიმ ხალილი – ალქიმიკოსი“ (1851 წლის #44 და # 45), „დათვი ყაჩაღის დამჯაბნელი“ (1851 წლის #83, 84, 86, 90, 91). ამავე გაზეთში 1853 წელს (#7, 8, 9) რუსულ ენაზე დაიბეჭდა „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, „ძუნნის თავგადასავალი“ (#28, 29, 30, 31, 32). აქვე გამოქვეყნდა მისი უკანასკნელი პიესა „ადვოკატები“ (1856 წლის #93,94, 95, 96).

მირზა ფათაღის მესამე პიესაა – „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“ (1850), რომელიც სხვა სახელწოდებითაც გვხვდება – „სერაბის ხანის ვეზირი“. 1870 წელს ფათაღი თეირანში მყოფ იუსუფ-ხანს სწერს: „ძვირფას მთარგმნელს (ჩემი კომედიებისას) სთხოვთ, რომ სერაბის ხანის ვეზირი ყველგან ლენქორანის ხანის ვეზირად დასწეროს, რადგან სტამბაში შეცდომით, მე რომ არ ვიცოდი ისე, სერაბი დაუბეჭდავთ. სერაბი შეცდომაა, ლანქორანია (სწორი). სერაბთან ზღვა არ არის...“ (ამ პიესაში საკვანძო ეპიზოდი ზღვაზე ხდება, აქ იხრჩობა ხანი). მიუხედავად აღნიშნულისა, თვით მირზა ფათაღი ზოგჯერ მას „სერაბის ხანის ვეზირს“ უწოდებს, რადგან ოფიციალურ ქალაქებში მას მხოლოდ იმ სათაურით წერდა, როგორც დაიბეჭდა პირველად რუსულ ენაზე (თარგმნილია გერმანულად და ინგლისურად).

კ. ფალავა პიესის შესახებ წერს, რომ იგი მიმართული იყო ფეოდალური სისტემის ბიუროკრატიული აპარატისა და ქვეყნისტი გამგებლების, ხანებისა და ბეგების წინააღმდეგ, რომელთაც დაკავალი ჰქონდათ საღი აზროვნების უნარი და მიუხედავად ამისა, სამართალი და ხალხის ცხოვრება მაინც მათს ხელში იყო. კრიტიკოსის აზრით, „ამ პიესაში ახუნდოვი ლენქორანის სახანოს მაგალითზე მთელი ფეოდალური სისტემის სიმახინჯის კრიტიკას გვაძლევს. ამ სინამდვილეს ახასიათებს არა მარტო ზემოთ წარმოდგენილი სიბნელე, უვიცობა და ყოვლად უგუნური სამართალი, იგი ეყრდნობა განუკითხავს დესპოტიზმსა და ყოვლად გაუმართლებელ სიმკაცრეს“ [ფალავა 1966: 66].

ქართველ მწერალთაგან აკაკი წერეთელმა პირველმა მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანულ ლიტერატურას და როგორც აღვნიშნეთ, მან ქართულ ენაზე თარგმნა მირზა ფათალი ახუნდზადეს ცნობილი პიესა – „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, რომელიც დაიბეჭდა აკაკის ჟურნალში – „კრებული“ (1898 წლის #7, გვ. 13-53), ახლავს მთარგმნელის შენიშვნა, რომელშიც მოწოდებულია ცნობები პიესის ავტორზე¹ (აკაკის „კრებული“ გამოდიოდა 1897-1900 წლებში, მასში ძირითადად აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა).

პიესის გამოცემას წინ ერთი ინციდენტი უძლოდა. ქართველი პოეტი ი. გრიშაშვილი მოგვითხრობს, რომ ქართულ თეატრს ჰყავდა პიესების გადამწერი კალიგრაფი, ერთ დროს მსახიობი ქალბატონი ელენე ანტონოვსკი-ბროძელი. აკაკიმ სწორედ ამ ქალბატონს მიანდო პიესის გადანერა, სანამ სტამბაში გადასცემდა დასაბეჭდად. „სწორედ ამ დროს ქართულ თეატრში ხშირი იყო მსა-

¹ ცნობილი ფაქტია, რომ აკაკი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თარგმანს. მას იგი მშობლიური ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ ძირითად, აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიაჩნდა. ამიტომაც აკაკიმ არაერთი წერილი მიუძღვნა ამ საკითხების გაშუქებას.

თავის პუბლიცისტურ წერილებში აკაკი აღნიშნავდა, რომ მთარგმნელისთვის უპირველესი ამოცანა აქტუალური შინაარსის თხზულების შერჩევა უნდა ყოფილიყო. თარგმანს უნდა გამოეხატა ის, რაც ესაჭიროება ხალხს.

როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელი აკაკი ორ ძირითად ხაზს გასდევდა. ერთი მხრივ - რეალისტურს, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალს. თარგმანის ამ ორი სახის არსებობა მწერლის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებით იყო ნაკარნახევი. ამდენად, აკაკი შემოქმედებითი თარგმანის მომხრედ გვევლინება. სწორედ ეს მეთოდი – ტექსტის გახალხურება და გაქართულება – თარგმნილი ტექსტის იდეას გასაგებს ხდიდა ქართველი მკითხველისათვის და აახლოვებდა მწერალს ხალხთან [ბურჯანაძე 1992].

აკაკის მირზა ფათალის პიესამდე თარგმნილი ჰქონდა - მოლიერის „სკაპენის ცულუტობა“ – 1873 წელს დაიდგა ქუთაისის თეატრის სცენაზე, ლირიკული ლექსები. მოგვიანებით თარგმნა ალ. სუმბათაშვილ-იფიანის დრამა „ღალატი“, სენკევიჩის თხზულების – „ვიდრე ხვალ, უფალო“, - ნ.სობოლშჩიკოვ-სამარინისაგან დრამად გადმოკეთებული ვარიანტის თარგმანი და კრილოვის იგავ-არაკები (სულ თარგმნა 152 იგავ-არაკი). ამ უკანასკნელის წყალობით აკაკიმ კრილოვის მთარგმნელის სახელი დაიმკვიდრა ქართული თარგმანის ისტორიაში. ამგვარად, აკ. წერეთლის თარგმანთა სათაურების ჩამონათვალიც კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ აკაკი, ერთი მხრივ, თარგმნიდა ძირითადად ისეთ დრამატულ თხზულებებს, რომლებიც პოპულარული იყო ხალხში, ხოლო, მეორე მხრივ, ამ თარგმანებით ცდილობდა მაყურებლისთვის საინტერესო გაეხადა ქართული თეატრის რეპერტუარი [ბურჯანაძე 1992].

ხიობთა ბენეფისები, ერთი ამისთანა ბენეფისი ერგო თეატრის მოლარეს სვიმონ ყალაბეგიშვილსაც“ [გრიშაშვილი 1952: 253]. ყველა „მობენეფისე“ ცდილობდა, ისეთი პიესა ამოერჩია, რომელიც „შემოსავალს გააკეთებდა“.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1897 წლის #117) იტყობინებოდა: „ნამდვილის წყაროდამ შევითყვეთ, რომ ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკის დაუნერია ახალი კომედია, ამ დროინდელ ცხოვრებიდან“. თეატრშიც იმ დროს ხმა გავრცელდა, რომ აკაკიმ დაწერა ახალი პიესა და ანტონოვსკის გადასაწერად გადასცა. აკაკი წერეთელი იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდა. მოლარე ყალაბეგიშვილმა პოეტის დაუკითხავად თავის „საბენეფისოდ“ სწორედ პიესა „ხანის ვეზირი“ აირჩია. თბილისის გაზეთები – „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“ და „ნოვოე ობოზრენიე“ – მკითხველებს აცნობებდა, რომ ქართულ თეატრში ყალიბეგაშვილის „საბენეფისოდ“ აკაკი წერეთლის ახალი პიესა – „ხანის ვეზირი“ იდგმებოდა. გაზეთი „ივერია“ (1898 წ., #23) ამგვარად იუწყებოდა ამ ახალ ამბავს: „დღეს, 31 იანვარს, ქართულ თეატრში ქართულის დრამატიული დასის მიერ კასირის ბ-ნ ყალიბეგიშვილის საბენეფისოდ გამართული იქნება წარმოდგენა. ითამაშებენ ბ-ნის აკაკის წერეთლის პიესას – „ხანის ვეზირი“ და ვოდევილს „ადვოკატთან“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ეჭვი არა გვაქვს, რომ ამ წარმოდგენას საზოგადოება მრავლად დაესწრება, მით უმეტეს, რომ უნდა წარმოდგენილ იქნას ბ-ნ აკაკის ახალი პიესა“. მირზა ფათალი ახუნდოვის შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო თქმული. ი. გრიშაშვილის თქმით, „სწორედ იმ მოსაზრებით, რომ აკაკის ახალი ორიგინალური პიესით თეატრში მეტი მაყურებელი მიეზიდათ“ [გრიშაშვილი 1952: 254].

აკაკი წერეთელმა მხოლოდ პრემიერის დღეს გაიგო, რომ იგი პიესის ავტორად იყო დასახელებული. გაზეთებში შეცდომის გასწორება უკვე დაგვიანებული იყო და პოეტმა თავისი აღმწოთება თეატრის ხელმძღვანელს პირადად განუცხადა. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. თავად აკაკიმ თავისი ქმედებით სცადა ამ შეცდომის გამოსწორება და პიესის ნამდვილი ავტორის – მირზა ფათალი ახუნდოვის, სახელის დაფიქსირება. აკაკი პრემიერის ბოლოს, როცა მაყურებელი პიესის ავტორს უხმობდა სცენაზე, არ წარსდგა საზოგადოების წინაშე. მაშინ სუფლიორმა მაყურებელს აუწყა, რომ „ხანის ვეზირის“ ავტორი „დიდი ხნის გარდაცვლილი“

მირზა ფათალი ახუნდოვი გახლდათ, აკაკი კი მხოლოდ მისი მთარგმნელი იყო.

სპექტაკლმა დიდი ტრიუმფით ჩაიარა. საქართველოს თეატრის მუზეუმის არქივში (აფიშების განყ. #2) ინახება 1898 წლის „ხანის ვეზირის“ აფიშა, რომელიც იუნყება, რომ სპექტაკლის დამდგმელია კოტე მესხი (რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ბაქოს ქართული თეატრი), მონაწილეობდნენ – გედეონ გედევანიშვილი (მირზა ჰაბიბი), ელისაბედ ჩერქეზიშვილი (ზიბა ხანუმი), კანდელაკი (ხანი), ია გამყრელიძე (შოლე ხანუმი), ალექსანდრა კარგარელი (ნისა ხანუმი), დარია რჩეულიშვილი (ფარი ხანუმი), ვასო აბაშიძე (ჰაჯი სალაჰი), სვიმონ სვიმონიძე (თემურ ალია) და სხვ.

აკაკი წერეთელს ბევრი უსიამოვნება შეხვდა ამ პიესის დადგმის გამო. მომხდარი გაუგებრობის შესახებ ყველაფერი იცოდა გაზეთ „ივერიის“ რეცენზენტმა მიხეილ ნასიძემ, ფსევდონიმით – „მე გახლავარ“. იგი პიესის პრემიერას დაესწრო და მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთელი თავის რეცენზიაში აუგად მოიხსენა.

შურადინ მამედლი აღნიშნავს, რომ მ. ნასიძე ამ პიესის ნამდვილ შინაარსში ვერ გაერკვია, ვერ შეიგრძნო მისი ნამდვილი კოლორიტი. მას მიაჩნდა, რომ „კომედია „სუსტი და უხარისხოვანია“ და ამას აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ძალების დასუსტებით ხსნიდა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს მის შემოქმედებაში სისუსტის გარდამავალი პერიოდი წარმოიშვა.

პოეტმა ამ გამონვევას უპასუხა: „...პიესა ეკუთვნის მირზა ფათალი ახუნდოვის კალამს, ეს ახუნდოვი იყო ვორონცოვის დროის მწერალი. ერთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე ჩვენს გიორგი ერისთავთან და დიდი ნიჭიც გამოიჩინა. მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების (აზერბაიჯანლების – ნ. გ.) ცხოვრება, როგორც სარკეში... ახუნდოვის ნაწარმოები უცხო ენებზედაც არის ნათარგმნი, ერთ დროს რუსეთის მწერლობამაც ყურადღება მიაქცია, და იმ დროს რუსეთის შესანიშნავმა კრიტიკოსმა აპოლონ გრიგორიევიმა, რომელსაც ცოტათი უკეთ ესმოდა ხელოვნება, ვიდრე ზოგიერთს ჩვენებურს ნაცარქექიებს, მოლიარს შეადარა... ახუნდოვის პიესები ნიჭიერად არიან დაწერილნი, და ის სიტყვებისა და ცრუ აზრების გაზვიადებული ბრახა-ბრუხი, რომელსაც ჩვენში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ფასი აქვს, მის ნაწერებში არსად მოსჩანს. რადგან ჩვენ, ქართველები, ვერც ამ მწერალს ვიცნობთ და არც ჩვენის მეზობელ თათრების (აზერბაიჯანლების – ნ. გ.)

ცხოვრება გვაქვს შესწავლილი, ამიტომ ავიღე მეც ახუნდოვის ერთი პიესა „ხანის ვეზირი“ და სიტყვასიტყვით გადმოვთარგმნე, რომ „კრებულში“ დამებეჭდა, – სრულად აზრდაც არ მქონია მისი სცენაზე დადგმა“ [წერეთელი 1898, N447].

წერილის ამ მონაკვეთიდან ჩანს აკაკი წერეთლის დამოკიდებულება აზერბაიჯანელი მწერლისა და მისი შემოქმედების მიმართ. ქართველი პოეტი მირზა ფათალი ახუნდზადეს აფასებს როგორც ნიჭიერ მწერალს და მის „ნაწერებში“ განსაკუთრებით გამოარჩევს რეალისტურ მეთოდს, რომელშიც „სარკის“ მსგავსად აისახებოდა აზერბაიჯანელთა ცხოვრება. აკაკი მირზა ფათალი ახუნდზადეს ნაწარმოებთა სტილზეც აჩერებს ყურადღებას და, გაზვიადებული თხრობის საპირისპიროდ (რომელიც, „სამწუხაროდ“, ქართველებს ჯერ კიდევ მოსწონდათ), მათში წარმოჩენილ სადა მეტყველებას, აზრთა ლაკონურ გამოთქმას იწონებს. ამასთანავე ქართველი პოეტი ერთგვარად საყვედურობს ქართველ საზოგადოებას, რომელიც ნაკლებ იცნობს მეზობელი ხალხის ცხოვრებას და განსაკუთრებით კი საქართველოში მოღვაწე აზერბაიჯანელ მწერალს, რომელიც მოლიერსაა შედარებული და რომლის ნაწარმოებები უცხო ენებზედაცაა ნათარგმნი. აკაკი აღნიშნული პიესის თარგმნას სწორედ ამ მიზეზებით ხსნის და იმასაც აღნიშნავს, რომ სცენაზე მისი დადგმა არ ჰქონდა განზრახული¹. აკაკი წერეთელმა „ხანის

¹ ახუნდოვის პიესის „*Визирь Ленкоранского Ханства*“ აკაკი წერეთლისეული თარგმანი საყურადღებოა მრავალმხრივ. ტექსტის ბევრი ადგილი აკაკის თავისებურად გადმოუტანია. პიესა თარგმნილია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურული ენით და მასში არ გვხვდება ხელოვნურად დაძველებული სიტყვები და გამოთქმები.

მაგ. პიესის სათაური „*Визирь Ленкоранского Ханства*“ მას უთარგმნია როგორც „ხანის ვეზირი“ (Визирь Хана). პიესის ადგილისა და დროის მარკერი – ლენქორანი – აკაკის ამოულია როგორც პიესის სახელწოდებიდან, ისე – ძირითადი ტექსტიდან – ორიგინალში პირველი და მესამე მოქმედებების წინ ვკითხულობთ: „*Происходит пятьдесят лет назад, на берегу каспийского моря, в городе Ленкорань... Происходит во дворце Ленкоранского Хана, на берегу моря*“. მართალია, ამ ცვლილებით აკაკიმ თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია დაარღვია, მაგრამ ნაწარმოებში განვითარებული კონკრეტული პრობლემა განაზოგადა და მკითხველს უჩვენა, რომ ვეზირსა და ხანს ყველგან შეიძლება დაეძებნოს პროტოტიპები, ყველა დროსა თუ სივრცეში.

პიესის 21 მოქმედი პირიდან თარგმანში მხოლოდ 13 გვხვდება. აკაკის დაუცავს ანთროპონიმების ფონეტიკური ჟღერადობა. ამასთანავე, შეუნარჩუნებია პიესის ორიგინალისეული მოქმედებებად დაყოფის პრინციპი, თუმცა მოქმედებებში გამოუყვია სცენები და გამოსვლები. მაგ.:პირველი

ვეზირის“ თარგმნით გარკვეული წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის ორი მეზობელი ხალხის კულტურის დაახლოებაში.

ი. გრიშაშვილის აზრით, „ხანის ვეზირი“ დაწერილია ფათალის ჩვეული გონებამახვილობით. მასში ნათლად მოსჩანს აზერბაიჯანის წინააღმდეგელი ცხოვრება, რომელიც პირველად ამ დრამატულ ნაწარმოებში განსახიერდა“ [გრიშაშვილი 1952: 255].

შურადინ მამედლი აკაკის თარგმანის შესახებ წერს: „თითქმის მთლიანად გადმოუტანია ეროვნული კოლორიტი და აზერბაიჯანული ხალხური სალაპარაკო ენისათვის მოქნილი შესატყვისები შეუფარდებია. შენიშვნები ამ თარგმანის ხელნაწერში, რომელიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია დაცული (ფონდი 114, #1458) ადასტურებენ, რომ პოეტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ ნაწარმოების თარგმნას.

მირზა ფათალისა და აკაკი წერეთლის სახელები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა. 1887 წელს გაზეთი „ივერია“ (# 207, 7 ოქტ.) საზო-

მოქმედებაში ერთი სცენა და ექვსი გამოსვლაა; მეორეში – ერთი სცენა და სამი გამოსვლა; მესამე მოქმედება, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს; მეოთხე მოქმედებაში – ერთი სცენა და ორი მოქმედება გვხვდება.

აკაკი თარგმანში მიმართავს წინადადებათა სხვადასხვა სახის გავრცობას. ასე მაგ.:

ორიგინალი: „*Визирь сидит в комнате первой жены, перед ним, скрестив руки на груди, стоит Хаджи-Салах*”

აკაკის თარგმანი: „ვეზირი ზის პიჩვედი ცოდის ოთახში, მუთაქაზე გადაწოდია და მის წინ მოწიწებით გუდხედაკხეფილი ჰაჯი დგას“.

აკაკი ზოგჯერ სიტუციურ გავრცობას მიმართავს. მაგ.: თარგმანში ვეზირი „მუთაქაზე გადაწოდია“, ჰაჯი „მონინებით გულხელდაკრეფილი დგას“.

ჰაჯის ნეიტრალური პასუხი – „*Да, Сударь*“, თარგმანში ოთხ ლექსიკურ ერთეულშია გაშლილი: „მართალი მოგიხსენებიათ, ჩემო ბატონო“. ამგვარი ტრანსფორმაცია უდავოდ შეესაბამება ტექსტის კონტექსტს და ვფიქრობთ, სტილისტური თვალსაზრისითაც გამართლებულია.

ორიგინალის ფრაზას – „*Приказывай, Сударь, Всей душой я готов исполнить твоё поручение*“ – აკაკი კითხვითი წინადადებათ ცვლის – „*მიბძანე, შენი მჩიხიმე, თქვენი ყუხმოჭიდი ყმა ახ გახდავაჰ?*“ მართალია, თარგმანში ლექსიკური ეკვივალენტობა დარღვეულია, მაგრამ შენარჩუნებულია აზრობრივი გადაკვეთის ლოგიკური საზღვრები. ამასთანავე, შესიტყვება „ყურმოჭრილი ყმა“ ზუსტად გამოხატავს სოციალურ ფენეთა შორის არსებულ ურთიერთობას. აკაკის თარგმანიდან მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გვხვდება ქართული ენობრივი სინამდვილისთვის დამახასიათებელი ელემენტები და საგრძნობია ქართული ლიტერატურული ტრადიციისა და კულტურის გავლენა, აკაკის შეუნარჩუნებია ორიგინალის მახვილსიტყვაობა და ირონია.

გადოებას ამცნობდა, რომ „დრამატიულმა საზოგადოებამ რამდენიმე პიესა დაარიგა გადასათარგმნელად, მათ შორის „შირ-ალი“, სპარსულიდან გადმოღებული ახუნდოვის მიერ, გადასთარგმნის ბ-ნი აკაკი“.

შურადინ მამედლი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ადასტურებენ, რომ ახუნდზადემ ეს პიესა თარგმნა სპარსულიდან რუსულ ენაზე ქართული თეატრალური საზოგადოების თხოვნით. ვასო ჩაჩანიძე თავისი მამის მოგონებების მიხედვით აღნიშნავს, რომ ეს პიესა ქართული დასის მიერ დაიდგა სცენაზე“ [ლენ-ქორანი... 1998: 3] სამწახაროდ, როგორც ა. წერეთელთან, ისე მირზა ფათალთან ამ პიესის ყოველგვარი კვალი გამქრალია.

აღსანიშნია ისიც, რომ აკაკი წერეთლის ბიბლიოთეკაში, სოფ. სხვიტორში, ინახება 1853 წელს თბილისში გამოცემული მირზა ფათალის თხზულებათა კრებული რუსულ ენაზე (ფათალი თავად თარგმნიდა საკუთარ თხზულებებს და ამდენად მათ თარგმანისათვის ორიგინალის მნიშვნელობა აქვთ).

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და თეატრის მოღვაწემ, შალვა დადიანმა, მირზა ფათალის „ძუნის თავგადასავალი“ („ჰაჯი-ყარა“) ქართულად თარგმნა და იგი ბაქოს ქართული თეატრის სცენაზე დადგა.

მირზა ფათალი ახუნდოვისათვის საქართველო მეორე სამშობლო იყო, აქ მოხდა მისი პიროვნული გამოცდილებისა და ცოდნის გაღრმავება, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, აქ ქმნიდა იგი თავის საუკეთესო ნაწარმოებებს და საბოლოოდ თბილისის მიწამ საკუთარი შვილივით მიიბარა, დედა-მინად ექცა აზერბაიჯანელი ერის წიაღში ნაშობ, სხვა რჯულისა და ეროვნების მწერალს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ქართულ სინამდვილეში (მისი მასწავლებელი მირზა შაფიც თბილისშია დაკრძალული). ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც მწერალი გარდაიცვალა, ანტირელიგიური გამოსვლების გამო მუსულმანებმა იგი „გიუარად“, რჯულის მოღალატედ გამოაცხადეს, ამიტომ მის ცხედარს დიდხანს არ კრძალავდნენ. ბოლოს თბილისში ხარფუხის უბნის მახლობლად მდებარე მუსულმანთა გორხანაზე დაასაფლავეს. მის კუბოს არცერთი მუსულმანი არ მისდევდა.

აკაკი წერეთლის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული „ხანის ვეზირის“ თარგმანი მირზა ფათალი ახუნდოვის პიროვნების ერთ-

გვარი გაცოცხლება, მისთვის პატივის მიგება და მისი სახელის დამკვიდრების მცდელობაა ქართულ სინამდვილეში.

1911 წელს თბილისის ქართულ თეატრში აღინიშნა მირზა ფათალის დაბადების 100 წლისთავი და გაიმართა მისი პიესის „მოლა იბრაჰიმ-ხალილის“ და ახვერდოვის ერთმოქმედიანი პიესის – „მირზა ფათალი ახუნდოვი“, წარმოდგენა. 1934 წელს თბილისში დაიბეჭდა მირზა ფათალის „მოტყუებული ვარსკვლავები“ კრებულში – „თურქული მწერლობა“, ხოლო 1932 წელს ჟურნალში „დროშა“ (#5) გამოქვეყნდა ი. გრიშაშვილის მიერ ა. ბერჟეს რუსული პროზაული ტექსტიდან შესრულებული თარგმანი – „ელეგიური კასიდა“ (პუშკინის გარდაცვალებაზე), რომელიც 1938 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. მირზა ფათალის შემოქმედებას არაერთი ნაშრომი ეძღვნა ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. 1937 წელს თბილისში აღინიშნა მისი დაბადების 125 წლისთავი, ხოლო 1962 წელს – მისი დაბადების 150 წლისთავი. 1958 წელს მწრალის საფლავზე აღმართეს ძეგლი, როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის კიდევ ერთი გამოხატულება.

ლიტერატურა:

ახუნდოვი: ახუნდოვი მ., „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“ (რუსულ ენაზე), ინტერნეტრესურსი: <http://www.theatre-studio.ru/library/akhundov-mf/vizir.html>, წვდომის თარიღი: 01.10.20

ბურჯანაძე 1992: ბურჯანაძე ქ., XIX საუკუნის ქარული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1992.

გრიშაშვილი 1952: გრიშაშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები, მირზა ფათალი ახუნდოვი და აკაკი წერეთელი, თბილისი, 1952.

ივერია... 1898: გაზეთი „ივერია“, 1898 წ., #23.

ლენქორანი... 1998: „ლენქორანის ხანის ვაზირი“: ქართულ სცენაზე, თბილისი, 1998.

მემედლი 1998: მემედლი შ., „ლენქორანის ხანის ვეზირი“ ქართულ ენაზე, თბილისი, 1998.

ფაღავა 1966: აზერბაიჯანული და ქართული კულტურული ურთიერთობისათვის, გამომც. ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1966.

წერეთელი 1898: წერეთელი აკ., გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 447.

წერეთელი 1959: წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, ტ.10, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959.

**Nana Gonjilashvili
Ekaterine Navrozashvili**

On the History of Translation of Mirza Fatali Akhundzade's Play

S u m m a r y

Historical friendship between Georgia and Azerbaijan has centuries old history. Especially close relations between them were revealed in the 19th century when in the epoch of the Russian tsarist rule the administrative centre of the Transcaucasia was located in Tbilisi where the best representatives of intelligentsia with different national backgrounds gathered. To them belong Mirza Fatali Akhundzade (1812-1878) the founder of critical realism, democrat, enlightener and public man; creator of the first dramatic works in the Azerbaijani language and founder of the Azerbaijani theatre.

The comedies by Mirza Fatali (prior to their publication as a collection) appeared in Tbilisi on the pages of the official newspaper "Kavkaz" in 1853 (#7, 8, 9, 30, 31, 32). Here was also published his last play "The Barristers" (1856 #93, 94, 95, 96).

Akaki Tsereteli was the first among Georgian writers who paid attention to the Azerbaijani literature and translated into Georgian Mirza Fatali Akhundzade's famous play – *The Adventure of wazir Lankaran khanate* which was published in Akaki' journal – "Krebuli" (1898, #7, p.13-53).

The translation done by Akaki Tsereteli is interesting and important in many respects. In the translation we can find the elements characteristic to Georgian reality, the influence of Georgian literary tradition and culture in spite of the fact that Akaki preserved the wit, irony and courage of the original.

ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიის ომის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობის წარმოჩენა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

აკაკი წერეთლის ლექსთა უმრავლესობა ეთნო-ეროვნული სპეციფიკის წარმომჩენია; მთავარი აზრი და იდეა მათში შეფარულადაა გამოხატული, მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში ამ ფუნქციას ხშირად სიზმარი და ოცნება ასრულებს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მასალას გვანვდის აკაკის ლექსი „შამილის სიზმარი“, რომელშიც წარმოდგენილია კავკასიის ომი და წართულადაა მასში საუბარი ქართველთა მონაწილეობის სიმცდარეზე.

შუალამეა. მთელ ბუნებას და განსაკუთრებით, კავკასიონს, სისხლი სწყურია. „ყურანის მადიდებელი“ შამილი ქვაზე ზის; გარს მურიდნი ჰყავს შემოკრებილნი, - ასეთ სიუჟეტს წარმოგვიდგენს აკაკი ლექსში „შამილის სიზმარი“, - ზოგს „გიაურის“ სისხლი უკვე შეხმობია, ზოგს კი ჯერაც ახალი სისხლი სცხია. იმამი ამხნევებს თავის მხედრებს და დარღოს ომს შეახსენებს. მოხუცებული უკანასკნელ ღონეს იკრებს და ჯარს მითითებებს აძლევს, წინამძღვრად კაზი-მაჰომეტს ნიშნავს, რომლის მიზანი „კნიაზის“ ხელში ჩაგდება უნდა იყოს. ბრძოლის შემდეგ შვილს „ძვირფასი ტყვე, წარჩინებული“ მიჰყავს მამასთან. განრისხებული შამილი მის თავის მოჭრას ბრძანებს.

პ. ინგოროყვას კომენტარებში ნათქვამია: „ეს ლექსი, მიძღვნილი შამილისადმი, მას შემდეგ არის დანერილი, როდესაც შამილი, ხანგრძლივი გმირული ბრძოლების შემდეგ, დამარცხდა და ტყვედ იქმნა წაყვანილი (1859 წ.). ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. „ცისკრის“ რედაქციას შეუძლებლად უცვნია მისი გამოქვეყნება პოლიტიკური ტენდენციის გამო [წერეთლი 1941: 633].

ლექსის სიუჟეტში არ ჩანს, რომ მოთხრობილი ამბავი შამილს ესიზმრება, რომ ეს მხოლოდ მისი ოცნებაა, რომელსაც უკვე ველარასოდეს აიხდენს, რადგან თავად არის რუსეთის ტყვე. ამ მხრივ საინტერესოა აკაკის ახლადგამოცემულ თხზულებათა სრული კრებულის კომენტარები, რომელიც გვთავაზობს ლექსის უფრო სრულ ვარიანტს. ლექსი თურმე ამგვარად არ სრულდება: „კნიაზი“

წვერებში სტაციებს იმამს ხელს და სილას არტყამს ყბაში. ძლეულ იმამს ეღვიძება. შემზარავია რეალობა, თვალეებზე ხელს იფარებს, რომ კვლავ იხილოს იგივე სიზმარი, მაგრამ მკაცრია აკაკის დასკვნა:

„მაგრამ სიზმარშიც ვერ განიხარებს
ორგზის, ვინც ცხადად უბედურ არი“
[წერეთელი 2010: 343].

სავარაუდოა, რომ „წარჩინებულ კნიაზში“ აკაკი გრიგოლ ორბელიანს გულისხმობს, რომელიც 1843 წლიდან დაწყებული თხუთმეტი წლის განმავლობაში იბრძოდა დაღესტანში რუსული მმართველობის დამკვიდრებისათვის და თავისი უშიშრობით აკვირვებდა როგორც რუსეთის ხელისუფლებას, ასევე – დაღესტნელებს. მთავარმართებელი ბარიატინსკი, თავბრუდახვეული მისი გამარჯვებებით გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „აღარ მაცდით თითქმის გონს მოვიდე, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ, ისევ თავბრუს მხვევთ თითქმის ყოველდღე თქვენი ბრწყინვალე და ჩინებულ გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით...“ [მუნარგია 2010: 127]. ცნობილია, რომ შამილს ჯილდო ჰქონდა დაწესებული თავისი უპირველესი მტრის – გრიგოლ ორბელიანის – შეპყრობაზე.

ასევე ცნობილია, აკაკის უარყოფითი დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანისადმი, რაც ნათლადაა ასახული „ჩემს თავგადასავალში“ და ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ დროს შექმნილ ლექსებში; სრულიად ნათელია 60-იანელთა, მათ შორის აკაკის, დამოკიდებულება მამათა ბრძოლებისადმი. ისინი ამ ბრძოლებში მამათა თავგანწირვას კარიერის სურვილით ხსნიან და არა სამშობლოსათვის თავდადებად და გმირობად.

„ვაშკაცობა არც შენ გიყვარს,
ვერც აიღებ, ვგონებ, შენ ყარსს“
[წერეთელი 2010 : 157].

- ასე მიმართავს აკაკი გრიგოლ ორბელიანს ლექსში „ხარაბუზა ღენერალს“. მაშ, რამ გამოიწვია „შამილის სიზმარში“ გამოხატული ემოცია?! ვგონებთ, პოლიტიკურმა ფაქტმა, რომ შამილი საბოლოოდ დამარცხდა და დამარცხდა მასთან ერთად მთელი კავკასია. ლექსშიც ხომ კავკასიისა და შამილის სურვილი ერთმანეთთანაა

გაიგივებული. კავკასიასა და მთელ მის ბუნებას – მთებს, კლდეებს, ველს, მდინარეებს, მხეცებს, ფრინველებს, ქარს, ზვავს, თერგს – სისხლი სწყურიათ და შამილი მათი სურვილის აღმსრულებელია. „გიაურების“ სისხლის აღებაში რუსეთის დამარცხება იგულისხმება, იმიტომაც არ დაუბეჭდეს აკაკის ლექსი „ცისკარში“. ზემოთ მოყვანილი ნაწარმოები მოწმობს, რომ შამილის დამარცხებას ერთნაირი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ქართული ინტელიგენცია. ახალი დროის – 60-იანი წლების ეროვნული მოღვაწეებისათვის ის ნიშნავდა კავკასიის საერთო საქმის დამარცხებას რუსული იმპერიალიზმის მიერ.

ლექსში აღწერილი სიზმარი წარმოადგენს რეალიზაციას კონკრეტული, ეთნო-ეროვნული სპეციფიკის მოვლენისა, რომელსაც კავკასიის ომი ჰქვია, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა და რომელშიაც უმთავრესი წილი ქართველების კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაზე მოდიოდა. ასე რომ, კავკასიის ომი ქართული მენტალობის თავისებურებისა და სპეციფიკის (დროსთან მიმართებაში) წარმოჩენის მცდელობაა, რაც აისახა კიდევ ქართული მწერლის მიერ დაწერილ ლექს-სიზმარში. სიზმრის სემანტიკა კონკრეტულ შემთხვევაში მოიცავს ოცნებას, რომელიც ყოველთვის უპირისპირდება ტიპოლოგიურად სანინააღმდეგო მოვლენას – რეალობას და ეს რეალობა „ორმაგად“ მწვავე ხდება, როდესაც სიზმარშიც იჭრება. სიზმრის ფუნქცია მხატვრულ ტექსტში, ამ კონკრეტული ნაწარმოების მიხედვით, განისაზღვრება, როგორც მწერლისა და შამილის ოცნების იდენტიფიკაცია, იმ განსხვავებით, რომ „კნიაზის“ – კონკრეტული ადამიანის – დასჯა მხოლოდ იმამის სურვილად უნდა აღვიქვათ, რომელსაც აკაკის ლექსში რეალობის ასახვის როლი ენიჭება; აგრეთვე – მწერლის უკმაყოფილების (კავკასიის დამარცხების გამო) შამილის ოცნებაზე გადატანით და ამ ოცნებაში იმ მაპროვოცირებელი ელემენტის შეტანით, რომ იგი სიზმარია და არასოდეს ასრულდება, მეორე ვარიანტით კი, შამილის ოცნებას სიზმარშიც რომ არ უწერია ასრულება. ანუ აკაკის სიზმარი აერთიანებს ოცნებისა (ომში გამარჯვება და კნიაზის დატყვევება) და დასაშვები რეალობის (კნიაზის მიერ იმამისათვის სილის გარტყმა) კონცეპტებს, რაც დამაფიქრებელს და საინტერესოს ხდის ნაწარმოებს.

ჩვენთვის საინტერესოა კავკასიის ომის წარმოჩენა აკაკის შემოქმედებაში რომანტიკოსთა შემოქმედებასთან კავშირშიც. თუ

ბარათაშვილისთვის რუსული სარდლობის მიერ დაღესტნელების დამარცხება ქართველთა გამარჯვებაა, აკაკისათვის ეს ომი მთელი კავკასიის სიკვდილია, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოც მოიაზრება. ბარათაშვილი არც კი აღნიშნავს, რომ ეს იმპერიის ომია და საქართველოს ომად მოიხსენიებს, რომელსაც „ლუბერნიის“ მარშალი თავადი დიმიტრი ორბელიანი ხელმძღვანელობს, მეფე ერეკლეს აჩრდილი კი ქართველთა ჯარს ამხნევენ: „ქართველნო, ჰე, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე მადლით!“ [ბარათაშვილი 1968: 131]; მსგავსად იქცევა მისი წინამორბედი გრიგოლ ორბელიანი, როდესაც პოემა „სადღეგრძელოში“ ერთხელაც არ მოიხსენიებს, რომ ერევნის სიახლოვეს გამართული ომი რუსეთსა და სპარსეთს შორის მომდინარეობს 1827 წელს და ამ ომში ქართველებიც მონაწილეობენ. პოემაში მთელი ზეციური საქართველო გვერდით უდგას მებრძოლებს და ისინიც მათ სადღეგრძელოებს ამბობენ თამადის მეთაურობით და მხოლოდ ერთხელ გაისმის იმპერატორის ქებაც, რომელიც მიგვანიშნებს რეალურ დროზე. ბარათაშვილის ლექსში, რომელსაც საკმაოდ ვრცელი სათაური აქვს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“, ნახსენებიც კი არ არის რუსული მთავრობა, მასში მთელი საქართველოს სოციალურ ფენათა ერთობა ჩანს, მაგრამ სიტყვაც არ არის თქმული რუსეთისა და საქართველოს ერთობაზე. ბარათაშვილი, აკაკისაგან განსხვავებით, შეფარვითაც კი არ აღნიშნავს, რომ ეს ომი ძველ, ისტორიულ მტრებთან ომია და ამიტომაც აქტიურობენ მასში ქართველები.

როგორც ვხედავთ, ქართულ რეალისტურ ლიტერატურაში იცვლება მიდგომა მოვლენებისადმი. 60-იანელები უფრო ფართო მასშტაბით აფასებენ ფაქტებს, მათთვის ქართველების ბრძოლა ისტორიული მტრების წინააღმდეგ ჩინების მოპოვებისათვის ბრძოლად აღიქმება და არა რეალურ გამირობად, მათთვის საქართველოს დიდებული წარსული მხოლოდ გამხნევებაა მომავალი თაობისა, რომელმაც დამოუკიდებლობისათვის უნდა იბრძოლოს, მწერლობის ფუნქცია კი ამ ყოველივეს პირდაპირი ან შეფარული შეხსენებაა.

ლიტერატურა:

- ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, პავლე ინგოროყვას რედაქციით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1968;
- მეუნარგია 2010:** მეუნარგია ი., თხზულებანი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010;
- წერეთელი 1941:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. II, თბილისი, 1941;
- წერეთელი 1941:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, ლექსები (1856-1880), გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2010.

Ana Dolidze

Representation of the symbolic-allegorical significance of the Caucasus war in the work of Akaki Tsereteli

S u m m a r y

Most of Akaki Tsereteli's poems represent ethno-national specifics; The main point and ideas are expressed hiddenly in them, In the structure of a fictional text, this function is often utilised by a dream. in this regard, Akaki's poem "Shamil's dream" provides a bright example, It presents the war in the Caucasus and tells about the mistake of Georgia's participation..

The dream described in the poem is a realization of a specific, ethno-national event called the Caucasus War., Which lasted for more than half a century and in which the main part came from the efforts of the Georgians against the Caucasian mountaineers. So, the war in the Caucasus is an attempt to show the peculiarities and specifics of the Georgian mentality (in relation to time), Which was even reflected in the poem-dream written by a Georgian writer. The function of the dream in the literary text, according to this particular work, is defined as the identification of the writers and Shamil's dream, To move the writer's dissatisfaction (over the defeat of the Caucasus) to Shamil's dream.

The article presents a parallel discussion of the topic raised by Akaki's - the war in the Caucasus With the eyes of romantics. If for Baratashvili the defeat of the Dagestanis by the Russian command is considered to a victory for the Georgians, for Akaki this war is the death of the whole Caucasus, which includes Georgia.

ვაჟა-ფშაველა, როგორც ფოლკლორისტი (ეთნოგრაფიული წერილები)

„არც ერთი საქმე ისე სასწრაფო არ იყო, როგორც ზეპირგამოცემათა შეგროვება“. - ამბობდა აკაკი და მართლაც, სწორედ მე-19 საუკუნიდან, „თერგდალეულებმა“ დაიწყეს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ინტენსიური მოგროვება, საფუძვლიანი შესწავლა. მანამდეც ექცეოდა ამ საქმეს ყურადღება, თუნდაც მე-18 საუკუნის ხელნაწერთა მხატვრული ანთოლოგიების შედგენა რომ გავისვენოთ, ან შემკრებლები: გრიგოლ ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი და სხვა, მაგრამ ქართული ფოლკლორის სისტემურ და ორგანიზებულ შესწავლას სწორედ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმ სხდომაზე ჩაეყარა საფუძველი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ვაჟა-ფშაველაც, რომელმაც ადრეული ასაკიდან გაითავისა ხალხური ზნე-ჩვეულებები თუ პოეზია, აქტიურად იყო ჩაბმული ამ საქმიანობაში. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა ვაჟას დედამ, რომელმაც წერაკითხვის უცოდინარმა, კარგად იცოდა ხალხური ლექსები და ზღაპრები. ასევე, დედის ბიძა, პარასკევა, მწერლის სიტყვებით, „პირველი მელექსე იყო ფშავში“. რაზიკაშვილების ოჯახის პოეტური ტრადიცია კი ყველას მოგვეხსენება. ცალკე ოჯახურმა გარემომ, პოეზიით სავსე სოფლის ხალხურმა ხატობებმა, ცალკე მისმა საზოგადოებრივ-ლიტერატურულმა შეხედულებებმა დააკავშირა ვაჟა-ფშაველა ხალხთან. იგი იყო მთის პოეზიის, ყოფა-ცხოვრების შემკრები და ღრმა მკვლევარი. ამ მხრივ მდიდარი მასალაა მის პუბლიცისტიკაში. ეს საქმიანობა ვაჟას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია და მის კალამს უამრავი საინტერესო ეთნოგრაფიული წერილი ეკუთვნის თუშ-ფშავ-ხევსურების ცხოვრებიდან. საგმირო სიტყვიერების სიმდიდრით ხევსურეთმა ადრიდანვე მიიქცია ყურადღება, მაშინ, როცა ქართული ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმე ის-ის იყო ფეხს იკიდებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველამ მხატვრულ შემკვიდრობასთან ერთად თეორიულ-ლიტერატურული ხასიათის შრომები დაგვიტოვა. მის ეთნოგრაფიულ წერილებს, რომლებიც ცალკე კო-

რესპონდენციებად იბეჭდებოდა და სრულ წარმოდგენას გვიქმნის ვაჟა-ფშაველას ამ დარგში ღრმა ცოდნასა თუ კვლევის სისტემაზე, დიდი ადგილი უჭირავს არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ ქართულ და უცხო ენებზე ფშავ-ხევსურეთის შესახებ გამოქვეყნებულ მდიდარ ლიტერატურაში. ეს წერილებიც გამოირჩევა მხატვრულობით. ამის შესახებ თვითონაც აღნიშნავდა, როცა თავის უმთავრეს ნაშრომს, “ფშაველს და მის ნუთისოფელს”, ეთნოგრაფიულ მოთხრობას უწოდებს. ეს, მართლაც, საუკეთესო ნიმუშია ვაჟა-ფშაველას პროზისა. სხვა წერილებიც უფრო მხატვრული ნარკვევებია, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიება. აქ მეცნიერული სიზუსტისა და მხატვრული დამაჯერებლობის წყალობით მკითხველი კარგად ეცნობა ფშავლების ყოფის დეტალებსა და ძირითად ზნე-ჩვეულებებს.

ამ წერილებში წარმოჩენილია თანამდროვე ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიისთვის მეტად საინტერესო მასალა ქართველი ერის უძველესი, კლასობრივი დიფერენციაციის უქონელი, საზოგადოებრივი ფორმაციის შესახებ, თემური მინათმფლობელობით, საადათო სამართლითა და ანიმიზმით (მას ჩვენამდე არ მოუღწევია შეურყვნელად, თუმცა დღესაც გაირჩევა ელემენტები, რომელნიც ხალხის შემოქმედების ძალის შედეგია ან გარედან შემოტანილი), არა მუზეუმის ექსპონატების სახით, არამედ ცოცხალ ლაბორატორიაში, როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავს და ამ მასალას გვანვდის თვითონ ამ ფორმაციის შვილი, გვაროვნულ-თემური წყობილებიდან გამოსული დიდი მწერალი.

ძალიან საინტერესოა და პარადოქსული მთაში ქალისადმი დამოკიდებულება, რომელსაც ვაჟა თავის წერილებში დაწვრილებით მიმოიხილავს. დედაკაცს ეშმაკის გაჩენილად თვლის ფშაველი, როგორც ზემოთაც ვთქვით, სიტყვებს ქალი და ალი ერთმანეთთან აკავშირებენ, მათი თვისებები ერთმანეთზეა გადატანილი. ვაჟა მიმოიხილავს, რამ დაბადა ეს წარმოდგენა. ქალს მეტისმეტ მგრძნობიარობისა და ფანტაზიის აყოლის გამო დაუწყია სხვადასხვა ჩხირკედელაობა: ქადაგ-მკითხაობა, შელოცვა, ექიმბაშობა და სხვა მრავალი ხრიკი, რის გამოც დაეჭვებულა მამაკაცი. სხვამხრივ, ოჯახის წინაშე დიდ როლს კისრულობს დედაკაცი, რომლისთვისაც ოჯახი წმინდათაწმინდა კერაა, „სადაც შეინირების მსხვერპლი ცოცხალთა სადღეგრძელოდ და მკვდართა მოსახსენებლად. ამიტომ იგი მეთვეურობისა (ბოსლობა) და მშობიარობის დროს ორმოც დღეს სტოვებს ოჯახს, რათა განწმენდილი და განბანილი შევიდეს

ოჯახში და არ შეებლალოს მისი სინმინდე...მშობიარე დედაკაცს, ვიდრე დანიშნული დრო არ გავა და არ „დაირეცხება“, მ ე ქ ო ხ ე ჰქვიან” [ვაჟა-ფშაველა 1964: 349]. გ. ქიქოძის აზრით, ეს შეიძლება ძველ ირანულ ზნე-ჩვეულებათა გავლენის ნაშთი ყოფილიყო. რაც შეეხება კერას, რომელსაც სახლის ანგელოზი ჰყავს, რომლის სადღეგრძელოს მუდამ სვამს ფშაველი, მას უფლობს და განაგებს სწორედ დედაკაცი, როგორც დიასახლისი. კერას, სადაც ანთია და იქვე ჩამოიქნება ხატისა და ღვთის წინაშე ასანთები სანთელი, ტყუილად არ ჰქვია ტრაპეზი და დედაკაცის სწორედ ღვთისადმი მსხვერპლის შემწირველია. იგი მარტო ოჯახს როდი უვლის, ოჯახის გარეთაც ენევა შრომას, შვილის აღზრდითაც იგია დაკავებული. მთაში ქალი შეჩვეულია მძიმე შრომას, ის მამაკაცის მარჯვენა ხელია, ხშირად უხდება მარტოს დარჩენა ღია ცის ქვეშ, მწყემსობისას და საქონლის მოსატაცებლად მისული მგლისა თუ დათვის მოგერიება, ბევრჯერ იარაღის ხმარებაც სჭირდება. ვაჟა აღნიშნავს ქალის მისიის განსაკუთრებულობას, მის დიდ ძალას ოჯახში დიდსა და პატარაზე. შვილების პირველ-დანყებითი აღზრდაც მის ხელშია, იგია გადამწყვეტი შვილების ბედ-იღბლისა, რომელთა მომავალი იმაზეა დამოკიდებული, რითი ასაზრდოვა დედამ მათი გრძნობა და გონება. ასე რომ, შინ ოჯახს და გარეთ საზოგადოებას ემსახურება დედაკაცი და „მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდევ ალადგინოს” [ვაჟა-ფშაველა 1964: 347]. ქალთან მთიელის დამოკიდებულების პარადოქსულობა კი ისაა, რომ მართალია, მთის მრისხანე ბუნება გაჭირვებულ ცხოვრებას აჩვევს ქალს, იგი მამაკაცივით შრომობს და ყველა საქმეში მხარში უდგას მას, მაგრამ ეს ხდება ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით. ქალს საკმაო თავისუფლებაც აქვს მინიჭებული, მას მამაკაცი ყარაულს არ უყენებს და ამიტომ შეუძლია მარტომ იაროს თუნდაც უდაბურ ადგილებში, საკუთარი სოფლიდან დაშორებით (ფშაველი ქალები სითამამითაც გამოირჩევიან). მოდით, აქვე ვთქვათ ვაჟას შეხედულება ხალხურ, კერძოდ, ფშაველთა შემოქმედებაზე. ვაჟა აღირებს ფშაური პოეზიის უპირატესობას თუნდაც „სულის გამაღვიძებელი” კილოთი, ძველებური სიტყვებითა და ცხოვრებაზე სპეციფიკური შეხედულებებით „მნიგნობრულ” პოეზიასთან შედარებით. აქ ნიშანდობლივია კაფია-ექსპრომტები, ხლოვნურად ნათქვამები, ყოველ სიტყვაში რომ აზრია. სწორედ ამ პოეზიამო, ფოლკლორმა, თავისი ჰეროიკული სულისკვეთებით, დაუდო საფუძველი ჩემს შემოქმედებასო.

ფშაურ პოეზიაში, სადაც მთავარი ადგილი საგმირო პოეზიას ეკუთვნის ისტორიულად, თავისი, ვაჟას თქმით, „სასტიკი“ წარმოდგენებით გმირის იდეალზე, გაიდეალებულია, გაღმერთებულია ქალიც, მისი სილამაზე იმდენად, რომ მთიელი მზადაა, მისთვის მოკვდეს, საყვარელი უნდა გახდეს ქალისთვის. რომ თუ იგი მოკვდება, ქალმაც თავი უნდა მოიკლას და მასთან ერთად დაიმარხოს. ვაჟა მოგვითხრობს, რომ ფშაური პოეზიის მიხედვით, ხალხს მარტო ქალის სილამაზე კი არ მიაჩნია გადამწყვეტად, მისი პატიოსნება, ოჯახის ერთგულება, რომლებსაც ვაჟი უპირველეს მოთხოვნად უყენებს ქალს.

ახალმა დრომ ახალი იდეალები მოიტანა, ფშაველს გმარობის, ვაჟკაცობის, ხმლის ქნევის დრო წაერთვა, ცხოვრებას მაგარი მკლავისა და გულის ნაცვლად მეტი პრაგმატიზმი დასჭირდა. ქალის ძველ იდეალს კი ფიზიკური გარჯაც, როგორც სილამაზე, ისე დაერთო (ყოფითი ლექსები). მე-19 საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა ფშაველს რწმენაც შეუცვალა და ათქმევინა: „ეშმაკი სადღაა, თვითონ კაცი გახდა ეშმაკი“ - ო” [ვაჟა-ფშაველა 1964: 177].

ქალის იდეალზე ვსაუბრობდით და არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თამარ მეფის სახე-ხატად აღქმის ტრადიციას ფშავში (ვაჟას პოეზიაშიც განსაკუთრებული პატივისცემაა თამარისადმი). ვაჟა აღნიშნავს, რომ თამარისადმი ერთნაირი დამოკიდებულება არაა ფშაველებსა და ხევსურებში. ფშავლებს ძველისძველადვე შეურაცხავთ თამარი წმინდანად, „ხატად“ და მისი სადიდებელი დღეებიც დაუნესებიან, ხოლო სადიდებლად ჰყავთ ცხვრის ფარა, რომელსაც „თამარის ცხვარი“ ეწოდება, რაც ისტორიკოსებისთვის საყურადღებოაო, წერს ვაჟა. გარდა ამისა, თამარ მეფე ერთადერთი ხატია ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც ჰყავს მოლოზნები, ე.წ. „ხატის ქალები“.

ფშაური, სატრფიალო ლექსის საფუძველი იმ ჩვეულებაშია, რომელსაც „წაწლობა“ ეწოდება. ეს უკანასკნელი დიდ ზეგავლენას ახდენდა მამაკაცთა ვაჟკაცურ, გმირულ ქმედებებზე და მდიდარ მასალას აძლევდა ფშაურ რომანტიკულ პოეზიას და ფშაველთა პოეტურ ხასიათს - „წაწლობა მაღალისა და იდეალურის გრძნობით არის მონათლული, თითქოს პლატონიურს სიყვარულზედ იყოს აღმოცენებულიო, და ამ ბოლო დროს კი ლამის სიყვარულად, არშიყობად გადაიქცეს“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 100]. სიყვარული მხოლოდ მაშინ არის ლამაზი, როცა იდეალურია, ვაჟას აზრით, ჰკარგავს თუ

არა იდეალურობას, მასთან ერთად სილამაზესაც. დღეს ხევსური ნაწლობას ისე უყურებს, როგორც საყვარლობას და მასში იდეალურს არაფერს ხედავს, წერდა ვაჟა (თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ ფშაველი პირადს, ინტიმურ დამოკიდებულებებში ქალისადმი მოკრძალებული და მორიდებულია). მართო გმირობისა და სიყვარულისადმი კი არა, ახალმა ცხოვრებამ ხატისადმი დამოკიდებულებაც კი შეურყია ფშაველს, რომელსაც ხატისადმი სამსახური უკვე, ცოტა არ იყოს, ემძიმება.

ვაჟა განიცდიდა ყველაფერს, რაც ხალხურ ჩვეულებებსა და შემოქმედებას შეეხებოდა, ვერ ეგუებოდა ამ მხრივ დამახინჯებებს და სხვის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობდა. ამიტომ ეკამათებოდა იგი მკვლევარ მ. კოვალევსკის (გამოჩენილ რუს იურისტს, სახელმწიფო სამართლის დიდ სპეციალისტს), რომელიც ნაწლობასა და „ლაშარობას“ სარწმუნოებრივ გარყვნილებად, ჰეტერიზმად ნათლავდა და მის შეცდომას ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის უცოდინრობით ხსნიდა. გერონტი ქიქოძის აზრით კი, „ნაწლობა...შეიძლება ეგზოგამიურ გვარამდე არსებული წესწყობილების ნაშთს წარმოადგენდეს და ერთგვარი სანაზღაური იყოს იმ შეზღუდვისა, რომელსაც ფშავ-ხევსურული გვარი ერთსა და იმავე თემის ქალვაჟისგან მოითხოვდა სქესობრივ ურთიერთობაში“ [ქიქოძე 1937: 14].

არაჩვეულებრივი რამაა ტრადიციის ძალა და არ ესმით მათ, ვინც მის აღმოფხვრას ქადაგებს, ამისი არაბუნებრივობა. თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ვაჟა მოგვითხრობს მთიელთა ტრადიციულ სხვადასხვა წარმოდგენაზე, ჩვეულებასა და წესზე. თუნდაც იმ ზომიერების გრძნობაზე, რომელიც ხევსურებს ჩხუბისას ახასიათებთ: მძიმედ დაჭრა კაცისა სირცხვილია მათთვის, ამიტომაც ან დიაცი, თავისი მანდილით, გამოჩნდება მედიატორად ამ დროს, ან ხშირად ხალხს, ხევისბერებს გამოაქვთ ხოლმე დროშა გასაშველებლად. მთაში დატირების ჩვევაც ნიშანდობლივია იმით, რომ ხშირად მოტირალი კაცია ან სიმღერა, რომელიც ისევ „ტირილის ზარს მოგაგონებს: იგი როდესაც იმღერის - გმინავს და მთებსაც აგმინებს“. [ვაჟა-ფშაველა 1964: 47] - ეს, ზოგადად, ქვეყნის საუკუნეებით ძვალ-რბილში გამჭდარი ტრაგიზმია. თავისებურია ბავშვის პატივისცემაც მთაში: “როდესაც ბალღი სახლში შადის და იქ თუნდ ორმოცი დროული მოხუცებული კაციც იყოს, ყველანი მაშინვე ფეხზე აუდგებიან და მიესალმებიან: - მოხვედი მშვიდობითაო!

(სახელი) - დასხედით, დასხედით, თქვენც დამხვდით მშვიდობითაო” [„ხევსურები“ ვაჟა-ფშაველა 1964: 49]. ძველი ცხოვრების წესი მთის ხალხისა მოუსვენარი, ხიფათით აღსავსე იყო, “მუდამ სისხლით შეღებილი” (აქვე უნდა ითქვას ლაშქრობის კულტზე, რომელსაც “ლაშარის ჯვრის ყმობა” წარმოადგენდა), ამიტომ შინ მშვიდობით დაბრუნება ყოველთვის სანატრელი იყო. ფშაველი მამაკაცი ვიდრე თავის სტუმარს ეტყოდა, “მოხვედ მშვიდობითაო”, ჯერ გამარჯობას ეუბნებოდა. ასეთივე ტრადიციული, მტკიცე წესია ის, რომ “ხევსურს ვერც კაცს, ვერც დედაკაცს ვერ იპოვით დღეს, რომ შინ მომზადებული შალის ტანისამოსი არ ეცვას, და თუ ხევსურებმაც თავიანთ “ტალავარი” ნაყიდ ფარჩისაზე გაცვალეს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ხევსურეთში ხევსურეთის არსებობა.” [ვაჟა-ფშაველა 1964: 222-223] - ეს სიბნელე არავის ეგონოსო, ამბობს ვაჟა, ეს თვითმყოფადობაა, რომლის დაკარგვის შემთხვევაშიც, მთის არსებობაც შეწყდება. ამის ერზე განზოგადებაც შეიძლება. საინტერესოა მთიელთა ომზე წარმოდგენაც, რომელიც იქამდეა ცნობიერებაში გამჭდარი, რომ მიცვალებულს საფლავშიც აყოლებდნენ საომარ იარაღებს, ეგონათ, საიქიოშიც მოელოდა მტერთან შებმაშეტაკება. ახალ დროშიც “ადამიანში იგივე ძველის-ძველი მხეცი ბუდობს და ყველა სხვა უნარზე წინ გულოვანობა-ვაჟკაცობას აყენებს” [ვაჟა-ფშაველა 1964: 373]. მთის ხალხის წარმოდგენებში უცნაურადაა გადანეხილი მითოლოგიურ-წარმართული ქრისტიანულთან. თუნდაც დევებზე რწმენა. აქვეა მითოლოგიური წარმოდგენები დევებთან მეზრძოლ და მათ მძლეველ კოპალასა და იახსარზე. კოპალა, რომელიც ბერი ყოფილა, უფრო სახელიანია იახსარზე. კოპალას თუ მთავარნგელოზი მიეშველა დევებთან ბრძოლისას, იახსარი თავად ანგელიზია, ხატი, ციდან ჩამოსული.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფშავ-ხევსურთა რელიგიურ რწმენას ეკლექტიზმი ახასიათებს და ეს არის ფშაველისა და ხევსურის ფანტაზიით შექმნილი თავისებური წარმართული კერპების, ქრისტიანული წმინდანებისა და გაღმერთებული ისტორიული პირებისაგან შემდგარი პანთეონი, რომელშიც წინაპრებს ყოველთვის საპატიო ადგილი უკავიათ. ესაა მიცვალებულთა კულტი და ბუნების ძალთა გაღმერთება. ამ უკანასკნელთა წარმომადგენელია ე.წ. „ადგილის დედა“, რომლის კულტი ფშავ-ხევსურეთში საყოველთაოდაა გავრცელებული და ნაწილობრივ ძველი ელინების ნაყოფიერების ქალღმერთ ცერარას ნააგავს, ნაწილობრივ კი

ქრისტიანულ ღვთისმშობელს. აგრეთვე, მამადმერთი მორიგე, რომელიც ანესრიგებს ქვეყნიერებას და იერარქიულად მაღალ საფეხურზეა. „ქრისტე ერთი უბრალო წევრია ფშავ-ხევსურეთის პანთეონში და მიცვალებულთა ღმერთად გამოდის. წმინდა გიორგის ხელობის გუდანის ხატი მოლაშქრე ღმერთია, ხახმატის ხატი საქონლისა და ჯოგის გამმრავლებელია, თეთრი სანება მეკობრობის და ნადირობის ღმერთია, პირიმზე ცალრუბლის; კოპალა და იახსარი დევების, ალების და მაჯლაჯუნების მებრძოლი კეთილი გენიები არიან, შეიძლება ისინი მაზდეანური დუალიზმის ნაშთს წარმოადგენდნენ ფშავ-ხევსურეთში; ხოლო კვირია ხმელთა მოურავია და სხვ“ [ქიქოძე 1937: 10]. აქვეა, როგორც უკვე ვთქვით, ისტორიული გმირების, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის გაღმერთება - „არც ერთს სხვა ფშაურს „ხატს“ ანუ სალოცავს იმდენი მლოცავი არა ჰყავს, რამდენიც ლაშარის ჯვარს“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 234]. თამარი მკურნალ ღმერთად ითვლებოდა და მთელ ფშავ-ხევსურეთში ერთადერთი, ხატის-ხევში, მდინარის ნაპირას პატარა მონასტერიც ჰქონდა. ხევისბერებს რაც შეეხება, ფეოდალური მოხელეები იყვნენ, რომლებიც მთაში ნაწილობრივ გადაგვარდნენ, დაქვეითდნენ, ქონება დაკარგეს და ბოლოს საეკლესიო ფუნქცია მიითვისეს, რომელიც თავდაპირველად მათ კომპეტენციას არ შეადგენდა. ეს იყო თავისი პრიმიტიული და შეზღუდული პრივილეგიების მქონე წოდებრიობის პირველი, სუსტი ჩანასახი გვაროვნულ პრინციპზე აგებულ პირველყოფილ თემში. მათი მღვდელმსახურება მარტივი და უცნაური იყო: ხატი მას მოუწოდებდა ხატის დღეობამდე თვენახევრის განმავლობაში ქალს არ გაჰკარებოდა, ხატობის წინ ტანი განებანა, მხოლოდ რქიანი საქონლის ხორცი ეჭამა, წარმოეთქვა სრულიად ბუნდოვანი ფორმულები, რომელშიც ქრისტიანულ-წარმართული ცნებები ერთმანეთში იყო არეული და ხატობაში წმინდა წარმართული მსხვერპლი შეენირა, რომელიც მათი შემოსავლის წყარო იყო, რადგან შეწირული საქონლიდან განსაზღვრული წილი ერგებოდათ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ფშავში სულთა მოხსენიების დღე, ხალარჯობა, როცა „გლოვა...სათემო, საზოგადო ხდება: ერთი მრავალის მიცვალებულსა ჰგლოვობ და მრავალნი ერთისას“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 93].

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ადათობრივი სამართლის ისტორიას, რომლის ცალკეული ნორმები მთაში

მცხოვრებთათვის უფრო გასაგები და მისაღები იყო, ვიდრე მოქმედი კანონმდებლობა. ეს კი გარკვეულ ანტაგონიზმს ქმნიდა ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ეს დამკვიდრებული ადათობრივი სამართლის ნორმები სრულიად კანონზომიერი იყო და ხშირად ასეთ მოვლენას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არავინ ეწინააღმდეგებოდა, მხარსაც უჭერდნენ. ვაჟა განიხილავს („ხევსურის ქორწილი“, „ცოტა რამ გლეხთა ყოფაცხოვრებაზე ფშავში“, „ფშავ-ხევსურთა ავკარგი“, „ხევსურის თავი“ და სხვ.) ამ საკითხის ისტორიულ წანამძღვრებსა და წყაროებს, მოქმედების სფეროსა და საზოგადოებრივ როლს. მთაში გავრცელებული სამართალი არ იყო მარტივი, იქაური ხალხის ცხოვრების სირთულიდან გამომდინარე. სასამართლოს ფუნქციას თემის, სოფლის კრება ასრულებდა და დამნაშავისათვის სასჯელის ორი ფორმა იყო: ფიზიკური - „ჩაქოლვა“ და ზნეობრივი „სოფლიდან მოკვეთა“. ვაჟას წერილებში საინტერესო ცნობებია სისხლის აღებაზეც: „სისხლის აღება ჩვეულებად ჰქონდათ ფშაველებს, როგორც სხვა მთიულებს, მაგრამ შერიგებაც შესაძლო იყო, თუ მკვლეელი სახვეწრით მივიდოდა მოკლულის ნათესავებთან და კაცის „თავსისხლს“ ზღავდა“ [ვაჟა-ფშაველა 1964: 284]. ნათესავი ნათესავის მიმართ მსგავსი ქმედებისთვის საზღაურს არ იხდიდა, მხოლოდ ასეთი ადამიანი „ცოდვიანად“ ითვლებოდა და მას ზიზღით, პირარიდებით ექცეოდნენ. დიდი უფლებებით სარგებლობდა ოჯახის მამა - ოჯახის თავი, რომლის სურვილზე იყო დამოკიდებული ვაჟის ცოლის შერთვა, მის გადანყვეტილებას ოჯახის ყველა წევრი ემორჩილებოდა. არსებობდა ცოლ-ქმარს შორის ქონებრივ-ზნეობრივი ვალდებულებები. ვაჟა იმასაც აღწერს, როგორ ტარდებოდა ესა თუ ის ნორმა ცხოვრებაში, მაგალითად, დაჭრის, ე.წ. „დაკეჭვნის“ დროს საზღაურის გადახდას ადგილობრივების მიერ არჩეული „მერჯულეები“ განსაზღვრავდნენ. ქრილობა მარცვლებით იზომებოდა, სწორედ მარცვალთა რაოდენობა განსაზღვრავდა, დაძქრელს რამდენი ძროხა ან მანეთი უნდა გადაეხადა დაჭრილის სასარგებლოდ. ერთმანეთის დაჭრა ყოველთვის ერთნაირად არ ხდება, როგორც ვაჟა წერს, ძირითადად, გაზაფხულსა და ზაფხულის ზოგიერთ დღეებში, როცა ხატობებია და ზამთარი ითვლება კეჭნაობის სეზონად. როცა თიბვისა და მკის დროა, ეს ჩვეულება თავისთავად ისპობა, რადგან ძალიან მნიშვნელოვნით, საზრდოს მოპოვებითაა მთიელი დაკავებული.

„სასისხლო საქმე“ - სისხლის სამართლის საქმე, „ხვთიური მსჯავრი“ - გამოცდა მდულართა და შანთით, „თავსისხი“ - სისხლის ალების დროს შერიგების საზღაური, „გაიავება“ - მეტი საზღაურის მისაღებად ჭრილობის განზრახ გამიზუზება, „რიგის დაყენება“ - ქვრივი ქალის მიერ ქმრის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე პანაშვიდის გადახდა, „კაცების დასხმა“ - ოჯახის გაყოფის დროს მედიატორების ამორჩევა და ა.შ. - ვაჟა-ფშაველამ ქართულ ენაში ბევრი იურიდიული ტერმინი შემოიტანა. ადათობრივი სამართლის უმეტეს ნორმებს ვაჟა დასაშვებად მიიჩნევდა და გამოაქვეყნა კიდეც 1905 წელს თავის მიერ შედგენილ ფშავ-ხევსურთა დეკლარაციაში, ამ უკანასკნელის საკანონმდებლო აქტად გადაქცევის სურვილით.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი მერყეობს მარტივს, პრიმიტიულსა და მაღალკულტურულ მისწრაფებებს შორის. ისიც ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა ქეიფმობებრებულ ახალგაზრდებს რუსთაველს, გურამიშვილს, „კალმასობას“ უკითხავდა ხოლმე. ფშაველი მწყემსები ერთმანეთს ასწავლიდნენ თურმე წერა-კითხვას და უმაღლესი ბედნიერება მათთვის ჩანთაში „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ქონა იყო. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან „ეს პატარა ტომი ვერ შექმნიდა ისეთ მდიდარ სახალხო პოეზიას, როგორიც მან შექმნა, და ვერ წარმოშობდა ისეთს დიდს მწერალს, როგორიც ვაჟა-ფშაველა იყო“ [ქიქოძე 1937: 14].

ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ქიქოძე 1937: ქიქოძე გ., ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, წინასიტყვაობა, თბილისი, 1937.

Maia Iantbelidze
Vazha-Pshavela as a folklorist (Ethnographical letters)

S u m m a r y

As we have mentioned, Vazha-Pshavela left us the works of theoretical and literary character along with his artistic heritage. His ethnographic letters, which were being published as the separate correspondences and which give us a complete picture of Vazha-Pshavela's deep knowledge and research system in this field, occupy a large place not only in the writer's work, but also in the rich literature about Pshav-Khevsureti published in Georgian and foreign languages. These letters are distinguished by their artistry. He mentioned himself about this, when he called his main work, "Pshavian and His Minute World" an ethnographic story. This is indeed the best exemplar of Vazha-Pshavela's prose. Other letters are also more like feature-stories, than scientific researches. Here, thanks to scientific accuracy and artistic persuasion, the reader is able to be well acquainted with the details of the life and the basic habits of Pshavians.

It is very interesting and paradoxical the attitude towards women in the mountains, which Vazha discusses in detail in his letters. The paradox of the mountaineer's attitude towards women is, that nevertheless the mountains ferocious nature habituates a woman to the life of hardship, she works like a man and upholds him in all matters, but this is done voluntarily and not by force. Pshavians consider a woman to be the origin of the devil, the words woman and deviless are equaled with each other, their qualities are transferred to each other, however in heroic poetry a woman is deified so much that a mountaineer man is ready to die for her, to become a lover for a woman. Vazha narrates us that according to Pshavian poetry, people do not consider the beauty of a woman to be decisive, but her honesty, family loyalty, which is the first thing a man demands from a woman. In this regard, we can not ignore the tradition of perceiving Queen Tamar as an face-icon in Pshavi (Vazha's poetry also has a special respect for Tamar).

Vazha also narrates in his letters about the custom, which is the basis of the love poetry and had a great influence on the courageous, heroic actions of men, and gave rich material to the Pshvian romantic poetry and the Pshavians' poetic character. In the imaginations of the mountain people it is strangely intertwined the mythological-paganish and Christian notions. For example, belief in giants. Here are the mythological representations of Kopala and Iakhsar fighting the giants and defeating them. As mentioned

above, the religious belief of the Pshav-Khevsurian people is characterized by eclecticism, and it is a pantheon of pagan idols, Christian saints and deified historical figures created by the imagination of the Pshavian and Khevsurian, in which ancestors always have an honorable place. This is the cult of the dead and the deification of the forces of nature.

In Vazha-Pshavela's ethnographic letters the history of customary law in the highlands of Georgia occupy a large place, the separate norms of which were more understandable and acceptable to the inhabitants of the mountains than the current legislation. This had created a certain antagonism between the government and the local population. These established norms of customary law were completely regular and often such an event was not opposed, but supported by the authorities.

Vazha-Pshavela's merit as a serious and thorough researcher of folklore is great (mainly was restricted to the Pshavian folk literature, although he sometimes used the folklore of other peoples, for instance, Russian), and he deservedly holds a leading place in Georgian folkloristics.

ლადო მინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურული ურთიერთმიმართების შესახებ

ქართული მწერლობის მეისტორიე ყოველთვის საგანგებოდ მოიხსენიებს ერთ ფაქტს: ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის მარტის ნომერი იხსნებოდა აკაკი წერეთლის ლექსით „პ.წ.“ (პელაგია წერეთლისას), მას მოჰყვებოდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „მეც შავ თვალეზს“. ილია ჭავჭავაძე ამ დროს იყო 21, ხოლო აკაკი – 18 წლისა. ასე შეხვდა ერთმანეთს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ეს ორი სახელი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, რათა სულ მალე სამუდამოდ დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის, სამუდამოდ დაენწყვილებინა – ილია და აკაკი, აკაკი და ილია.

მწერალთა დაწყვილების მაგალითებს არც სხვა ქვეყნების მწერლობის ისტორიებია მოკლებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავსი მაგალითი თავიანთი სანუკვარი მწერლების დაწყვი-

ლებისა, ასე ურთიერთგადაჯაჭვისა, როგორც ეს ჩვენს ლიტერატურაში გვაქვს, არსად გვხვდება, ამაში ჩვენი ხალხის სურვილი, მისწრაფება და ოცნებაც ჩანს სასიქადულო მამულიშვილთა ერთობისა, ურთიერთთანადგომისა და მხარდაჭერისა საზოგადო, საეროვნო საქმეში... ხალხის ეს ნდობა ჩვენი ქვეყნის ბედითა და მისი ისტორიითაც არის ალბათ განსაზღვრული.

ისიც ფაქტია, რომ დიდმა მამულიშვილებმა ილიამ და აკაკიმ ხალხის ეს ნება და სურვილი იმთავითვე იგრძნეს და სათანადო ღირსებით უპასუხეს... რაც მთავარია, ეს დაკავშირება არ იუცხოვეს, შეიფერეს, რაც, თქმა არ უნდა, ურთიერთალიარებასაც ნიშნავდა, ერთმანეთის გვერდით მოხსენიებით გამოწვეულ სიამოვნებასაც და სიამაყეს.

მართალია, ილია და აკაკი პირადი უახლოესი მეგობრობის გრძნობით არასოდეს ყოფილან დაკავშირებულნი და ეს გასაგებიც იყო მათი პიროვნული ბუნებიდან, ცხოვრების სტილიდან და ბევრი სხვა გარემოებიდან გამომდინარე, მაგრამ სამაგიეროდ, საზოგადო ასპარეზზე საქვეყნო საქმეში სათანამდგომლოდ და სამეგობროდ მათ ურთიერთობას ხომ ვერავითარი მეგობრობა ვერ გაუნევდა მეტოქეობას.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ერთმანეთის ღირსების დანახვისა და აღიარების, ამ მხრივ უშურველობის, ერთმანეთის დიდი ფასის ცოდნის გამომხატველ ბრწყინვალე მაგალითები ქართველ კაცს გულის ფიცარზე აქვს დანერილი, ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრის მათი გახსენება. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. რად ღირს თუნდა ჭაბუკი აკაკის პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგური“ შესახებ“, სადაც აკაკი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად ერთ ტახტზე ჯდომის ღირსად, მის მემკვიდრედ და მოკანანახედ მიიჩნევს, ან თელავში აკაკის მიერ წარმოთქმული ადგილისა და ჟამის შესაფერისი უზადო სიტყვა, რად ღირს, სადაც მან ილია ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობის თავკაცად დასახა... რადა ღირს ილიას გამომხმაურება „ივერიაში“ აკაკის თელავში მოგზაურობასთან დაკავშირებით, ან მისი წერილი, აკაკისადმი მიწერილი, რომლითაც იგი „ერთადერთ აკაკის“ „ივერიაში“ სათანამშრომლოდ იწვევდა. ილიას ის წერილი რად ღირს, სადაც ძალიან მოკლედაა გამოხატული ილიას დიდი მამულიშვილური გრძნობა: „ღმერთსა ვთხოვ აკაკი შენს მშვიდობას

და ჯანმრთელობას. იყავ კარგად და დღეგრძელ შენის საყვარელი ქვეყნის სასახელოდ”.

ილია ზურაბიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ელიაშვილის, შალვა დადიანის და ბევრი სხვა მწერლის და მოღვაწის მოგონებებიც ხომ თვალნათლივ მოწმობს, თუ როგორ ფაქიზად ეპყრობოდნენ ილია და აკაკი ერთმანეთს, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ერთმანეთის სახელს, არავის მისცემდნენ უფლებას ჭორის ყორე დაედგათ.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ვითარცა მოღვაწეებს, ბუნებრივია, ჰქონდათ პოლემიკაც, რომელიც ძირითადად ურთიერთპატივისცემისა და ზომიერების გრძნობითაა აღბეჭდილი. მათი პოლემიკა, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის” საკითხებზე იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს დიდ მამულიშვილებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. პოზიცია თითოეული მათგანისა ასეთია – როცა საქმე ქართული მწერლობის, ერის ღირსების, ქართველთა სათაყვანებელ პოეტს ეხება, როცა თუნდაც უნებლიეთ ილახება მისი სახელი, მაშინ გაჩუმება არ ეგების, თუნდაც მცდარ აზრს ავითარებდეს ისეთი მაღალი ავტორიტეტი, ისეთი ღირსეული კაცი, როგორიცაა აკაკი ან ილია; ასეთ შემთხვევაში მით უფრო არ ეგების გაჩუმება... ისიცაა, იქნებ მათ ერთმანეთისათვის გულიც უტკენიათ, ზოგჯერ უნებლიედ... რა არის აქ გაუგებარი... გული ხომ სწორედ იმისგან ეტკინება კაცს განსაკუთრებით, ვისი სახელიც ეძვირფასება, ვისაც ყველაზე მეტად უნევს ანგარიშს, ვის სიტყვასაც დიდი წონა აქვს... ბოლოს და ბოლოს, ილია და აკაკი ცოცხალი ადამიანები იყვნენ...

საყურადღებოა, რომ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელშიც აკაკი ძალზე საინტერესოდ ახასიათებს თავის ურთიერთობას ილიასთან და საერთოდ საუბრობს აკაკისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულებაზე. აკაკი წერს: „ორმოცი წელია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არასოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვქონია. პირიქით, გარდა სიამტკბილი შეყრა-შეხვედრისა და ზრდილობიანი, დარბაისლური სიტყვა-პასუხისა ერთი მეორისგან არა გვახსოვს რა, გვინახავს რა და ან კი რა გვქონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უთანხმოება მოგვსლოდა? ერთსა და იმავე განწყობებულ მიზანს საზოგადოს და არა საპირისპიროს მიყვავართ თავისკენ, მაგრამ გზა სხვადასხვაა და არ მოხერხდება, რომ

ერთმანეთს გადაველობოთ და მსვლელობა შევუფერხოთ ერთი მეორეს. თუ ჩვენც ერთი მიზნის მიმდევარი, ორი სხვადასხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე, ის აღმოსავლეთით და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავის საკუთარი გზით მიისწრაფის, მეც მაშინ თან ვახლდე, მისი საგზალი მიმქონდეს და აბჟანდს დავუნევდე ხოლმე? ან როცა მე ჩემი გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველათ ჩვენ გვერდში იდგეს ილია ჭავჭავაძე”.

ეს ისეთი თვალსაჩინო დახასიათებაა ორი დიდი მამულიშვილის ერთი დიდი მიზნით განმსჭვალვისა და ერთი მიზნისათვის სხვადასხვა გზით სამსახურისა, როგორც სწორედ აკაკის ნიჭს შეუფერება. აკაკის ეს დახასიათება ნათელს ხდის იმას, რომ მიუხედავად მიზანთა ერთიანობისა, ურთიერთს არ ფარავს მათი დიდი სახელები. აკაკის ეს ჩანაწერი როგორც ჩანს, გაკეთებული უნდა იყოს 90-იანი წლების ბოლოს, ან 90-იანი წლების დასაწყისში. აკაკი წერს, „40 წელია რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთო“ მათი გაცნობა მოხდა 60-იანი წლების დასასწყისში პეტერბურგში.

ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის საგანია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი;

როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, არ იყო მოსალოდნელი, რომ ილიას, ლირიკოს პოეტს, აკაკიზე რაიმე ზემოქმედება მოეხდინა. მისი უჩვეულობა ვითარცა ლირიკოსისა აკაკიზე გადამდები ძალიან აღმოჩენილიყო. აკაკი ხომ, თავის პირველივე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილიდან როგორც კარგად გამოჩნდა, როგორც კრიტიკოსი ილია ჭავჭავაძეს ლირიკოსს პრაქტიკულად არ ცნობდა. აკაკი წერეთლისათვის ამ მაღალი ნიჭისა და სულის პოეტისათვის იმდენად უჩვეულო და მიუღებელი აღმოჩნდა, იმდენად საკუთრივ მისი ბუნებისაგან განსხვავებული, რომ ფორმის მიხედვით იგი დაინუნა, დაინუნა მხატვრულად, არაღირიკულად მიაჩნია ილიას ლექსები, ილია „ჭაპან-წყვეტით წერს ლექსებსო“, „მის ლექსებში პოეზიის ნატამალიც კი არ იპოვება, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება“, „ლექსის შემარცვლა – უსწორმასწოროა და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩვენი ლექსისა არსად სჩანს, ერთის სიტყვით, როგორც ლექსი, ძალიან სუსტია“. აკაკი იმასაც კი ურჩევდა ილიას, საერთოდ უარი ეთქვა ლექსის წერაზე და პროზით ეთქვა თავისი სათქმელი. მან ხომ დაგვიმტკიცაო, რომ პროზა ემარჯვებო.

აქ ისიც საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ 1865 წელს აკაკიმ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი“ ობოლ მარგალიტებად აღიარა თავის ვრცელ წერილში.

ფაქტია, რომ იმან, რაც კრიტიკოსი აკაკი წერეთლისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, დიდი ზემოქმედება მოახდინა პოეტ აკაკი წერეთელზე, შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. ქართველ პოეტთაგან არავის არ მოუხდენია ა. წერეთელზე ისეთი დიდი ზემოქმედება, როგორიც ილიამ მოახდინა.

მივმართოთ მაგალითებს:

1860 წელს „ცისკრის“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა აკაკის ლექსი „ამაო ძებნა“. ამ ლექსში განსახიერებულია მაისის ღამე, რომელიც ნელ-ნელა ცისკრის სინათლით მკრთალდება, ცაზე ვარსკვლავებიც თანდათან ქრებიან, მთვარეც ცისკრის ვარსკვლავს უთმობს ადგილს, ჩიტებიც ახმაურდნენ და ბუნებას ქებას ასხამენ, პოეტიც ბუნების მშვენიერებით მოხიბლული მიმართავს მას:

„შემოქმედების სარკვე, ბუნება,
ვინც ჩაგისახა ეგ ძლიერება!
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
ჭვრეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება?“

გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას პოეტი ხედავს ჭაბუკს:

„რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,
კვნესის და იხრაკს, სტირს უბადრუკი,
და წარსულს გმირებს ოცნებით ეძებს!
მთა-კლდეთ შეჰბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის, მსწრაფლ მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჰპოვებს ნუგეშისმცემელს
და უმრავლდება წყლული სანყალსა!
მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელ-საფლავს და ძვლებსა გამხმართა:
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა.
საზარელ უხმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულსა ამბავს ის ევედრება“.

მაგრამ აქაფებული მდინარე ტალღებს სცემს განრისხებულ კლდოვანს კიდეებს, რომ მსწრაფლ გადარეცხოს ძველი სისხლი, მდინარის კიდეებზე გადანთხეული, მაგრამ კლდის კიდეები გზას უკრავენ მდინარეს, რის გამოც იგი აღელვებულია. ასეთია ეს ლექსი. აქ უკვე იგრძნობა აკაკი წერეთელი თავისი სურათოვნებით და ემოციური ლექსიკით.

როგორც აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულშია მითითებული, აკაკი წერეთლის უახლოეს მეგობარს, მისი პოეზიის შესანიშნავ მცოდნეს კირილე ლორთქიფანიძეს უთქვამს მკვლევარ სერგი გორგაძისთვის, „ამაო ძებნა“ („მაისის ღამე“) ილია ჭავჭავაძის „არაგვის“ გამოა დაწერილიო. მართალია, სერგი გორგაძეს ლექსი „არაგვს“ ილიას ლექსებში ვერ დაუდასტურებია და კირილე ლორთქიფანიძის ცნობა საეჭვოდ მიუჩნევია. სინამდვილეში კ. ლორთქიფანიძის ეს ცნობა ძალზე სანდოა და ძვირფასი. საქმე ისაა, რომ როგორც აკაკის თხზულებათა ოცტომეულის კომენტატორი მიუთითებს, ილია ჭავჭავაძის „არაგვში“ იგულისხმება პოემა „აჩრდილის“ V თავი.

„ჩემო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ...“

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილის“ სრულად დაბეჭდვა 60-იან წლებში ვერაფრით ვერ შეძლო. იბეჭდებოდა პოემის მხოლოდ V თავი. „ცისკრის“ 1859 წლის მე-10 ნომერში სწორედ ილიას „აჩრდილის“ ამ თავს ეხმადურება აკაკის ლექსი. ჭაბუკი აკაკი ისე შეუძრავს ილიას პოემის ამ თავს, რომ თავისი პოეტური წარმოსახვით ხორცი შეუსხამს არაგვის კიდეზე საქართველოს წარსულზე ჩაფიქრებული ახალგაზრდა პოეტისათვის. ბუნებრივია აკაკისათვის უცნობია ილიას პოემა მთლიანად, პოემის იმედიანი დასასრული, და „ამაო ძებნაც“ სასონარკვეთილ ჭაბუკს გვიხატავს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ პოეტ ილია ჭავჭავაძის მოტივი იმთავითვე მკვიდრდება აკაკის ლირიკაში.

შეიძლება ითქვას, რომ ილიას მოტივი ერთგვარად მტკიცდება აკაკის პოეზიაში. ამის თვალსაჩინო დასტურია 1861 წელს აკაკის მიერ დაწერილი უსათაურო ლექსი („დედამ რომ შვილი გაზარდოს“). ცხადია, რომ ეს ლექსი გამოწვეულია ილიას ლექსით „ქართველი სტუდენტების სიმღერა“.

განსაკუთრებით საყურადღებო ამ შემთხვევაში ისაა, რომ თუ ლექსში „ამაო ძებნა“ ჭაბუკი აკაკი არაგვის პირას ჩაფიქრებული

ილიას პიროვნებით შეძრული ხატავს მეოცნებე ჭაბუკს, მომდევნო ლექსში უკვე აშკარაა პოლემიკური მიმართება ილიას მიერ განსახიერებულ ქართველ სტუდენტებთან, ილიას ლექსში თვალნათლივია იმედიანობა, რწმენა ქართველი სტუდენტების მიმართ:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკ სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვაც არც ჩვენ დავუვარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით” და ა.შ.

აკაკისათვის მიუღებელია ილიას პათოსი, იგი მკაცრად კიცხავს ქართველ სტუდენტებს:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს
და მერე თქვენისთანაო?!
ნაცარქექია რამე ხართ
ყველგან და ყველასთანაო.
არც ლხინში ვარგიხართ, არც ქირში
ზარმაცი, ენაჭარტალა
და კუჭით გიყვართ სამშობლო,
როგორც ფლავი და არტალა”.

აკაკის ბრალდებები მძიმეა. ეს სატირული ლექსია. აქ უკვე ჩანს აკაკის ენის სიმწარე, მისი მოურიდელობა. კარგად ვხედავთ, რომ ილიას „სიმღერის” დიამეტრალურად საპირისპიროა აკაკის ლექსის განწყობილება და შინაარსი.

ილიას ამ ლექსის ზემოქმედებას აკაკისთან სხვაგანაც ვხვდებით, ისევ საპირისპირო შინაარსით, ისევ პოლემიკურ პლანში, კერძოდ პუბლიცისტურ წერილში:

„გავდივარ განა, განაო,
ხელში მიჭირავს დანაო,
დედამ თუ შვილი გაზარდოს,
უნდა იყოს ჩემისთანაო”.

ვარიაციით

„სწორედ რომ ჩემისთანაო“

აღბათ, ყველა მკითხველზე გამოგნებულ შთაბეჭდილებას ახდენდა და ახდენს დიდი პიროვნული ძალით აღბეჭდილი ილიას სატირული ლექსი „ბედნიერი ერი“, მითუმეტეს ქართველ მწერლებზე. ჩანს ამ ლექსმა შეძრა პოეზიის მეფე აკაკი წერეთელი, რამაც მის პოეზიაშიც პოვა გამოხატულება. ეს კარგად ჩანს აკაკის უსათაუროდანაც („გამტანია ჩვენი ერი“).

„გამტანია ჩვენი ერი,
გარეგანად მშვენიერი,
თვალში მცქერი, ტკბილად მღერი!
ისე უყვარს ქვრივ-ოხერი,
რომ ჰსურს იყოს ჩვენში ბევრი.
ჰაი მგიდის, ჩვენი ერი!
ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი“...

რა თქმა უნდა, აქ ცხადად იკვეთება ილიას ლექსის ზემოქმედება. მთავარია, ილიასეული შინაარსი და ფორმა „ბედნიერი ერისა“, მისი ვარიაციები კი შეიძლება მრავლად წარმოადგინონ სხვა პოეტებმა. აკაკის ლექსი ილიას ლექსის პირდაპირი მიბაძვაა, მაგრამ აშკარად აკაკისებურად გარდაქმნილი. ამას ცხადად მოწმობს ლექსის რეფრენი – სასიმღერო ფორმა – ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი, როგორც ამბობენ, თუ ილია მრისხანებს, მასთან სიცილისთვის ადგილი არ რჩება, აკაკი სასიმღერო ფრაზით, ვითარებას ერთგვარად ამსუბუქებს (გრ. კიკნაძე). სასიმღერო, მუსიკალური ხმები, შეძახილები საერთოდ დამახასიათებელია აკაკისათვის. გავიხსენოთ მისი „ხარაბუზა ლენერალს“, „პამპულა“ და ა.შ. „ბედნიერი ერის“ ზემოქმედების კვალი აშკარად ჩანს აკაკის ლექსშიც „პატრიოტი“:

„ჩემისთანა პატრიოტი,
განა არის სადმე კიდე?
გარწმუნებთ, რომ ვერ მოძენით,
თუნდ მოლახოთ კიდით კიდე“.

ეს ლექსი 1903 წელს არის დაწერილი.

აკაკი თითქოს არც ილიას ლექსის „მესმის, მესმის“ გადამდები ძალის მიმართ დარჩენილა გულგრილი, ამ ლექსის ერთგვარი გამოძახილია, ეგების გაუცნობიერებელიც, აკაკის მიერ გვიან, 1905 წელს დაწერილი ლექსი „გაზაფხული“:

„მესმის მესმის უღივილის ხმა,
შეფრთხილდნენ ჩიტუნები
და გაისმის ყოველის მხრით
გაზაფხულის ტკბილი ხმები“.

თქმა არ უნდა, ილია ჭავჭავაძის საპროგრამო ლექსის „პოეტი“ გამოძახილია, აკაკის ამავე სახელწოდების ლექსი „პოეტი“ და ატარებს ერთგვარ პოლემიკურ ხასიათს. ოცდაორი წლის ილია ჭავჭავაძე პოეტს საქვეყნოდ ერის წინამძღოლად აცხადებდა, როცა წერდა:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

როგორც ამბობენ, ილია უბრალოდ პოეტს კი არ ავალებდა ერის წინამძღოლობას, არამედ თავად იყო ერის წინამძღოლი, აკაკი კი ილიას საპირისპიროდ ამბობს, რომ „არც მინისაა და არც ცის“. შდრ. ილია წერდა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა“, „ერის წინამძღოლის“ საპირისპიროდ აკაკი წერს „შუა კაცი ვარ უბრალო, ხან მინისა ვარ ხან ცისა“...

როცა ილია ჭავჭავაძის ზემოქმედების კვალზე, ილიას მოტივზე ვსაუბრობთ აკაკის პოეზიაში, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ილიას ეპიკური პოეზიის გვირგვინის, პოემა „განდევლის“ გამოძახილს აკაკის შესანიშნავ პოემა „თორნიკე ერისთავზე“, რომელიც 1884 წელს შეიქმნა.

საზოგადოდ, როცა ერთი ხელოვანის მეორე ხელოვანზე გავლენაზე საიბრობენ, უსათუოდ გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი, „ხელოვანი შეიძლება არც მისდევდეს რომელიმე ავტორის აზრსა და ტენდენციებს, შეიძლება არც იზიარებდეს მის მხატვრულ რიტმს, ტიპებს და გადმოცემის მანერას. ის შეიძლება კიდევაც უპირისპირდებოდეს მეორე ხელოვანს თავისი მხატვრული საშუალებებით, შთაბეჭდილებათა და საკუთარ შეხედულებათა

გადმოცემით, მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით შეიძლება დადგინდეს ლიტერატურული ზემოქმედების ფაქტი. ასეთ შემთხვევაში ერთი მწერალი მეორე მწერლისათვის „ერთგვარი წყაროა, საიდანაც იძენს პრობლემებს, წყარო რომელიც უბიძგებს მას გარკვეული მიმართულებისაკენ, განსხვავებული მანერის, ტიპის, კომპოზიციის, ძიებისაკენ” (გრ. კიკნაძე).

სწორედ ამგვარი ზემოქმედების კვალს ვხედავთ ილია ჭავჭავაძის „განდეგილისას” პოემა „თორნიკე ერისთავზე”.

როგორც ჩანს, აკაკისათვის გარკვეულად მისაღები აღმოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერი კრიტიკოსის ესტატი ბოსლეველის (მჭედლიძე) აზრი ილიას „განდეგილზე”, რომლის თანახმადაც, ილიამ თავის პოემაში გადაუხვია თავისი შემოქმედების ძირითადი მაგისტრალური ხაზიდან და იქადაგა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდგომა. აკაკი „თორნიკე ერისთავის” II კარის მეოთხე თავში ერთგვარად ეკამათება ილიას პოემის ამგვარ პათოსს. ამ თავში არსენ კათალიკოსისა და ბერი თორნიკეს პოლემიკაა გადმოცემული. თორნიკე უარს ამბობს უსარდლოს საბერძნეთის დასაცავად მიმავალ ქართველთა ლაშქარს, რადგან მას, როგორც ბერს, არ შეჰფერის საერო საქმეს ზრახვიდეს, ხელში ხმალი აიღოს და ჯარს წინ გაუძღვეს. არსენი მოისმენს რა თორნიკეს არგუმენტს, ამბობს:

„ვით კათალიკოსს, შენი ბრძანების
შენც კარგად იცი, ხელთა მაქვს ნება”...

მაგრამ მე ასე არ მოვიქცევი, მე მსურს დაგიმტკიცო, რომ შემცდარია შენი გონებაო. კათალიკოსის სიტყვებით:

„ნუთუ შენ მართლა რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღცთისა დიდება?
განა ღვანღია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვით რიდება?
და ეს ქვეყანა შვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავმოყვარებით
ამ მიუწოდმელ დიდსაქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონი ერსა

ბუნების ყოველგვარ მოთხოვნილებას,
ის უარს ჰყოფს თვით შემოქმედსა!
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერად
რად მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი!"

როგორ გვაგონებს ჩვენ კათალიკოსის მიერ განვითარებული აზრი მწყემსი ქალის სიტყვებს პოემა „განდეგილიდან“. ზოგჯერ პირდაპირ ფრაზეოლოგიურ სიახლოვესთანაც კი გვაქვს საქმე. გავიხსენოთ მწყემსი ქალის არგუმენტაცია:

„როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი
იქ ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუნირია,
უნუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, –
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი, ნეტა მამ რისთვის მორთო
ესე ლამაზად ნუთისოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?

„თორნიკე ერისთავის“ მიხედვით, აკაკი თითქოს ეკამათება ილია ჭავჭავაძის პოზიციას; სინამდვილეში ესტატე ბოსლეველის პოზიციისაგან განსხვავებით, ვიცით, რომ ილია და აკაკი ერთსა და იმავე თვალსაზრისზე დგანან და პოემა „განდეგილის“ მიხედვით, იმავე საზოგადოებრივად აქტიური პოზიციის ერთგულია ილია, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ავითარებდა და რაც აკაკის სასიცოცხლო პოზიციაცაა.

ახლა ერთგვარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აკაკის პოეზიაში ვხვდებით ი. ჭავჭავაძის თემებს, მოტივებს, ილიას ზეგავლენის კვალს როგორც პოეტისას. აკაკი ერთგვარად იმეორებს, ავითარებს, ეპაექრება ილიას პოეტს, აკაკის პოეზია არაა თავისუფალი თავისი დიდი თანამედროვის, თანამებრძოლის

ზემოქმედებიდან. აკაკი არც ერიდება ამ ზემოქმედებას, რადგან ის დიდი პოეტია და თავის ინდივიდუალობას ინარჩუნებს ყველა შემთხვევაში, თავის პოეტურ მანერას, სტილს უქვემდებარებს ყოველივეს ირგვლივ, მათ შორის სხვათა მოტივებს, თემებს, თქმებს.

თავის მხრივ, არც ილია ჭავჭავაძე რჩებოდა დიდი აკაკის ღვთიური ნიჭის მიმართ გულგრილი და ეს მას არაერთგზის გამოუხატავს. უშუალო შემოქმედებითი ზეგავლენა აკაკისა ილიამ მაინც არა როგორც პოეტმა, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც დიდმა მოაზროვნემ, ლიტერატურათმცოდნემ, ესთეტიკოსმა განიცადა. აკაკი ნერეთლის ლექციებსაც „ვეფხისტყაოსანზე“ უნდა ვუმაღლოდეთ, როგორც ამას პასუხში ილიასადმი მოხდენილად, აკაკურად თვით აკაკიც აღნიშნავდა, ილიას ნაფიქრ-ნააზრევს საზოგადოდ ლიტერატურული ქმნილების და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო შინაარსზე, „ვეფხისტყაოსნის“ იდეალური გმირების იმ თვისებებზე, რომელთა რეალობასაც ჩვენ ვცნობთ და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე.

Lado Minashvili
About the literary relations between Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli

S u m m a r y

The historian of Georgian literature always mentions one fact: the March 1859 issue of the magazine "Tsiskri" was opened with Akaki Tsereteli's poem "P.Ts." (Pelagia Tsereteli), followed by Ilia Chavchavadze's poem "I also black eyes". Ilia Chavchavadze was 21 at the time, and Akaki was 18. This is how these two names met in the pages of the magazine "Tsiskri" in the minds of Georgian readers, so that soon they would be forever connected to each other, forever paired - Ilia and Akaki, Akaki and Ilia.

The examples of writers 'pairing' are not lacking in the literature histories of other countries either, but it seems that a similar example of their cherished writers' pairing, so intertwined as we have in our literature, is nowhere to be found. It shows the desire, aspiration and dream of our patriotic unity and support in public, national affairs ... This trust of the people is probably determined by the fate of our country and its history.

It is true that Ilia and Akaki have never been related by a sense of personal friendship, and this was understandable due to their personal nature, lifestyle and many other circumstances, but instead, their relationship in the public arena in public affairs and friendship could not rival any friendship.

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წერილი, როგორც ლიტერატურული ეპოქის დოკუმენტი

რთული და წინააღმდეგობრივი ლიტერატურული და კულტურული პერიოდების ანალიზისას (სწორედ ასეთად გვესახება გასული საუკუნის I ნახევრის ლიტერატურული ატმოსფერო) ლოგიკურად წამოიჭრება წეხილის, როგორც დოკუმენტის, შესწავლის აუცილებლობა, რომელშიც წარმოჩენილია ეპოქის ყოფა და რეალობები; შესაძლებლობა გვეძლევა, ერთი მხრივ, თვალი მივადევნოთ მწერლის „შემოქმედებით ლაბორატორიას“ (სტილურ, თემატურ, და სხვა, მათ შორის, პოლიტიკურ ტენდენციებს), და, მეორე მხრივ, აღმოვაჩინოთ შემოქმედის პირადული ადამიანური თვისებები, ზნეობრივი პოსტულატები, ცხოვრებისეული მრწამსი. წარმოდგენილ სტატიამში შევხებით ბორის პასტერნაკის რამდენიმე წერილს, რომლის ადრესატები მისი ქართველი მეგობრები არიან. აღნიშნული წერილები, ერთგვარ, სიტყვიერ ფიქსაციას წარმოადგენენ პასტერნაკის შეხედულებებისა თარგმანის ხელოვნებაზე, შემოქმედებით და ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანის ეგზისტენციალურ პრობლემებზე.

ბორის პასტერნაკზე არსებულ მონოგრაფიებში ლიტერატურათმცოდნეობა გვერდს ვერ უვლიან მწერლის „ქართულ ვიზიტებს“. 1990 წელი იუნესკომ (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ) გამოაცხადა „პასტერნაკის წლად“ და მოსკოვში მოწყობილ მემორიალურ გამოფენაზე ცალკე იქნა გამოყოფილი თემა „პასტერნაკი და საქართველო“ [Пастернак 2005: п. №738].

აღსანიშნავია, რომ საქართველო პასტერნაკის თვალსაწიერში ბავშვობიდანვე მოექცა; მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ

1891 წელს რუსეთის ცნობილმა გამომცემლობამ - კუშნერიოვი-პრიანიშიკოვები - მწერლის მამის ილუსტრაციებით გამოსცა ლერმონტოვის „მწერი“. სწორედ აქედან მომდინარეობს პასტერნაკის გატაცება ლერმონტოვით, რაც დასტურდება 1917 წელს დაწერილი ლექსით „დემონის სახსოვრად“ („Памяти Демона“). თუმცა, პირველად მწერალი საქართველოს გასული საუკუნის 30-იან წლებში ეწვია; კერძოდ, 1930 წლის ოქტომბერში მან გაიცნო მოსკოვში ჩასული პაოლო იაშვილი, რომლის მოწვევით 1931 წლის ივლისში ზინაიდა ნეიგაუზთან და მის ვაჟიშვილთან ერთად სამი თვით ეწვია თბილისს. აღნიშნული პერიოდი ბორის პასტერნაკისთვის საკმაოდ მძიმე იყო როგორც შემოქმედებითი, ასევე ყოფითი თვალსაზრისით (მან დატოვა მეუღლე - ევგენია ლურიე და ვაჟიშვილი; სამოქალაქო ქორწინებაში იყო ცნობილი პიანისტის, ჰენრიხ ნეიგაუზის მეუღლესთან - ზინაიდასთან, რომელმაც, თავის მხრივ, ორი ვაჟი დატოვა; ოფიციალურად ისინი მხოლოდ 1933 წელს დაქორწინდნენ). საქართველოში მწერალმა ერთგვარი სულიერი შვება იგრძნო; მან გაიცნო ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი: ტიციან გაბიძე, გიორგი დეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლო მიწიშვიდი, დედო გუდიაშვიდი და სხვ., რომლებთანაც მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა გულწრფელი და ურთიერთპატივისცემით აღსავსე ურთიერთობები.

პასტერნაკი არ მალავდა საქართველოთი აღფრთოვანებას, რასაც მხატვრულ მემკვიდრეობასა და თარგმანებთან ერთად მოწმობს მისი წერილები. იგი მოხიბლული იყო საქართველოს უძველესი კულტურით, თვითმყოფადობით, ბუნებით და, რაღა თქმა უნდა, სტუმართმოყვარეობით. პირველი ვიზიტის შემდეგ პაოლო იაშვილისადმი წერილში იგი წერდა: „თბილისი ჩემთვის იგივეა, რაც შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია...“ [Генцировская 2003 (ელ.რესურსი)]. 1932 წლის გაზაფხულზე პასტერნაკის ორგანიზებით მოსკოვში ჩატარდა ქართული პოეზიის საღამო, რომელზეც პირველად, კლასიკოსებთან ერთად, გაჟღერდა თანამედროვე პოეტების - პაოლო იაშვილის, გიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა ლექსები. ამავე წლის ივნისში იგი პაოლოს მისწერს: „...რაც არ უნდა ჩავიფიქრო, საქართველოს გვერდს ვერ ავუქცევ უახლოეს სამუშაო გეგმებში“ [Пастернак 1992: 328.]. ვფიქრობთ, სწორედ პირადმა ურთიერთობებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი პასტერნაკის გადამწყვეტილებაში, ხელი მოე-

კიდა ქართული თარგმანებისთვის. აღსანიშნავია, რომ ხუთი-ექვსი წლით ადრე მან ასეთი შეთავაზება კრემლიდან მიიღო; მხედველობაში გვაქვს ოლგა ივინსკაიას მოგონებები, რომლის თანახმად 1924 წლის მიწურულს თუ 1925 წლის პირველ თვეებში შედგა ბორის პასტერნაკის, სერგეი ესენინისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის შეხვედრა სტალინთან; „...მაშინ საუბრობდნენ, რომ ქართველი პოეტები უნდა თარგმნონ რუსულ ენაზე. ბ.ლ.-ზე (იგულისხმევა ბორის ლეონიდის ძე. მ.მ.), როგორც ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდნენ. სტალინმა გადაწყვიტა, განედიდებინა ქართული პოეზია პასტერნაკის ტალანტზე დაყრდნობით“ – ნერს ო. ივინსკაია [Ивинская 1992 (ელ. რესურსი)]. თუმცა, ამ შეხვედრას არანაირი თარგმანები არ მოჰყოლია; მხოლოდ პირადმა ურთიერთობებმა ქართველ პოეტებთან და საქართველოსადმი გულწრფელმა სიყვარულმა გადააწყვეტინა პასტერნაკს თარგმანებზე მუშაობის დაწყება.

1933 წლის ნოემბერში პასტერნაკი მეორედ ეწვია საქართველოს მწერალთა ბრიგადის შემადგენლობაში ნიკოლოზ ტიხონოვთან, იური ტინიანოვთან, ოლგა ფორშთან ერთად. პასტერნაკი შეუდგა პნკარედებზე მუშაობას და ამგვარად დაარღვია შემოქმედებითი „დუმის“ პერიოდი, რომელიც 1932 წლის ზაფხულში დაიწყო. ორიოდე წლის შემდეგ რუსულენოვანმა მკითხველმა მიიღო პასტერნაკის თარგმანები; მოსკოვში გამოიცა ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ (1934 წ.) და „ქართველი ლირიკოსები“ (1935 წ.), რომლის მხატვრული გაფორმება ლადო გუდიაშვილს ეკუთვნოდა.

სრულიად განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა პასტერნაკს ტიციან ტაბიძესთან; ეს იყო არა მხოლოდ შემოქმედებითი კავშირი პოეტსა და მთარგმნელს შორის, არამედ შემოქმედთა სულიერი ერთობა, რასაც მონმობს არაერთი წერილი. 1933 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში პასტერნაკი არ მალავდა მადლიერების გრძნობას ტიციანის კეთილგანწყობის მიმართ, რაც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობისთვის დიდ სტიმულს წარმოადგენდა: „ძვირფასო ტიციან! მადლობას გიხდით იმ შეფასებისთვის, რომელმაც ჩემამდე მოაღწია პაოლოსა და ელეფთერის წყალობით ¹.... მართლა მოგწონთ ჩემი თარგმანები? ნება მომეცით ამაში ეჭვი შევიტანო: ყველა თარგმანი, ცუდიც და კარგიც, თავის თავში მოიცავს ერთგვარი ძალადობის ნიშანს ორიგინალზე; ჩემი

¹ მხედველობაში ჰყავს ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ირაკლი ანდრონიკოვის ძმა, პროფესიით ფიზიკოსი.

თარგმანები, ალბათ, პირველ ჯგუფს განეკუთვნება. მე მგონია, რომ ვაუბრალაოებ თქვენს პოეზიას, რადგან ყოველ ხელოვანს მუშაობის პროცესში უყალიბდება სიტყვის სიმყარის თავისი საკუთარი იდეა და ჩემი, ვფიქრობ, ძალზე უხეშია: მასში ბევრია დილეთანტიზმი, ცუდად გადახლართული ყოველდღიურობასთან... ყველაფერ ამას მე კარგად ვაცნობიერებ, მაგრამ ამით გამოირჩევა არა მარტო თქვენი და პაოლოს პოეზიის ჩემეული თარგმანები, არამედ მთელი ჩემი ერთტომეული... ნუ გაგიკვირდებათ ჩემი გაორება, ტიციან... მადლიერების გრძნობა, რომელმაც ჩემში იფეთქა თქვენ მიმართ, არ დასრულებულა. ცხოვრებისეული სასწაულები ძალაში რჩება, ერთი წუთითაც არ მტოვებს და მაკავშირებს თქვენთან და ნინო ალექსანდრეს ასულთან მთელი ჩემი არსებით... გკოცნით. თქვენი ბ.პ. [Пастернак 2005: п. №676].

1935 წლის თებერვალში თბილისში გამოიცა „საქართველოს პოეტები“ („Поэты Грузии“) პასტერნაკისა და ტიხონოვის თარგმანით. აღსანიშნავია, რომ პასტერნაკს აბსოლუტურად გათავისებული ჰქონდა მისთვის საყვარელი ქართველი სიმბოლისტების პოეზია და განსაკუთრებით ეამაყებოდა, როდესაც რუსულენოვანი აუდიტორიაც ადეკვატურად აღიქვამდა მის თარგმანებს. 1934 წლის 8 დეკემბრით დათარიღებულ წერილში იგი წერს: „ძვირფასო ნინო ალექსანდრეს ასულო და ტიციან! ...როდესაც მე თქვენ გინოდებთ ახლობლებს, სულიერ ნათესავებს, ეს არ არის ლიტონი სიტყვები ... მე თქვენ გწერდით, რომ ჩემს სულში თითქოს არსებობს რაღაცა ბოთლის მსგავსი, რომელშიც მაგარი წებო ასხია; იგი ერთ მთლიანობად კრავს ყველაფერ საუკეთესოს, რაც მე განმიცდია. მე ჩამოგივლით, რას ვაკავშირებ თქვენთან: როლანს, ჩემს უფროს დას, ახლანდელ რევოლუციურ გერმანიას, რომელიც რილკეს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და ა.შ. და უეცრად გამახსენდა, რომ თქვენ, ნინა, კარგად გამიგებთ, რადგან თქვენს გვერდითაც ასეთივე ცოცხალი ბოთლია ტიციანის სახით. რაც არ უნდა ილაპარაკონ, ტიციანი ერთ-ერთი უძლიერესი ლირიკოსია. ეს მე ადრეც ვიცოდი... უნდა გენახათ, რა ხდებოდა დარბაზში, როცა მის ლექსებს ვკითხულობდი! ნინა, ტიციანი მოსკოვური წიგნის სული და გული იქნება...იგი ის წებოა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი, ეს წებო გვაერთიანებს მე და თქვენ, ჩვენს შეერთებულ ხელებს... გეხვევით. თქვენი ბ.“[Пастернак 2005: п. №716].

როდესაც ვსაუბრობთ ბორის პასტერნაკისა და ტიცვიან ტაბიძის სულიერ ერთობაზე, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ერთი წერილი, რომელიც პასტერნაკმა საფრანგეთში მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ მისწერა ტიცვიანს; 1935 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „ჩემო ძვირფასო ტიცვიან! დიდი ხანი მოვუნდები იმის მოყოლას, თუ რა გადამხდა ამ ზაფხულს... ოდესმე დანვრილებით მოგიყვებით, თუ რა გადავიტანე ამ ოთხი თვის განმავლობაში, ამჯერად კი მხოლოდ იმას გეტყვით, რაც თქვენ, პირადად თქვენ უნდა იცოდეთ. ავადმყოფობის პერიოდში მე კვლავაც მიყვარდა ჩემი ახლობლები – მოხუცები... ზურგი არ შემეძვევია ჩემი საუკეთესო მეგობრებისთვის. პარიზში ვინახულე მარინა ც. მაგრამ ამ მოგზაურობისას, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, დასასვენებელ სახლებში მკურნალობისას, სადაც მართობისგან ლამის ქკუიდან ვიშლებოდი, მე ყოველთვის თან დამქონდა თილისმასავით: მუდმივი ფიქრი ზ.ნ.-ზე (იგულისხმევა ზინაიდა ნიკოლოზის ასული, მწერლის მეუღლე. მ.მ.), რაინერ მარია რილკეს ერთი წერილია¹და *ეხთიც თქვენი, გაზაფხუდისა, ხომ გახსოვთ?*... ხშირად მე მას ბალიშის ქვეშ ვდებდი იმ იმედით, რომ ღამით მშვიდად დავიძინებდი, უძილობისგან ხომ მთელი ზაფხული ვიტანჯებოდი.... თქვენ იცით, როგორ მიყვარხართ, თქვენზე ძლიერად, მხოლოდ ზინა. გულითადად მომიკითხეთ ზინა და ნიტა. თქვენი ბ.“ [Пастернак 2005: п. №738].

1936 წელს მწერალმა დაასრულა მუშაობა კიდევ ერთ ლირიკულ ციკლზე - „ზაფხულის ჩანაწერებიდან“, რომელიც ეძღვნებოდა „თბილისელ მეგობრებს“ („Друзьям в Тифлисе“). ეს იყო უკანასკნელი წიგნი, რომელიც მწერლის თბილისელი მეგობრების - პაოლოს, ტიცვიანის, ნიკოლო მინიშვილის - სიცოცხლეში გამოიცა. ერთი წლის შემდეგ არცერთი მათგანი ცოცხალი აღარ იყო. 1936-37 წლების მიმოწერაში აშკარად იგრძნობა დაძაბული ატმოსფერო, რომელიც ტოტალიტარულ სახელმწიფოში სუფევდა; გააქტიურდა „არაპროლეტარული წარმომავლობის“ მქონე მწერლების (სიმბოლისტები, ფუტურისტები...) დევნა. 1936 წლის 8 აპრილით დათარი-

¹ იგულისხმება 1926 წლის 3 მაისით დათარიღებული წერილი

² იგულისხმება პარიზში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1935 წლის 17 ივნისით დათარიღებული წერილი, რომელშიც ტიცვიანი შეშფოთებას გამოთქვამს პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით

ლებულ წერილში ვკითხულობთ: „ძვირფასო მეგობრებო, ტიციან და ნინა! ...უახლოესი წარსულის განამანიაში ბევრი რამ იყო გაურკვეველი, მოჩვენებითი. მე ეს უცბად ვიგრძენი. არავინ აპირებდა, რომ ჩემთვის ხელის ხლებას, მაგრამ მე წინდაუხედაობა გამოვიჩინე და გამოვესარჩლე პილნიაკს¹ და ლეონოვს. თავს უფლება მივეცი შინაურულად შეთქვა, რომ მე არ მომწონს საგაზეთო სტატიები და ისინი ჩემთვის გაუგებარია.² ამის მერე დაიწყო! ნაცვლად იმისა, რომ გაზეთში დაებეჭდათ, რომ მე პოლიტიკური წინდაუხედაობა გამოვიჩინე (რაც ჩემთვის უფრო მძიმე სასჯელი იქნებოდა), ჩემი დანაშაული გააღაიტეს და როგორც სასჯელი, ხუთი დღით ფორმალისტებში ჩამწერეს....თუკი არსებობს სიმართლის ნატამალი იმაში რაც ითქვა და დაიწერა, იგი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დროის ისტორიულ უსასრულობას, მსხვილ პლანს ემთხვევა. როგორ შეიძლება, რომ უსასრულობა წარმოადგენდეს იმ უბადრუკობის ნაწილს, რასაც შეადგენდა ის კრიტიკული ფაფა, რომელსაც ასე გულდასმით შევექცეოდით მთელი თვის მანძილზე? აი, ჩემი პასუხი: სიმართლე განზავებული იყო ძალზე სუსტ ხსნარში; მეხის სიძლიერის ქეშმარიტება განაზავეს ნერწყვსა და რძეში. არ დაიჯეროთ, ტიციან, ასეთი ხსნარებისა!³ გჯეროდეთ მხოლოდ საკუთარი თავის, რადგან თქვენ მიერ შექმნილ ქიმიურ ნაერთს ყველაფერის განზავება შეუძლია ამქვეყნად უფრო მაღალ გრადუსებზეც კი, ვიდრე ეს მიღებულია „ლიტერატურულ“ და „სალამოს“ გაზეთებში.... არ დაიჯეროთ საზოგადოებრივი ქველმოქმედებისა, ჩემო მეგობარო, მხოლოდ საკუთარი თავისა გჯეროდეთ! ჩაუღრმავდით საკუთარ ფესვებს, მხოლოდ საკუთარს; და თუ თქვენ იქ ვერ იპოვით ხალხს, მინასა და ზეცას, მაშინ თავი გაანებეთ ყოველგვარ ძიებას, რადგან სხვაგან აღარც იქნება. ასეთია

¹ იგულისხმება ბორის პილნიაკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი კინოვარსკვლავის, ნატო ვაჩნაძის და, კირა ანდრონიკაშვილი; მათ ქორწინებაში ხელისმომკიდვე ტიციან ტაბიძე იყო.

² მხედველობაში აქვს დისკუსია „ფორმალიზმის“ შესახებ, რომელზეც პასტერნაკმა გააკრიტიკა საგაზეთო კამპანია: “Если обязательно орать в статьях, то нельзя ли орать на разные голоса? Тогда будет все-таки понятней, потому что когда орут на один голос - ничего не понятно. Может быть, можно вообще не орать, - это тогда будет совсем замечательно, а может быть, можно пишущим эти статьи даже и думать, - тогда мы, может быть, что-нибудь и поймем”[4].

³ პასტერნაკი გულისხმობს იმ რეალობას, რომელშიც ტიციან ტაბიძე აღმოჩნდა აღნიშნულ პერიოდში ანალოგიური ბრალდებით.

ჭეშმარიტება, რომც არ ვიცნობდეთ ამგვარი ძიების შედეგებს. და განა ცოტანი არიან ასეთები? და მათი მოღვაწეობის შედეგებიც სახეზეა. შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ, მე არ ვარ ერთადერთი, ვისაც თქვენი სჯერა და თქვენი ფასი იცის. არ დაიჯეროთ ხსნარებისა. გნამდეთ რევოლუციისა მთლიანობაში, ბედისწერისა, გულის ახალი გატაცებებისა, ცხოვრებისეული სანახაობებისა, და არა მწერალთა კავშირის კონსტრუქციისა. ცხვირის დაცემინებასაც ვერ მოასწრებთ, როდესაც მას უეცრად გარდაქმნიან... ყველას მოკითხვა. ნიტა და ნინა დამიკოცნე... თქვენი ბ.“ [Пастернак 2005: п. №752].

სამწუხაროდ, პასტერნაკის ოპტიმისტური იმედები არ გამართლდა; „ცისფერყანწელთა“ გარშემო ატმოსფერო თანდათან მძიმდებოდა; 1937 წლის 22 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა (თბილისში გავრცელდა ხმები, რომ შინსახკომში დაკითხვისას მას მოსთხოვეს ტიციან ტაბიძის, როგორც ჯაშუშის მხილება). პაოლოს თვითმკვლელობამ ვერ იხსნა მეგობრის სიცოცხლე; 1937 წლის 10 ოქტომბერს ტიციანი დააპატიმრეს, ხოლო 16 დეკემბერს დახვრიტეს. ამავე წელს რეპრესიებს შეეწირა პასტერნაკის კიდევ ერთი ქართველი მეგობარი - ნიკოლო მინიშვილი. დიდი ხნის მანძილზე პასტერნაკი ვერ იჯერებდა მეგობრის დაღუპვას და იმედით ელოდა მის დაბრუნებას, რასაც მოწმობს მისი წერილები ნინო ტაბიძისადმი. ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტები რამდენიმე წერილიდან:

1938 წელი, ნოემბეხი, მოსკოვი - „იცით, ნინა, როგორ მენატრებით? განშორება თქვენთან, ნიტასთან, თქვენს ატმოსფეროსთან, საუბრებთან, რომელსაც წარვმართავდით, რომ შევხვედროდით, მხოლოდ იმ სევდას უტოლდება, რომელსაც ჩემი მშობლებისა და დების მიმართ განვიცდი, რომლებიც უკვე თხუთმეტი წელია არ მინახავს. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ტიციანი მიყვარდა, მაგრამ არ ვიცოდი, ჩემდაუნებურად, თურმე რა ადგილი ეკავა მას ჩემს ცხოვრებაში... რამდენჯერ გვიქეიფია, ერთმანეთს ერთგულებას ვეფიცებოდით (რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად იყო საბრალო პაოლო, ხომ არ გგონიათ, რომ მას ოდესმე დავივინყებ!)... რამდენჯერ გვიფიქრია, რომ რაღაცეებს ვაჭარბებთ, რომ ჩვენი შიშები უსაფუძვლოა. და აი, ყველაფერი რამდენად უფრო სასტიკი და სისხლიანი გამოდგა! [Пастернак 2005: п. №777].

1939 წელი, დეკემბეხი, მოსკოვი - „ძვირფასო ნინა! მაპატიეთ, რომ გწერთ. თქვენ, ალბათ, არ უნდა შეგანუხოთ. სულ ეხლახან

ჩემამდე მოვიდა ხმები, თითქოს ტიცციანი ცოცხალი აღარ არის. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა. თუმცა, რამდენიმე საათის წინ მითხრეს, რომ ეს მხოლოდ ქორი იყო და არსებობს საპირისპირო მტკიცებულებები. სახლში რომ მივედი, ძლივს ვიდექი ფეხზე სიხარულისგან და ეხლა, როდესაც გწერთ, თანდათან ვრწმუნდები ამ სიახლის ქეშმარიტებაში. გთხოვთ, დაადასტურეთ ეს. მითხარით, რომ ის ცოცხალია, მიდეპეშეთ ან წერილი გამომიგზავნეთ. ნინა, ნინა, აი, რა მსურს მე თქვენგან! მინდა რომ ყველა შემთხვევაში, რაც არ უნდა მოგვივლინოს ზეცამ, თქვენ იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ მთელი ჩემი არსებით, გონებით თქვენ და ნიტას გეკუთვნით...მე მიყვარდა იმაზე ფიქრი, რომ მისთვის ვცხოვრობ, ის კი - ჩემთვის...ნინა, არ ვიცი რას გწერთ, მაგრამ იმედი არ მტოვებს. თქვენი ბორია“ [Пастернак 2005: п. №2789].

1940 წელი, დეკემბერი, პეხედეკინო - „ნინა, ახალ წელს გილოცავ! მე ძალიან მიყვარხართ და როდესაც ამის კვალი არ იძებნება თქვენდამი მოწერილ წერილებში, ესე იგი ამ წერილებს წერდა დაღლილობა და სიჩქარე... ამას გწერთ, იმიტომ რომ ვიცი, მალე თქვენთან და ტიცციანთან ერთად გავიზიარებ ბედნიერებას, ჩვენ ოთხივენი, სტუმრებთან ერთად გემრიელად ვისადილებთ ყოველივე იმით, რაც განვიცადეთ ზაფხულის მთელი ღამის განმავლობაში... ტიცციანი ცოცხალია და სადღაც ახლოს არის, ცოტა კიდევ უნდა დაველოდოთ.... თქვენი ბ.პ. P. S. 1941 წელს ყოველივე უკეთ წარიმართება - აი, ნახავთ...“[Пастернак 2005: п. №824].

პასტერნაკის ოპტიმიზმი, სამწუხაროდ, ამჟერადაც არ გამართლდა. ტიცციანის სახელს უკავშირდება პასტერნაკის ჩამოსვლა თბილისში 1945 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე; პასტერნაკი მხოლოდ იმ პირობით დაეთანხმა ორგანიზატორებს სიტყვით გამოსვლას, თუ დარბაზში წინო ტაბიძე იქნებოდა. მართლაც, არარეაბილიტირებული ტიცციანის ქვრივი პირველად გამოჩნდა საჯაროდ და პასტერნაკი საგანგებოდ მას მიმართავდა ლექსების კითხვისას. გამგზავრების წინ პოეტის ქვრივმა ერთგულ მეგობარს ტიცციანის მერწყულისგერბიანი ქალაღდები აჩუქა იმ პირობით, რომ იგი ინტენსიურად იმუშავებდა. მართლაც, სწორედ ამ ფურცლებზე დაიწერა „ექიმი ჟივავოს“ პირველი თავები. მოგვიანებით, პასტერნაკი ამ სკანდალურ ნაწარმოებს „ნინას რომანად“ მოიხსენიებდა.

1958 წლის ოქტომბერში პერედელკინოში სტუმრად მყოფმა ნინა ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველმა გაიზიარა ბორის პასტერნაკისთვის ნობელის პრემიის მინიჭების სიხარული. მოგვიანებით, „ექიმ ჟივაგოსთან“ დაკავშირებული დევნისა და შევიწროების გამო, ხელისუფლებამ აიძულა ბორის პასტერნაკის ოჯახი, დროებით დაეტოვებინა მოსკოვი. ეს ასევე უკავშირდებოდა სსრკ-ში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ჰაროლდ მაკმილანის დიპლომატიურ ვიზიტს; ამ უკანასკნელმა სურვილი გამოთქვა, პირადად გარკვეულიყო პასტერნაკის მიერ ნობელის პრემიაზე უარის თქმის მიზეზებში. ამგვარად, 1959 წლის 20 თებერვლიდან 2 მარტამდე შედგა ბორის პასტერნაკისა და ზინაიდა ნეიგაუზის უკანასკნელი, მეოთხე ვიზიტი საქართველოში. ცხადია, აღნიშნულ პერიოდში საქართველო სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკას წარმოადგენდა, თუმცა თავად პასტერნაკის თქმით, აქ არავინ ავლენდა მის მიმართ ისეთ ზიზღსა და აგრესიას, როგორც რუსეთში. სტუმრების თხოვნით ნინა ტაბიძე ცდილობდა საიდუმლოდ შეენახა მათი ჩამოსვლის ამბავი, თუმცა ლადო გუდიაშვილის ოჯახში მაინც შეიკრიბნენ მწერლის ქართველი მეგობრები. თბილისში გატარებულმა ათმა დღემ მწერალს ერთგვარი სულიერი შვება მისცა; ტიცციანის ქალიშვილთან, ნიტა ტაბიძესთან ერთად მან უკანასკნელად მოიარა თბილისში მისთვის საყვარელი ადგილები, მოინახულა გარდაცვლილ მეგობართა ქვრივები და ოჯახის წევრები. პასტერნაკის არაერთმა მეგობარმა, ვინც იგი გააცილა რკინიგზის სადგურში (ნინო და ნიტა ტაბიძეები, სიმონ ჩიქოვანი, ლაშა თაბუკაშვილი და სხვ.), მოგვიანებით დააფიქსირეს თავიანთ მოგონებებში პასტერნაკის უკანასკნელი სიტყვები; უკვე დაძრული მატარებლის სარკმლიდან პოეტმა თავი გამოყო და დაიძახა: „ნინა, ნინა, მეძებეთ მე თქვენს სახლში! მე იქ დავრჩი!“. [Ташидзе 1999: 28]. „...აი, დასრულდება ჩემი ცხოვრება, და რა იყო მასში ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი? მამის საქმიანობის სანიმუშო მაგალითი, ა.ნ. სკრიაბინის მუსიკის სიყვარული, ორი-სამი ახალი ნოტა ჩემს შემოქმედებაში, რუსული ღამე სოფლად, რევოლუცია, საქართველო“ [Пастернак 2005: п. №824] - მწერლის ეს სიტყვები თითქოს შემაჯამებელ რეზიუმედ გაისმის თითქმის ოცდაათწლიანი ურთიერთობისა ბორის პასტერნაკისა ქართველ მწერლებთან და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისთვის საქართველო მართლაც „მეორე სამშობლოს“ წარმოადგენდა.

ლიტერატურა:

Генсировская 2003: Генсировская Г. Невский альманах, 2(9) 2003. ელ. რესურსი: <http://www.nev-almanah.spb.ru/2003/2n/paster.shtml>

Ивинская 1992: Ивинская О. В. плену времени: Годы с Борисом Пастернаком. М., 1992. ელ. რესურსი: <http://www.sakharov-center.ru/asfcd/auth/?t=book&num=1070>].

Пастернак 2005: Пастернак Б. Собрание сочинений в 11-ти томах. (номера писем по тт. 8 – 9). М., 2005.

Пастернак 1992: Пастернак Б. Собрание сочинений в 5-ти томах. М., 1992. Т. 5.

Табидзе 1999: Табидзе Н. Радуга на рассвете. Воспоминания (На русском языке). Тб., 1999.

Mariam Miresashvili Letter as a document of the Literary era

S u m m a r y

While analyzing complex and controversial literary and cultural periods (that's exactly how the first half of the last century literary atmosphere appears), there is a need for studying the letter as a document – the letter represents the realities of the everyday life of the era. Therefore, on the one hand we have a chance to watch the writer's "creative laboratory" (Stylistic, thematic and other political trends), and on the other hand we can discover the creator's personal qualities, moral postulates, lifetime convictions. In the following article we will discuss some letters of Boris Pasternak which are dedicated to his Georgian friends. This letters are a kind of verbal fixation of Pasternak's beliefs about the art of translating, creativity and human relations, human existential problems.

Literary critics always discuss Boris Pasternak's visits to Georgia in the monographs dedicated to him. The first time writer visited Georgia was in 1930s. He met Paolo Iashvili, who was visiting Moscow in 1930 – Paolo invited him to Georgia and later, in 1931 Boris visited Tbilisi for three month. He met the best Georgian intellectuals like Titsian Tabidze, Giorgi Leonidze, Simon Chikovani, Nicolo Mitsishvili, Lado Gudiashvili and others. Boris had the best relations with these persons for the rest of his life. The conversations and messages between Boris Pasternak and Georgian poets that lasted for thirty years is a perfect proof of the fact that Pasternak called Georgia his "second homeland".

მაია ნაჭყებია

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებების ტრადიცია ლიტერატურაში (ზოგიერთი ასპექტი)

თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში „ღირებულებები“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტერმინია და მასში იგულისხმება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მონყოფის პრინციპები, რომლებსაც მოქალაქეების უმეტესობა იზიარებს, ხოლო ღირებულებათა სისტემა ამ შემთხვევაში კოორდინატთა სისტემას წარმოადგენს, რომელთა გარეშეც იკარგება იდენტობა (ლათ. იდენტიტას „იგივეობა“, რაღაცისადმი შესაბამისობა). ღირებულებები „დამაგრებელია“ ერების ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებში, რელიგიური კონფესიების რიტუალებში, საკანონმდებლო ნორმებში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ მთელ ევროპას ქრისტიანულ ევროპას უწოდებდნენ და ეს ტერმინი საჯარო სამართალშიც გამოიყენებოდა. ევროპულ ღირებულებათა საერთო სისტემის ფორმირებამ გაიარა მთელი რიგი ეტაპებისა და ჩამოჰგავს პირამიდას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა მასალით აშენებდნენ: ამ პირამიდის საფუძველს ანტიკური მემკვიდრეობა წარმოადგენს: ძველმა ბერძნებმა თანამედროვე ევროპელებს გადასცეს წარმოდგენა გარე სამყაროზე, როგორც ჰარმონიულ მთლიანობაზე, ფილოსოფიის, ეთიკის და ესთეტიკის ფუნდამენტურ კატეგორიებზე, სახელმწიფო წყობილების ძირითად ფორმებზე: ავტოკრატიაზე, არისტოკრატიაზე და დემოკრატიაზე. ამასთან, გააფრთხილეს გარკვეულ ვითარებაში ტირანიად, ოლიგარქიად და ანარქიად მათი გადაგვარების შესაძლებლობაზე. ძველი რომის სამართალზე კი ხშირად ამბობენ, რომ იგი „ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი ბურჯია“. ევროპულ ღირებულებათა უმნიშვნელოვანეს სათავედ იქცა ქრისტიანობა, რომელმაც ევროპაში სულიერი კულტურის საფუძველი შექმნა. ათი მცნება და ახალი აღთქმისეული ქადაგება მოყვასის სიყვარულის, გულმონყალების და სინანულის შესახებ ორი ათასწლეულის მანძილზე ემსახურებოდა ევროპელებს, როგორც მორალური კომპასი ცხოვრებისეულ ოკეანეში. ევროპულ ღირებუ-

ლებათა ისტორიული ევოლუციის პროცესში განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს რენესანსის და განმანათლებლობის ეპოქები. თავისი შედეგებით უაღრესად მნიშვნელოვანია შუალედური პერიოდი – რეფორმაციის ეპოქა, სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპელების ფსიქოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორც არის ლიბერალური ინდივიდუალიზმი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ღირსების გრძნობას, დამოუკიდებლობას სხვისი წყალობისგან, მზადყოფნას რისკისადმი და პირად პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე. ევროპის ინტელექტუალურ ელიტებში მეცნიერებამ ნელ-ნელა დაიწყო რელიგიის, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების წამყვანი ფორმის შევიწროება, ენციკლოპედიკტებმა კი დაამკვიდრეს „ადამიანის ბუნებრივი უფლებების და მოქალაქის ცნება, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ფრანგული რევოლუციის (1789) უკვდავ ლოზუნგში: „Liberté, égalité, fraternité“ („თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“), 1789 წლის რევოლუცია კი ევროპის ერებში ნაციონალური გრძნობების გაღვიძების მძლავრი იმპულსი აღმოჩნდა. 1848 წლის რევოლუციამ არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპის სახით დაუტოვა და უანდერძა ევროპელებს თვითგამორკვევის უფლება, არამედ მორალური ღირებულებების თვალსაზრისითაც. იგი საუკუნეების განმავლობაში დაქუცმაცებული იტალიისა და გერმანიის გაერთიანების, ბალკანეთის ოსმალთაგან გათავისუფლების, ირლანდიის ბრიტანელებისგან, პოლონეთის რუსებისაგან, ჩეხეთისა და სლოვაკეთის – ავსტრიული ბატონობისგან თავის დაღწევის იმპულსად იქცა. დემოკრატია და ეროვნული იდეა მე-19 საუკუნის ევროპის მოდერნიზაციის მამოძრავებელ ძალად იქცა, რამაც მისი სულიერ ღირებულებათა სისტემა გაამდიდრა. მე-19 საუკუნის შუა წლებში კი ინგლისში დაწყებულმა პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ გამოიწვია მუშათა მოძრაობის აღმავლობა, რაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა სოციალიზმისთვის. ყველა სოციალისტური მიმდინარეობაში ღირებულებათა დონზე – უტოპიური, სოციალ-ქრისტიანული, მარქსისტული, ანარქო-სინდიკალისტური, სოციალ-დემოკრატიული დაბოლოს, კომუნისტურისა – მამოძრავებელი და მთვარი იყო მისწრაფება სოციალური სამართლიანობისადმი [Рубинский 2009].

სოციალურ მოთხოვნებზე დამყარებული პოეზია ჩეხეთსა და სლოვაკეთში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა, სოციალური ასპექტის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ იგი ფაქტიურად

დირექტივის სახით იყო მოცემული პროლეტარულ პოეზიაში. ამ პერიოდში უკვე ნელ-ნელა მიჩუმდა პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული განცდები და სულ უფრო და უფრო ხშირად და მკაფიოდ ისმოდა ოპტიმისტური ტონი, სამართლიანობისა და უფრო ადამიანური სამყაროსთვის ბრძოლით გამოწვეული აღფრთოვანება. სწორედ ამ დროს ჩეხურ პოეზიაში ყალიბდება ახალი მიმდინარეობა, ე.წ. პროლეტარული პოეზია, რომელიც პოეტებს მუშათა კლასთან აახლოებდა, მათ კი ერთმანეთთან აკავშირებდათ ომის სიძულვილი და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩეხი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პოეზიის დარგში, იაროსლავ სეიფერტი (1901-1986) ლიტერატურულ სარბიელზე მე-20 საუკუნის ოციან წლებში გამოვიდა. სეიფერტისთვის და ახალგაზრდა პოეტების მთელი თაობისთვის, რომლებიც მაშინ იწყებდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას, პროლეტარული ხელოვნება მათი შემოქმედების განვითარების ერთდერთი ეტაპი იყო. მაშასადამე, სეიფერტის შემოქმედების პირველი ეტაპი პროლეტარული პოეზიის პერიოდი, რაც აისახა მის კრებულებში „ცრემლებში ჩაძირული ქალაქი“ და „მხოლოდ სიყვარული“ (*Město v slzách* (1921), *Samá láska* (1923)), რომლებშიც გადმოსცა მშრომელი ადამიანის ოცნება უკეთეს, უფრო სამართლიან მომავალზე. მისი პირველი კრებულიდან ჯერ კიდევ სრულიად ყმანვილი კაცის რომანტიკული სიჯიუტე გამოსჭვივის, კრებული აღბეჭდილია სიყვარულის და იარაღით ხელში ბარიკადებზე ბრძოლის სურვილით. იაროსლავ სეიფერტის ამ კრებულში შეტანილია ლექსი „ცოდვილი ქალაქი“ (*Hříšné město*), სადაც ურბანისტული მოტივებია წარმოჩენილი. დახატულია კონტრასტების ქალაქი: ეს არის პატრიოტი პოეტების, ფაბრიკანტების, მდიდრების და დაუნდობელი მოკრივეების ქალაქი, ქალაქი გამომგონებლებისა და ინჟინერებისა, ქალაქი გენერლებისა და კომერსანტებისა, რომელმაც თავისი ცოდვებით ღვთის მოთმინების ზღვარს გადააჭარბეს. ამის გამო ღმერთი მძვინვარებს, იგი უკვე მრავალჯერ დაემუქრა ამ ქალაქს დასჯით, მაგრამ რადგანაც ერთხელ შეჰპირდა, რომ ორი მართალის გამო არ გასწირავდა ქალაქს, იგი დასალუპად არ გაიმეტა, ვინაიდან გაზაფხულის ბაღში ორი შეყვარებული მიაბიჯებდა, რომლებიც ღრმად ისუნთქავდნენ აყვავებული კუნელის სურნელს [Dvojhlás 1985: 93]. აქ ურბანისტული პეიზაჟის ფონზე „ძველი აღთქმის“ მოტივია გათამაშებული, ხოლო ორი მართალი, რომლის გამოც ღმერთი არ განირავს ქალაქს, ორი შეყვარებულია.

კრებულში „მხოლოდ სიყვარული“ ტანჯული ქალაქის სახეს ენაცვლება ქალაქი სავსე კინოთეატრის მხიარული სანახაობებით, ელექტრონული განათების ბრწყინვალეობით, მანქანების საყვირის ხმებით, აეროპლანების ხმაურით და სიყვარულის მოტივებით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს გამოვიდა იაროსლავ სეიფერტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრებული [Čtení 2014], რომელიც მოიცავს სტატიებს 1923 წლიდან დღემდე. კრებულში, რომლის მიზანსაც სეიფერტის პოეტიკის ცვლილებათა შესწავლა-გაანალიზება წარმოადგენს, განხილულია მისი შემოქმედების სხვადასხვა პერიოდები. საგულისხმოა, რომ პროლეტარული პოეზის პერიოდის შემდეგ პერიოდად გამოყოფილია „ავანგარდის პერიოდი“. იმ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ავანგარდულმა დაჯგუფებამ სახელწოდებით „დევეტსილ“ (Devětsil) თავდაპირველად მის გარშემო თავი მოიყარეს უმეტესწილად პროლეტარული მიმდინარეობის პოეტებმა, მოგვიანებით კი პოეტისტებმა. „დევეტსილი“ დაარსდა 1920 წელს, მის სათავეებთან სხვა პოეტებთან ერთად იდგა იაროსლავ სეიფერტი, იგი მუშაობდა ავანგარდული მანიფესტების ფორმულირებაზე, უპირველეს ყოვლისა კი პოეტიზმის მანიფესტზე. პოეტიზმი წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიაში მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მიმართულებას ლიტერატურასა და ხელოვნებაში და მისი დამფუძნებლების თვალსაზრისით ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მხატვრული პროგრამა, არამედ პოეტიზმს ცხოვრებაც ისე უნდა განეხილა, როგორც პოეზია. პოეტიზმის მიზანი იყო გარკვეული სამყაროს არაპოლიტიზირებული, ოპტიმისტური ხედვა. ამ იმპულსიდან ვითარდებოდა გარკვეული პოეტური სტილი [Slovník 1984: 278-279].

ვლადისლავ ნოვომესკი (1904-1976) სლოვაკური შემარცხენე პოეზიის უნიშვნელოვანესი წარმომადგენელი და სლოვაკური კულტურის მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელმაც თავისი შემოქმედებით დიდი გავლენა მოახდინა სლოვაკური პოეზიის შემდგომ განვითარებაზე. ნოვომესკის შემოქმედების საწყისი ეტაპზე გავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, უოლტ უიტმენის პოეზიამ, მეორე მხრივ კი ჩეხურმა პროლეტარულმა პოეზიამ და რუსმა პოეტებმა – ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და სერგეი ესენინმა. იგი შემოქმედებითი გზის დასაწყისში თავს პროლეტარულ პოეზიასთან აიგივებდა, ხოლო მე-20 საუკუნის 40-იან წლებში თავისი შემოქმედება პოეტიზმის და სიმბოლიზმის ელემენტებით გაამდიდრა. ნოვომესკიმ თავის პოეზიასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში წინა პლანზე სოციალური განზომილება წა-

მოსწია, ამასთან, იგი სინთეზური ავანგარდის კონცეფციის ავტორიც იყო და მას ასევე ეკუთვნის სოციალიზმისა და ქრისტიანობის მორგების იდეა. თავისუფლება ხელოვნებაში კი მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ლეიტმოტივაა. ლაცო ნოვომესკის პირველი კრებული – „კვირა“ (Nedel'a) (1927) მნიშვნელოვანი ეტაპია სლოვაკური პროლეტარული პოეზიის განვითარებაში, სადაც გარდა სოციალურ თემატიკაზე შექმნილი უამრავი ლექსისა, არის მელანქოლიური, პირადი სევდით სავსე პოეტური ტექსტები და სტრიქონები.

საგულისხმოა, რომ ორივე პოეტის შემთხვევაში, რომელთა შემოქმედება პროლეტარული პოეზიით დაიწყო, შემდეგ პერიოდში პოეტიზმი შეენაცვლა, რომლის მიზანიც იყო სრული გათავისუფლება პოლიტიკისგან და ოპტიმისტური დამოკიდებულება სამყაროსადმი. პოეტიზმს აინტერესებდა მხოლოდ თანამედროვეობა და დადებითი მოვლენები. ლირიკული ნაწარმოებების ძირითადი თემატიკა უნდა ყოფილიყო სიხარულის და ბედნიერების გამოხატვა და მათთან დაკავშირებული ემოციები. პოეტური ხელოვნებისადმი ამ მიდგომის საფუძველში ძვეს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგი გაუცხოება ადამიანებს შორის და ადამიანთშორისი ურთიერთობების განმტკიცების, ამაღლების სურვილი. ამ დაჯგუფების პოეტები ამგვარი კრიზისული მდგომარეობაში დამნაშავედ მიიჩნევდნენ თავის თანადროულ საზოგადოებას, რომელსაც ნაკლებად აინტერესებდა ბედნიერები იყვნენ თუ არა მისი ცალკეული წევრები და რომელიც ახდენდა ეგოიზმის კულტივირებას, როგორც ერთდერთი სათნოებისას, რომელიც აუცილებელია კეთილდღეობისთვის. საზოგადოების სწორედ ამგვარი განვითარების წინააღმდეგ იბრძოდნენ თავისი ნაწარმოებებით პოეტიზმის წარმომადგენლები.

ლიტერატურა:

- Рубинский 2009:** Ю. Рубинский. Журнал «Вестник Европы» №26-27, статья Ю. Рубинского «Европейские ценности», <http://magazines.russ.ru/vestnik/2009/-26/ru3.html>).
- Dvojhlas 1985:** Dvojhlas: české a slovenské verše, 1900-1985. Praha: Československý spisovatel, 1985.
- Čtení 2014:** Čtení o Jaroslavu Seifertovi: Hledání proměn autorovy poetiky. Jiří Flaišman (ed.). Praha: Institut pro studium literatury, 2014.
- Slovník 1984:** Slovník literární teorie. Praha: Československý spisovatel, 1984.

Maia Nachkebia
Tradition of Christian and Democratic Values in Literature
(Some Aspects)

S u m m a r y

In the modern political dictionary the word “value” is one of the most spread term and it covers the principles of a family, society and state, which are shared by the majority of citizens, while the system of values in this case is a system of coordinates without which the identity is lost (Lat. *identitas*, „sameness”, conformity to something). Values are „rooted” in habits and traditions of nations, religion conceptions, rituals, legislative norms.

Tremendous contribution to the formation of European values belongs to the Enlightenment, the splended team of philosophers of the 18th century – Voltaire, Ruso and d’Alembert declaring critical mind. In European intellectual elites science gradually started to subdue religion as one of leading forms of public cognition and the encyclopedists established the notion of „human natural rights and a citizen”, which found its expression in immortal motto of the French revolution (1789) „Liberté, égalité, fraternité“ („Liberty, Equality, Fraternity”) while the revolution of 1789 turned out the powerful impulse of national feelings in European nations. The revolution of 1848 left to Europeans and inherited to them the right of self-identification as the principle of international law and as the moral value.

Democracy and national idea appeared to be a driving force for the 19th century European modernization, which enriched its system of spiritual values. In the middle years of the 19th century the first industrial revolution intensified the movement of workers, which turned out very productive soil for socialism. In all socialistic directions at the level of values – Utopian, Social-Christian, Marxist, Anarchy-Syndicalism and finally in the Communistic – the strife to social justice was a driving principal force.

In the 20ies of the 20th century the sufferings caused by the first world war gradually faded and optimistic tone, the exaltation incited by the fight for justice and for more human world was heard more frequently, loudly and distinctly. At this time, in the poetry of some European countries the new directions, e.g. the Proletarian poetry were formed, which brought nearer the poets to the working class and the hatred to war and the fight against social oppression connected them.

ინგა სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში განათლების უმაღლესი საფეხური ის ეტაპია ცხოვრებისა, როცა მეცნიერული საკითხებით ხდება დაინტერესება. მართალია, ქართული ლინგვისტური სკოლების ჩამოყალიბება XX საუკუნეს უკავშირდება, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ფუნდამენტური კვლევების საფუძველი წინა საუკუნემ შექმნა. სწორედ ამ დროს ქართველთა მცდელობანი, შეედგინათ სხვადასხვა სახის ლექსიკონები, ზოგ შემთხვევაში თვითნასწავლი ლექსიკოგრაფის სპონტანურ სურვილს გამოხატავდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამგვარ ნაშრომებს მაინც დიდი ფასი აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ლექსიკოგრაფიას ძირითადად პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათი აქვს და კონკრეტული ლექსიკონის განსაკუთრებულობა მართებულად სელექციონებული სალექსიკონო ერთეულების მოძიებითა და სალექსიკონო პრინციპების ასევე მართებული შერჩევით განისაზღვრება. ჩვენს შემთხვევაში საქმე ეხება დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, კოტე ყიფიანის, მიერ შედგენილ ლექსიკონებს, რომელთა ნაწილი დღემდე არ არის გამოცემული და რომლებიც ხელნაწერების სახით თბილისში განთავსებულ კინოსა და თეატრის მუზეუმში ინახება. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება „ბოტანიკური ლექსიკონი“, ანუ „ქართულ-რუსულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი“, და „აკადემიური ლექსიკონი“.

ფაქტია, რომ როგორც მანამდე, XIX საუკუნეშიც ქართული არისტოკრატიისათვის ევროპულ აზროვნებასა და მეცნიერებასთან ზიარება უმნიშვნელოვანესი გეზი იყო, თუმცა რუსეთის იმპერიის პირობებში ბევრი რამის კეთება არ ხერხდებოდა. მოაზროვნეთა თვალსაწიერი მაინც ფართო იშლებოდა და მკაცრი რეალობის სცდებოდა, მომავალს ქვრეტდა. კოტე ყიფიანის (1849 – 1921) მოღვაწეობის პირველი პერიოდი ძირითადად 60-იანელთა ეპოქას დაემთხვა და, როგორც მართებულადაა შენიშნული, ამ დროებამ „საქართველოში ახალი იდეები მოიტანა: ფილოსოფიაში – მატერიალიზმი, ესთეტიკაში – უტილიტარიზმი, ლიტერატურაში –

რეალიზმი, სოციოლოგიაში – უტოპიური სოციალიზმი ... მთელი სისტემით ჩამოაყალიბა განმანათლებლობა, როგორც მოქმედების პროგრამა. ცხოვრებამ მოითხოვა მრავალმხრივობა, ენციკლოპედიური ცოდნა, და გასაკვირი აღარ არის, რატომ გვევლინებიან ერთი და იგივე ადამიანები მრავალი დარგის წარმომადგენლებად“,- წერს გ. ჯიბლაზე [ჯიბლაძე 1974: 34]. სწორედ განათლების მიზანი შეაპირობებდა მრავალი დარგის განვითარების აუცილებლობას და ამ თვალსაზრისით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას სჭიროებდა. და, აი, დიმიტრი ყიფიანის ვაჟი, კოტე ყიფიანი, ლექსიკონების შედგენას იწყებს. სასცენო მოღვაწეობით გატაცებული ხვდება, რომ საზოგადოების განათლებისა და ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო, ხოლო ამ გზაზე უკანდახევა არ არსებობს.

ვფიქრობთ, რომ მცირეოდენი მაინც უნდა ითქვას თავად კოტე ყიფიანის შესახებაც. რადგან იმ დროის საქართველოში საუკეთესო განათლების მიღება მწყობრი საგანმანათლებლო სისტემის გამოთითქმის შეუძლებელი იყო, დიმიტრი ყიფიანის ოჯახში გუვერნიორებისა და კერძო პედაგოგების ფართო წრე ტრიალებდა. მათ შორის იყვნენ: მღვდელი მიცკევიჩი, მონასტირსკი, ფონ დერ-ნონე, შამაევი, ფრანგი ეროვნების მოსიე სიმონი და სხვანი [დავითაია 1975: 11]. ოჯახურ პირობებში ცოდნის მიღებას თბილისის გიმნაზია, ხოლო მოგვიანებით მოსკოვის ახლად დაარსებული პეტრე I-ის სახელობის, ე.წ. პეტრო-რაზუმოვსკის სამეურნეო-სატყეო აკადემიაში (ტიმირიაზევის სახ. აკადემიაში) სწავლა მოჰყვა. საბოლოოდ, საქართველოში დაბრუნებული კოტე ყიფიანი თავისსავე ეპოქაში ის ერთადერთი ქართველი იყო, რომელსაც სამეურნეო განათლება ჰქონდა მიღებული.

კოტე ყიფიანის ბიოგრაფი – ივ. გომართელი – იგონებს, თუ როგორ ვერ უთარგმნია ბორჯომის ხეობაში მყოფი რუსი გენერლისთვის, მურავიოვისთვის, ერთ-ერთ თანმხლებ ქართველს „მურყნის ხის“ (რუს. „Ольха“) დასახელება რუსულ ენაზე და რამდენი უცინია ამის თაობაზე დიმიტრი ყიფიანის ვაჟს. „აი ამ გარემოებამ დაუბადა კოტეს განზრახვა რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის შედგენისა. საცა კი ბოტანიკური შინაარსის სიტყვას შეხვდებოდა, იწერდა უბის წიგნში ქართულად და რუსულად. ცამეტი წლის განმავლობაში აგროვა კოტემ ამგვარად მასალა და შეადგინა საკმაოდ მოზრდილი რუსულ-ქართულ-ლათინური საბოტანიკო

ლექსიკონი, სადაც 2300-ზე მეტი სახელებაა მცენარეებისა“ [გომართელი 1964: 110].

თავად ლექსიკონის დასახელებაც მონიშნავს, რომ ავტორ-შემდგენელი კარგად აცნობიერებდა იმას, რომ თავისი ნაშრომით ის, ერთი მხრივ, მყიდვე საგანმანათლებლო სივრცეში საფუძველს უყრიდა ბოტანიკის მეცნიერების შემდგომ განვითარებას და, მეორე მხრივ, ლათინური სალექსიკონო შესატყვისებით მომხმარებელთა წრეს აფართოებდა, ეს კი ქართველთა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქცევასაც გულისხმობდა. მართალი შემფასებელნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დაახლოებით 2300 სიტყვის სამენოვანი თარგმანება კოტე ყიფიანისაგან რუტინულ შრომასთან ერთად საკმაო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. თვითნასწავლი ლექსიკოგრაფის სურვილი დიდი მიზნისკენ სწრაფვისა მაშინდელი მონინავე ქართული საზოგადოების ნაბიჯებს ფეხდაფეხ მისდევდა. კოტე ყიფიანის ოჯახში ეროვნული აზროვნების გაღვივების აუცილობლობა ცხარედ დუღდებოდა, ქართული სახელმწიფოს კონტურები იხაზებოდა და დედაენის, როგორც ეროვნული ცხოვრების საყრდენის, როლი გამორჩეული სიცხადით იწეოდა წინა პლანზე. კოტე ყიფიანი არა მხოლოდ გარეგანი დამკვირვებელი იყო ამ ყველაფრისა, არამედ მომხსნე, გონიერი მჭვრეტელი და თვითმხილველი. გ. თავზიშვილი იაკობ გოგებაშვილის ღვანლის აღწერისას შენიშნავს: „1876 წლიდან იაკობ გოგებაშვილი დაულაღავ მუშაობას ეწეოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისათვის. მას განზრახული ჰქონდა, საზოგადოების თავმჯდომარედ ისეთი გავლენიანი პირი აერჩიათ, რომელსაც, მისი თქმით, „დიდი სახელი და პატივი აქვთ საზოგადოებაშიც და მთავრობის წრეებშიც“. ასეთ პირად მიჩნეულ იქნა თბილისის ქალაქის თავი დიმიტრი ყიფიანი, ... ამიტომ ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ გადანყვიტეს წესდების დამუშავება დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ენარმოებიანათ. შეხვედრას, ანუ კრებას, ამ ოჯახში აწყობდნენ კვირაში ერთხელ, შაბათობით“ [თავზიშვილი 1974: 307]. ამრიგად, ნათელია, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების იდეის გარშემო მიმდინარე საკითხები თუ სამომავლო გეგმები დიმიტრი ყიფიანის ოჯახურ გარემოში განიხილებოდა, შინაურულ ატმოსფეროში კი უსათუოდ ითქმებოდა ისეთი რამ, რაც რუსული ცენზურის გამო გარე განხილვის საგნად ნაკლებად შეიძლება ქცეუ-

ლიყო. ამ ყველაფრის პირდაპირი თუ არა, ირიბი მონაწილე მაინც იყო კოტე ყიფიანი, რომელიც ასაკით საკმაოდ ახლოს იდგა ი. გოგებაშვილთან. ისინი არსებითად ერთ თაობას მიეკუთვნებოდნენ (მათ შორის მხოლოდ ცხრანლიანი სხვაობა იყო) და ახალგაზრდული ენთუზიაზმითა თუ მონდომებით, თავისი ქვეყნისადმი მისაბაძი ერთგულებითა და უკომპრომისო ბრძოლით ენეოდნენ უღელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე, როგორც შეეძლოთ, რითიც შეეძლოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არავინ დავობს იმის თაობაზე, რომ ლექსიკოგრაფიას, როგორც დამოუკიდებელ დარგს, უპირატესად პრაქტიკული, უტილიტარული ხასიათი აქვს [კასარესი 1958: 199] და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთელი მისი განსაკუთრებულობა ლექსიკის შეჩვენასა და მართებული სალექსიკონო პრინციპების ხელოვნებაში ძევს. მართალია, სარედაქციო კომისიის წევრები ქვემოთ მოყვანილ დასკვნით წინადადებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესავალ ნაწილში ამბობენ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამგვარი დანასკვი თავისი არსით უნივერსალურია და ზოგადად ეხება თითოეული სახეობის (განმარტებითის, თარგმნითის, ტერმინოლოგიურისა თუ სხვ.) ლექსიკონის ღირებულებას. ვკითხულობთ: „ლექსიკონი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული სამწერლობო ენის ზრდა-განვითარების პროცესს“ [ახვლედიანი 1950: 007]. სწორედაც რომ, ქართული ენის ზრდა-განვითარება, მეცნიერული საფუძვლების შექმნა იყო ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებზეც პრაქტიკული მუშაობა წამოიწყო კ. ყიფიანმა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ის ფრანგული და რუსული ენების საუკეთესო მცოდნე იყო, ამიტომ კარგად იცნობდა ამავე ენებზე გამოცემულ ლექსიკონებსა თუ მათს შინაარსსა და აგებულებას. ამასთან, კარგად აცნობიერებდა ასეთივე ლექსიკონების შექმნის აუცილებლობას კონკრეტული დარგების წინსვლისა და ასევე მართებული, უშეცდომო თარგმანის განხორციელების კუთხით.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ლექსიკოგრაფია მნიშვნელოვნად წინ არის წასული, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე კოტე ყიფიანსა და XIX საუკუნის ნაშრომებს შეეხება. სპეციალური ლინგვისტური ცოდნის არმქონე ადამიანი ისე გაიტაცა თურმე ამ საქმემ, რომ მას მალევე განუზრახავს, შეექმნა „აკადემიური ლექსიკონი პავლენკოვის ენციკლოპედიური ლექსიკონის მსგავსად“-ო,- წერს ივ.

გომართელი [გომართელი 1964: 110]. სალექსიკონო ერთეულთა შერჩევის წესიც თავად შეუმუშავებია – კითხულობდა „ბიბლიას“ და ცალ-ცალკე ქალაქებზე ინერდა ყველა იმ რუსულ სიტყვას, რომელთა შესატყვის-შესაფერისი ქართული ლექსიკური ერთეულები უნდა დაეძებნა. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ მოანდომა კოტე ყიფიანმა „აკადემიურ ლექსიკონზე“ მუშაობას თხუთმეტი წელი. დასაანანი მხოლოდ ის არის, რომ ასეთი მუშაკობით შექმნილი ნაშრომი დღემდე არ გამოცემულა. ის ქართული მეცნიერების ისტორიის ერთი საფეხურია და ღირებული მცდელობა იმისა, რომ ქართულ ენაზე შექმნილიყო ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი, ხოლო ეს სახეობა, ანუ „ენციკლოპედიური ლექსიკონი ხსნის მხოლოდ ცნებებს – მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ტერმინებს“ [ახვლედიანი 1950: 007]. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ლექსიკონები (როგორც ბოტანიკური, ისე – აკადემიური), რომლებიც ასეთი ძალისხმევითაა შედგენილი, დღემდე ფაქტობრივ უცნობია ფართო საზოგადოებისა და ქართული სამეცნიერო წრეებისათვის.

ახლა ჩვენს ყურადღებას იმ ერთადერთ ლექსიკონზე გადავიტანთ, რომელიც 1896 წელსაა გამოცემული და რომელიც თარგმნითი ხასიათისაა. მას „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ეწოდება [ყიფიანი 1896]. როგორც ჩანს, ავტორმა ვერც ამ ნაწილში უღალატა არჩეულ გზას და აქაც ქართული მეცნიერების მომავალი განვითარების მიზნით არაერთი სალექსიკონო ერთეული განათავსა ასტრონომიის, ზოოლოგიისა და მინერალოგიის დარგებისათვის გამოსადეგი შესატყვისებით.

უპირველესად ვიტყვით იმას, რომ ანბანური პრინციპი ის საერთო და ფუნდამენტური ღირებულებაა, რომლის გარეშეც საერთოდ წარმოუდგენელია ნებისმიერი ლექსიკის სალექსიკონო ფორმაში მოქცევა. რასაკვირველია, უძველესი და უმარტივესი საძიებო საშუალება – ანბანური რიგი – არც კოტე ყიფიანის ლექსიკონშია დარღვეული, მაგრამ აქვე ნათელი ხდება, რომ ავტორს სხვა, გამოკვეთილი მიზანიც აქვს, ეს კი დამუშავებული მასალის თემატური განლაგებაა. როგორც ჩანს, ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ თარგმანის სისწორისათვის შეარჩია ავტორმა, არამედ, ცხადია, რომ თემატურ ფორმას კოტე ყიფიანმა საგანმანათლებლო ფუნქციაც დააკისრა. მან რუსული იმპერიის სივრცეში განათლებამიღებულ ქართველს მშობლიურ ენაზე მართებული ქართული შესა-

ტყვისების გამოყენების საშუალება მისცა და, როგორც აღვნიშნეთ, მისი მოქმედება ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებით, სათანადო ტერმინოლოგიური ბაზის შექმნით იყო მოტივირებული. ლექსიკონის შესავალ სტატიაში კ. ყიფიანი შენიშნავს: „ასეთი ლექსიკონი უდავოდ მოუტანს სარგებელს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე დანარჩენ მკითხველ საზოგადოებას. საზოგადოდ, უკეთესი იქნება, რომ გამოქვეყნდეს მეტი ასეთი სახის ლექსიკონი ან თუნდაც უბრალოდ სიტყვათა კრებულები, რომლებიც სხვადასხვა ტექნიკურ ცოდნას შეეხება“ [ყიფიანი 1896: 1-2]¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში, მაგალითად, ასტრონომიის მეცნიერებასთან დაკავშირებული სიტყვებისა თუ ტერმინების მომძლავრება, ერთი მხრივ, ბერძნულ-ლათინური ენების უდიდეს ზეგავლენას (Венера [планета] - აფროდიტა; ან: Июль - ივლისი), ხოლო, მეორე მხრივ, არაბთა ბატონობის ხანას, კერძოდ, VII-X საუკუნეებს უკავშირდება, რადგან ცნობილია არაბთა განსაკუთრებული ცოდნა ვარსკვლავთმრიცხველობისა. სწორედ ამ დროს შემოდის და ნასესხობების სახით დიდი რაოდენობით იღეჭება არაბული ლექსიკა, ამიტომ კოტე ყიფიანისეულ ლექსიკონში რუსული სალექსიკონო ერთეულების ქართულ თარგმანებში ხშირია არაბული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულების მისადაგება სათანადო შესატყვისებად. ბ. ფოჩხუა შენიშნავს: „ქართული ენის ლექსიკურ ფონდში გარკვეული ადგილი უჭირავს შეთვისებულ მასალასაც და ეს ბუნებრივია. ცნობილია, რომ „წმინდა“, „შეურეველი“ ენა საზოგადოდ არ არსებობს. ხალხების კონტაქტები მეტად თუ ნაკლებად აისახება მათ ენებში, განსაკუთრებით – ლექსიკაში. ეს კონტაქტები კი თავისთავად აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა-განვითარებისათვის [ფოჩხუა 1974: 342]. მართალია, არაბული წარმომავლობის ასტრონომიული ლექსიკის დიდი ნაწილი დღეს უკვე არქაულ ფონდში ირიცხება (და ასე იყო XIX საუკუნეშიც), მაგრამ ლექსიკოგრაფისათვის მთავარი ზუსტი შესატყვისობის დადგენა და ამ თვალსაზრისით შეუცდომლობა აღმოჩნდა. მაგალითად, თუკი თანამედროვე ქართულ ენაში გამოიყენება ინტერნაციონალიზმები „ასტრონომია“ და „სატურნი“, კ. ყიფიანთან ისინი არაბული წარმომავლობის შესატყვისებითაა

¹ შენიშვნა: კ. ყიფიანის მიერ ლექსიკონის შესავალი სტატია დაწერილია რუსულ ენაზე, ამიტომ თარგმანი ჩვენია.

განმარტებული და გვაქვს: *Астрономия* – მუნეჯიბობა; ან: *Сатурн* (планета) – ზოჰალი. ფაქტია, რომ ევროპული მეცნიერული კულტურის გავლენამ ქართულ ენაში მოქმედი არქაული ლექსიკა რამდენადმე გაცვითა, თუმცა დასახელებულ ლექსიკონში ფიქსირებული ლექსემები დღესაც განეკუთვნება ქართული სალიტერატურო ენის საერთო ფონდის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს. თვით შოთა რუსთველიცა და მისი ეპოქაც ასტრალური ლექსიკის ერთ ჯგუფს არაბული ნასესხობებით რომ იცნობს, ამას „ვეფხისტყაოსნის“ ის პასაჟიც აცხადებს, როცა ნესტანის საძებნელად ფრიდონისაკენ მიმავალი ავთანდილი მნათობებისადმი შემართავს ლოცვას. „მო, ზუალო“, ან: „ჰე მუშთარო, გეაჯები შენ...“ [ვეფხისტყ. 1966: 185], ვფიქრობთ, რომ ნათლად აცხადებს რუსთველის ეპოქის სალიტერატურო ენის სინქრონულ დონეს, თუმცა იმავდროულად კარგად წარმოაჩენს არაბული ნასესხობების განლაგებას ამავე ქართულ სალიტერატურო ენაში. კოტე ყოფიანიც სალიტერატურო ენის საფუძვლებს დაყრდნობილი ეძიებდა ქართულში შესატყვის ოდენობებს, განვითარების საერთო ხაზს მისდევდა და აკადემიზმის ფარგლებიდან არ გადიოდა. ვფიქრობთ, რომ ეს ის ნაწილია, რომელშიც მას უცდომელი გეზი აქვს აღებული და რომელიც მისი ნაშრომის უაღრესად ღირსეული და ფასეული საყრდენია. ერთი სიტყვით, ენა ამა თუ იმ კულტურის პროდუქტი და მისი მოქმედების იარაღია, რომლის მომართვა არაერთი მიზნითაა შესაძლებელი; XIX საუკუნეში კი თითოეული ნაბიჯი მოწინავე თუ მოაზროვნე საზოგადოებისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებასა და მათი პროგრესულობის დიადი მიზნისაკენ მიისწრაფვოდა, კოტე ყოფიანი კი ერთი „უბრალო“, მაგრამ ღირსეული ჯარისკაცი იყო მათ შორის.

დაბოლოს, ქართული სახელმწიფოებრიობისა და მეცნიერების მომავლის სწორი ქვრეტა, ამ კუთხით მიზანმიმართული მუშაობა, ვფიქრობთ, რომ კოტე ყოფიანს ახასიათებს არა მხოლოდ, როგორც ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთი საფეხურის შემოქმედს, არამედ – როგორც პრინციპულ და საღად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეს.

ლიტერატურა:

ახვლედიანი 1950: ახვლედიანი გ., ვაჩნაძე ს., კუპრაძე ვ., ლომოური თ., თოფურია ვ., ჩიქობავა არნ., წერეთელი გ., წინასიტყვაობა, ქართული ენის

- განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), გვ. 005-017, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.
- გომართელი 1964:** გომართელი ივ, კოტე ყიფიანი, წიგნში: „მოგონებები, წერილები“, თბილისი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
- დავითაია 1975:** დავითაია ე., კოტე ყიფიანი, თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1975.
- ვეფხისტყ. 1966:** შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- თავზიშვილი 1974:** თავზიშვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 304-325, ტ. IV, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1974.
- კასარესი 1958:** კასარესი ხ., თანამედროვე ლექსიკოგრაფიის შესავალი, მოსკოვი, 1958, გამომცემლობა „უცხოური ლიტერატურა“ [ნაშრომი გამოცემულია რუსულ ენაზე – Касарес Х., Введение в современную лексикографию (Перевод с испанского Н.Д. Арутюновой), Москва, изд. Иностранной литературы, 1958.
- ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1974.
- ყიფიანი 1896:** ყიფიანი კ., რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1896, ევ. ხელაძის ტიპოგრაფია (ნაშრომი გამოცემულია რუსულ ენაზე – Кипиани К.Д., Русско-грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминов и технических слов (составил Конст. Димит. Кипиани), тифлис, Типография Ев. Ив. Хеладзе, 1896.
- ჯიბლაძე 1974:** ჯიბლაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 34-115, ტ. IV, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1974.

Inga Sanikidze 19th Century Georgian Lexicography on the Example of Kote Kipiani's Works

S u m m a r y

Indeed, the formation of Georgian linguistic schools is related to the 20th century, however, it should also be noted that the previous century created the foundation for fundamental studies. The attempts made on the part of the Georgians to compile various types of dictionaries in some cases suggested a spontaneous desire of a self-taught lexicographer, yet such attempts are still highly valuable. Unquestionably, lexicography is mainly of

practical and applied nature, and a unique character of a particular dictionary is achieved by finding appropriately selected lexical units and an equally appropriate selection of dictionary principles. In the present case, this involves dictionaries compiled by Kote Kipiani, the son of D. Kipiani, part of which has not yet been published so far and which are preserved in the form of manuscripts at the Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography in Tbilisi. These include *Georgian-Russian-Latin Botanical Dictionary* and *Academic Dictionary*.

Kote Kipiani with his excellent expertise in French and Russian languages was well aware of underachievement of countries under the Russian imperial rule in this respect. He was striving for the development of particular fields, on the one hand, and aiming to achieve the purity of the Georgian language, on the other, because the language of the Russian-educated Georgians was characterized by excessive use of barbarisms. Producing a truly flawless translation by someone without specific linguistic knowledge is the most intricate task, therefore, it took Kote Kipiani fifteen years to work on the *Academic Dictionary*.

The *Russian-Georgian Dictionary* was the only one published [1896]. It features particularly interesting entries in the fields of mineralogy, astronomy, and zoology. The *Russian-Georgian Dictionary* should have become the basis for development of specific fields within the scope of the Georgian language, and the dictionaries compiled by K. Kipiani allowed for the use of appropriate lexical units in the mother language. A proper vision of the future of the Georgian science and the relevant persistent work towards accomplishing it distinguishes him not only as an author at a particular stage in the development of the Georgian lexicography but also as a man of principle and a sensible public figure.

თამარ შარაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იყო თუ არა აკაკი მეორე დასის წარმომადგენელი?

აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარნი მას 60-იანელ მოღვაწედ მიიჩნევენ. თუცა არსებობს მოსაზრებაც, რომ 70-80-იანი წლებიდან აკაკი შეუერთდა მეორე დასს და ნიკო ნიკოლაძის ჯგუფის წევრი გახდა. ამაზე მიუთითებს ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მკვლევარი ს. ხუნდაძე. თუ რამდენად შეეფერება მოცემული მოსაზრება სიმართლეს, ამის გასარკვევად უნდა გავვიხსნოთ ერთმანეთისგან პირველი და მეორე დასის შეხედულებები და წარმოვაჩინოთ აკაკის ადგილი ან ერთის ან მეორის მხარეს. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულში“ მოღვაწეობა (ეს უკანასკნელი 1870-1873 წლებში ნიკო ნიკოლაძის უშუალო თანამშრომლობითა და ხელმძღვანელობით გამოდიოდა) ჯერ კიდევ არ ნიშნავს მწერლის მიკუთვნებას ან ერთი ან მეორე ჯგუფისადმი. ამაზე პასუხი აკაკის მხატვრულმა და პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ უნდა გავცეს.

პირველ და მეორე დასებს შორის განხეთქილების ძირითადი მიზეზები იყო შემდეგი: მესამედასელთა აზრით, თერგდალეულებმა არ იცოდნენ პრაქტიკული ცხოვრება, რომელიც მუდმივ ცვლილებას თხოულობდა, მათ არ ჰქონდათ პროფესიონალური განათლება; მათ სიტყვასა და საქმეს შორის იყო ბზარი, რადგან გვერდში ძველ თაობას იყენებდნენ და „თავის დაღუნვაც“ შეეძლოთ, ისინი ცდილობდნენ წოდებათა მორიგებას, არ იყვნენ თავადებისთვის მიწის ჩამორთმევის მომხრენი, არ ჰქონდათ უარყოფითი დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი. მესამედასელთა აზრით კი, წოდებათა უთანასწორობას მოსპობდა ეკონომიკა და არა ერთმანეთისადმი სიყვარული, სასარგებლო შრომა გახდებოდა საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, რომელიც მხოლოდ დაბალ კლასს ხელენიფებოდა, თავადაზნაურობამ დაკარგა ყოველგვარი „სანარმოო“ მნიშვნელობა და ზედმეტ ბარგად იქცა; მთავარი საქმე გზებისა და გვირაბების გაყვანა, პორტის მშებებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, სასოფლო საქმიანობის ეფექტური წარმართვა იყო. ამ საქმეებს ინტელიგენცია უნდა გაძღოლოდა მთავრობისაგან დამოუკიდებლად. გლეხებს ერთობლივად უნდა გამოესყი-

დათ მინის ნაკვეთი მემამულეებისაგან და გაეფორმებინათ საერთო საკუთრებად; ისინი მომავალს მრენველთა კლასის, ანუ სამრენველო ბურჟუაზიის განვითარებაში ხედავდნენ. მათი პროგრამა სოციალისტურ-ბურჟუაზიული იყო, რომელშიც მეორე პლანზე იდგა ეროვნული ინტერესები. პირველი და მეორე დასის სამოქმედო პროგრამების გათვალისწინებით ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ აკაკი წერეთლის საზოგადოებრივი აზროვნება.

აკაკი მართლაც არ არის პრაქტიკული ქკუის ადამიანი. მთელი მისი ცხოვრება აგებულია საკუთარის უარყოფასა და სხვის რგებაზე, მას საკუთარი ბინაც კი არ ჰქონია არც თბილისში და არც ქუთაისში. ცხოვრების ცვლილებებს პოეტი, რა თქმა უნდა, მიჰყვება, მაგრამ თავის მრწამსს არასდროს ღალატობს. მისი პროფესია პოეტობაა და სხვა საქმიანობას არც შემდგომ შესდგომია. აკაკი სიტყვასა და საქმეს შორის ბზარად არ აღიქვამს საერთო საქმეში „ძველი თაობის“ გვერდში დგომას, რომელსაც თავის დროზე სასტიკად უპირისპირდებოდა. მისი შეხედულებები ამ თაობის მიმართ არც შემდგომ იცვლება. ამის დასტური აკაკის პუბლიცისტური წერილებია, სტატიები „ცხელ-ცხელი ამბების“ სახელწოდებით, აგრეთვე ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ მეორე ეტაპზე, 70-იან წლებში, გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსები: „პატრიოტის აღსარება“, „ხარაბუზა ღენერალი“, „კოლო-ბუზების პასუხი“, „დათვი ორბელიანი“ და „ფარშავანგი“. მეცნიერები სხვადასხვა აზრისანი არიან აკაკის 1879 წელს დაწერილი სატირული მიძღვნების ობიექტებთან დაკავშირებით. ეს მიძღვნებია: „გ.....ს“, „უ-ს“, „ნ...ს“. აქედან ერთ-ერთი ლექსის („უ-ს“) გამო ანტონ ფურცელაძემ აკაკისთან მკაცრი პოლემიკა გამართა. მის საპასუხო წერილში კი აკაკიმ აღნიშნა: ჩემს ვერც ერთ ნაწარმოებში ვერ იპოვით ადგილს, „სადაც პირადობით, მიდგომით, საზოგადო საქმესთან დამოუკიდებლად, ვისმეს კერძობას შევხებოდე და გამელანძლოსო“ (გაზ. „დროება“, 1879, # 223). შენიშვნა ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პიროვნულ სატირას აკაკისთან საზოგადოებრივი ხასიათი აქვს.

მართალია, აკაკიმ სიტყვით გაილაშქრა „მამათა“ თაობის წარმომადგენლებზე, მაგრამ ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია მწერლისთვის მათი ღვანლის წარმოჩენაში, რაზედაც მიუთითებს 1868 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი სტატია „რაოდენიმე სიტყვა შესახებ კ.ბ. ჯორჯაძისა“. მასში საუბარია ქართველი ქალის მოვა-

ლეობებზე საზოგადოების წინაშე. აკაკის „ღირსეულ დედაკაცად“ მიაჩნია ბარბარე ჯორჯაძე, რომლის სტატიებსაც ხშირად ეცნობა ჟურნალებში. აკაკი კრიტიკულადაც აფასებს ქართველ ქალს, მაგრამ მეტად აქებს, ვიდრე აკრიტიკებს: „მართალია ევროპიული მნიშვნელობა კი არა აქვს რა მის სტატიებს და მისს შრომას (და კიდევ რომ ჰქონდეს უადგილო იქნება ჯერ ჩვენში), მაგრამ იქიდან ცხადათა მოსჩანს, რომ მათ ავტორს სხვებსავე არა აქვს უბრალოთ გული გაქსუებული, მაგრამ კეთილად ამოქმედებს თვის გონებას და განჭვრეტაც საგნების რიგიანი და მართალი აქვს. დასამტკიცებლად ჩემის სიტყვისა წაიკითხეთ მისი ლექსი: „დედა შვილს!“ და მაშინ მიბრძანეთ, მართალს მოგახსენებთ თუ არა..“ [წერეთელი 1990: 29].

ზემოთ მოყვანილი სტატია მიგვითითებს, რომ აკაკი პიროვნულად არ აფასებს ადამიანებს და, მით უმეტეს, მწერლებს; მისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად სარგებლობა მოაქვთ მათ ქვეყნისთვის. იგივე შეიძლება ვთქვათ აკაკის მიერ მეორე დასის წარმომადგენელთა შეფასებაზე; მართალია, პოეტი ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობს და ჟურნალ „კრებულშიც“ აქვეყნებს თავის სტატიებს, მაგრამ ეჭვის თვალთ უყურებს ნიკო ნიკოლაძის მიერ ფოთის პორტისა და რკინიგზის მშენებლობის საქმეს და ქალაქ ფოთზე სატირას გამოთქვამს ფელეტონში „ცხელ-ცხელი ამბები“:

„სიცრუით ბერსა გვპირდება...
ამბობენ: გვიხვევს თვალსაო,
შტუკმეისტრებსა ამდიდრებს
და ხალხს კი ადებს ვალსაო“

[წერეთელი 2010: 163].

მართალია, სატირის პირდაპირი ობიექტი ქალაქი ფოთია, მაგრამ ირიბად დაცინვა მის „აღმშენებლებზე“ გადადის.

რაც შეეხება აკაკის პროზაულ ნაწარმოებებს, საკითხზე მსჯელობის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა აკაკის დაუმთავრებელი რომანი „იმერლები“, რომელიც 1875 წელს იბეჭდება „დროებაში“. რომანში მოქმედება ვითარდება ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ ფონზე. რუსეთიდან ბრუნდება ახალი თაობა – „ისინი“. მათ დავინწყებული აქვთ პიროვნული ინტერესები და საქვეყნო საქმისთვის უცემთ გული. ძველი თაობა – საზოგადოების

მყვლეფავი კუკნია და მისი გამოზრდილი ცუცნია – საგონებელში ჩავარდნილან. ისინი ველარ მოატყუებენ ხალხს, რადგან ყველამ კარგად დაინახა განსხვავება მათსა და ახალ თაობას შორის. აღარ ადგიათ ბრალდებები, რომ „ისინი“ „სარწმუნოების მოღალატეები არიან, წირვა-ლოცვაზე არ დაიარებიან, ნათესაობასა სტეხენო და სხვა“ [წერეთელი 2015: 249]. თავად სახელები – „კუკნია“ და „ცუცნია“ – სატირულია და ამ პერსონაჟთა სულიერ სიღარიბეზე მიგვანიშნებს. მათი დახასიათებაც სახელთა შესაბამისია. კუკნია მოხუცია, „გაიძვერობაში დასილაქნებული“, მისი გამოზრდილი ცუცნია კი ახალგაზრდა, მაგრამ გაიძვერობაში მოძღვარზე აღმატებული. მოძღვარმა და მოწაფემ გადანყვეტილება მიიღეს, ახალი თაობის ერთობა შიგნიდან დაამსხვრიონ „ისინისა“ და „იგინის“ ერთმანეთთან დაპირისპირებით. „იგინი“ ახალი თაობის „ეკლები“ არიან, ყვავილებთან ერთად აღმოცენებულნი, რომლებიც გაიძვერობით ძველს არ ჩამოუვარდებიან. მეორე თავში, სათაურით „იგინი“ და „ისინი“, წარმოდგენილია პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, რომელსაც თავკაცობს ორი „შუახნის“ სტუდენტი. ქართველ სტუდენტებში ასევე გამოირჩევა სამი ახალგაზრდა, რომელთაც თავკაცები და, მათგან გამომდინარე, რიგითებიც არ სწყალობენ. ერთი მათგანი ჩაფიქრებული და ჩუმია, ასაკით 18 წლის, აკაკი მას ახასიათებს ეპითეტით – „პირღია“; მეორე, კიდევ უფრო ახალგაზრდაა, „თითქმის იქ მყოფებზე ყველაზე უმცროსი“, ყურადღებას იქცევს სიცელქით, ხმარობს სათვალეებს, „რომელიც სრულიად არ ეჭირვებოდა მის შავს და სწორმხედველ თვალებს“, მესამე კი სულ იცინის და ხუმრობს. როგორც ჩანს, რომანში აკაკის ავტობიოგრაფიული მომენტები აისახა. ყველასთვის ადვილად საცნობია მოცინარი სტუდენტი, რომელიც თავად ავტორი უნდა იყოს, „მკვირცხლი და მოუსვენარი“ – ნიკო ნიკოლაძე, „პირღია“ კი – კირილე ლორთქიფანიძე. რომანის მესამე თავს, რომელიც დღევანდლამდე ცალკე ტექსტად მიიჩნეოდა, ქვესათაურად აწერია „რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან“. ამ თავში გამოყვანილი პერსონაჟი – არაფერა – პირველი-მეორე თავის მოცინარი სტუდენტი უნდა იყოს, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და კალმით ხელში შეუდგა დღიური მუშის ჯაფას, რაც მომავალში აუცილებლად გამოიღებდა ნაყოფს. პერსონაჟის მეგობრისადმი მიწერილი წერილი, რომელიც მესამე თავშია შესული, „ცელქი“ მეგობრისადმი – ნიკო ნიკოლაძისადმი – პოლემიკა უნდა იყოს. მოგვყავს ნანყვეტი

ამ წერილიდან: „...თესლი რომ პატარაა, საიდუმლოთ მიწაში იფარება და ნამყოფი კი დიდი და გამოცხადებულია, ნუ თუ მითი გგონია, რომ ერთმანერთზე ნაკლები იყვნენ? განა მთესველი მომკვლზედ უფრო წვრილმანი მუშაა? ... არა, ჩემო მეგობარო, ვერ გეთანხმები და ვერა; მე მინდა ვიყო დღიური მუშა და რასაც დღევანდელი დღე მომთხოვს სამუშაოთ, გინდ წვრილი იყოს გინდ სხვილი, შეძლებისდაგვარად დაუზოგველად ხელსა ვკიდებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქნებოდი პირადობის მიმყოფი და თავმოყვარე“ [წერეთელი 2016: 270]. რომანის ეს ნაწყვეტი შევადაროთ „ჩემი თავგადასავლიდან“ ნიკო ნიკოლაძის დახასიათებას და ადვილად აღმოვაჩინო მსგავსებას: „... საკვირველია, იმას ავინყდებოდა, რომ მთესველი იყო და ნათესი ხშირათ არა სჩანს ბნელ მიწაში, ხშირად ზედ ტალახი და თოვლი ეყრება, მაგრამ როცა გამოზაფხულდება, ერთბაშად იჩენს თავს!.. იმას კი უნდოდა, რომ მისი ნათესი მაშინვე ამოსულიყო და თვითონვე მოემკო კიდევ, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ უკიდურესობაში ჩავარდნილმა მალე გაიტეხა გული...“ [წერეთელი 2015: 99]. აკაკის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის პრინციპული სხვაობა, რომელიც ნიკო ნიკოლაძისა და მის შეხედულებებს განასხვავებს ერთმანეთისგან.

აკაკის მიერ კუკნიასა და ცუცნიას, ასევე ლიდერი სტუდენტების, დახასიათება მკაცრი სატირული ლექსიკით გამოირჩევა, სამი მეგობრის სახეები კი იუმორისტულია, რადგან მათი ქცევა – უადგილო სიცილი იქნება ეს, პირის დაღება თუ წამოყვრება – შეუსაბამობას ქმნის მათ პიროვნებასთან, ეს შეუსაბამობა კი გამონვეულია მათი პროტესტის გრძნობით სხვა სტუდენტებისადმი. ვფიქრობთ, რომანის დასრულებულ ვარიანტში ახალი თაობისადმიც იქნებოდა წარმოჩენილი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება, რაზეც მიგვანიშნებს ერთ-ერთ თავში მათი წარმომადგენლების მიმართ ნათქვამი სიტყვები: „ოთხის თუ ხუთის წლის განმავლობაში უმეტესი ნაწილი ამ ახალგაზრდა სტუდენტებისა დაბრუნდა საქართველოსკენ. თუმცა ცუდი დრო შეუხვდათ: ბატონყმობის გაყრა და სხვადასხვა რეფორმები, მაგრამ ძლიერათ მიიტანეს იერიში და რამდენიმე წელიწადს ასრულებდნენ პირობას [წერეთელი 2015: 261]. რამდენიმე წელიწადს პირობის შესრულება არ გულისხმობს იმას, რომ ახალ თაობას არც შემდგომ უღალატია თავისი მრწამსისთვის.

სამეცნიერო კრიტიკაში შენიშნულია, რომ დაუმთავრებელი რომანი „იმერლები“ შინაარსობლივად ახლოს დგას რომანის შემდგომ დაწერილ მოთხრობასთან „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“ და არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, აკაკიმ რომანის წერა შეწყვიტა იმ მიზეზით, რომ მოთხრობაში უფრო ლაკონურად გამოკვეთა სათქმელი. მოთხრობის პერსონაჟი ძველი ჩინოვნიკია, კუკნიასა და ცუცნიას მსგავსი. მოთხრობაშიც კვანძის შეკვრა ხდება უცხო ქვეყნიდან დაბრუნებული ახალი თაობის გამოჩენით, რომლის წარმომადგენლებსაც აკაკი „წვეროსნებად“ მოიხეჩიებს. აკაკი სატირულად აღწერს ძველი თაობის შულღს ახალი თაობისადმი და წარმოაჩენს ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ ზოგიერთ დეტალს, უმთავრესად კი მამათა თაობის, რომელიც ჩინოვნიკთა კასტასთან არის გაიგივებული, მანკიერებებს. აკაკი დაუნდობლად დასცინის „ძველ ჩინოვნიკებს“ და მიცვალებულებად წარმოგვიდგენს მათ.

„მამათა და შვილთა ბრძოლის“ ამსახველ მოთხრობებში აკაკის სატირის მთავარი ობიექტი გრიგოლ ორბელიანია. თუ „ჩემ თავგადასავალში“ აკაკი შეუნიღბავად, მაგრამ განონასწორებულად მსჯელობს გრიგოლ ორბელიანზე, სხვა მოთხრობებში ის წართაულს მიმართავს და აღარც ინდობს მას.

პიროვნული სატირის ნიმუშია აკაკის მოთხრობა „ახმედ-ფაშა კახაბერი“. სათაურს ფრჩხილებში ქვესათაურად „ნეკროლოგი“ აწერია. მოთხრობა 1872 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. ახმედ-ფაშაში მწერალი გრიგოლ ორბელიანს გულისხმობს, ხოლო ოსმალეთის მთავრობაში – რუსეთს. აკაკი მოგვითხრობს, რომ ეს ფაშა ორმოცი წლის წინათ მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს. მოთხრობა 1872 წელსაა დაწერილი, მაშასადამე, სამშობლოდან მოშორების მიზეზი 1832 წლის შეთქმულებაა. „მაგრამ შემდეგ, – განაგრძობს თხრობას აკაკი, – იქიდან დაბრუნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა, რომ ოსმალეთის მართებლობამ მიაქცია მას ყურადღება და გულუხვით დაანინაურა თავის ტომში“ [წერეთელი 2015: 35]. აკაკი ბოლომდე ვერ ან არ ნიღბავს სათქმელს და სულთანის მიერ შემოღებული ცვლილებებისადმი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის დამოკიდებულებას ძველი და ახალი თაობის რეაქციით აღწერს. მკითხველი ადვილად ხვდება, რომ საქმე ე. წ. მამათა და შვილთა ბრძოლას ეხება. ცვლილებებში აკაკი 1861 წლის გლეხთა განთავისუფლების მანიფესტს გულისხმობს, რომელმაც ძველი თაობის უკმაყოფილე-

ბა გამოინვია, ახალი თაობა კი გაახარა. მიუხედავად უკმაყოფილებისა, ძველი თაობის წარმომადგენლებმა ფარისევლურად, პირველი მიხილთ მიიღეს ცვლილებები და შურით აღივსნენ ახალი თაობისადმი, გამოუგონეს კიდევ მტრობის არაარგუმენტირებული მიზეზები. აკაკი გულისხმობს გრიგოლ ორბელიანის ლექსში - „პასუხი შვილთა“ - ჩამოყალიბებულ ბრალდებებს. აკაკის გრიგოლ ორბელიანი ახალი თაობისადმი ფარისევლურად თანამგრძნობივ გამოჰყავს, თუმცა მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. აკაკი შემდეგნაირად ახასიათებს გრიგოლ ორბელიანსა და მის „პატრიოტიზმს“: „იმას, თუმცა კი შეეძლო, მაგრამ თავის სიცოცხლეში თავის ქვეყნისათვის არავითარი კეთილი არ უქნია; ყოველთვის იმას ამბობდა, რომ მსურს, მაგრამ მეშინია, მაღალ ხარისხზედ ვდგევარ და ვერა ვბედაო, - თითქოს უშლიდა ვინმე! ცარიელი სიტყვით კი თავს არ იზოგავდა და კარგს მოძღვრებას გვაძლევდა. თუმცა, ვამბობ, ახმედ-ფაშას საქმით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ სიტყვა-ტკბილი და სიტყვა-მართალი იყო და ახალგაზრდობა დიდის სიყვარულით მიმართავდა და თითქმის ქვეყნიერ ღმერთადაც ხდიდა იმას“ [წერეთელი 2015: 36]. აკაკის აზრით, ახმედ ფაშას ფარისევლობას ფარდა ახადა მისმა „ბეზღებითმა ეფისტოლემ ახალგაზრდობისადმი“, რომელშიც „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტი იგულისხმება. ის ახალგაზრდა, რომელმაც „კახაბერს“ საკადრისი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს. როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში მთელი „მამათა და შვილთა ბრძოლა“ წართაულად აღწერილი. ფელეტონი ბოლოვდება ლექსით „ფარშავანგი“, რომელშიც გრიგოლ ორბელიანი დაშიფრულად „ორ-ბელიანი დათვია“. როგორც ვხედავთ, აკაკი 70-იან წლებშიც იმავე პოზიციებზე დგას „ძველი თაობის“ ჩინოვნიკ წარმომადგენლთა მიმართ, როგორც 60-იან წლებში იდგა.

„თაობათა ბრძოლის“ სახელით ცნობილი დაპირისპირების გამოძახილია აკაკის კიდევ ერთი ფელეტონი „პატრიოტის აღსარება“, რომელიც ასევე „დროებაში“ დაიბეჭდა 1875 წელს. მასში ეჭვქვეშა დაყენებული ძველი თაობის პატრიოტობა. აკაკი პირდაპირ ამბობს, რომ მათ პატრიოტობისათვის არა სცალიათ და მხოლოდ სუფრაზე, ქეიფის დროს ეუფლებათ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. აკაკი აღწერს ამ სუფრას - „ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად, მიყრილ-მოყრილი მწვანელი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავნახურული“ - და ამ აღწერით მკითხველს

გრიგოლ ორბელიანის ლექსს – „იარალის“ – ახსენებს; ამით მიუთითებს, რომ მისი სატირის მთავარი ადრესატი კვლავ გრიგოლ ორბელიანია. სატირა დაუნდობელია, პიროვნების მიწასთან გამასწორებელი: „განა შემიძლია შუშხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტულის ნერწყვით არ მესვლებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესაუდობარი არ ყოფილიყოს? ჯერ კიდევ შუა სმაშიც არა ვარ ხოლმე, რომ ჩემი ქვეყნის მტრები თვალწინ მეღანდებიან“ [წერეთელი 2015: 39]. ამ სიტყვებით აკაკი ზოგადად კიცხავს ქართველის გემოთმოყვარეობას და განსაკუთრებით კი ტრაბახს, პატრიოტად თავის წარმოჩენას სმის დროს.

აკაკი ასეთი ადამიანის „თავშეკავებულობას“ პატრიოტულ საქმეში ორი ირონიული მიზეზით ხსნის: პატარაობაში გასავალი არა აქვს ამ გრძნობის გამოხატვას, დიდკაცობის დროს კი ამჩატებად ჩაითვლება. ამიტომ სატირის ადრესატი უცდის დროს, როცა „მიზეზები თავის თავად მოისპობიან“ და მაშინ გამოაჩენს თავის „მამულიშვილობას“. ამ ბრალდებით აკაკი გრიგოლ ორბელიანს საყვედურობს, რომ თავისი ქვეყნისთვის არასოდეს ეცალა და მხოლოდ თანამდებობებიდან ჩამოშორებას ელოდა. სატირის ადრესატის აზრით, ასეთი მიდგომა მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშია, რომელსაც ჭკვიანი კაცი ვერ გაეცქევს. ის დარწმუნებულია თავის პატრიოტობაში, არ ესმის ახალი თაობის საყვედურები და ასე მიმართავს მას: „რაღას მთხოვთ, კოლო-ბუზებო? რა გამოდის ამ თქვენის ბზუილით, კოლო ბუზებო? და რას არიგებთ თქვენის აქა-იქ თრევით, ჭიანჭველებო?“ (იქვე). მკითხველს ახსენდება, რომ ასე იხსენიებს გრიგოლ ორბელიანი ახალი თაობის წარმომადგენელთ „პასუხი შვილთას“ პირველ ვარიანტში და ეჭვი აღარ შეაქვს ადრესატის ამოცნობაში. ფელეტონს ერთვის ამავე პერიოდში დაწერილი ლექსები – „ბობოლაების ბაიათი“ და „კოლო-ბუზების პასუხი“, რომელთა ადრესატი მთლიანად ძველი თაობაა, ახალ თაობას კი მორგებული აქვს დაჩაგრულის პოზა („ჩვენ, ქუდ-მოხდილფეხშიშველებს“), რაც აძლიერებს და მწვავს ხდის სატირას. როგორც ვხედავთ, ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ საკითხი მთელი სიმძაფრით აისახა აკაკის პროზაში როგორც 60-იან, ასევე 70-იან და 80-იან წლებშიც.

რაც შეეხება მეორედასელთა უარყოფით დამოკიდებულებას თავადაზნაურობისადმი, აკაკი, მიუხედავად გლეხობისადმი თანაგ-

რძნობისა და გლახთა რეფორმაში აქტიური მონაწილეობისა, იცავს თავადთა ინტერესებსაც. თავადობა არ მიაჩნია მას დამაკნინებელ წოდებად. აკაკის აღიზიანებს ჟურნალ „იმედის“ სოციალურობაზე გაკეთებული აქცენტები. „ცხელ-ცხელ ამბებში“ მწერალი „იმედის“ თანამშრომლებზე წერს, რომ ისინი ღირსებით გაიძახიან, თავადი და აზნაური წინაპარად არ გვყოლიაო, თითქოს ეს მომაკვდინებელი ცოდვა იყოს და მადლი მხოლოდ მღვდლის შვილზე გადადიოდეს. აკაკი შეახსენებს მათ სასულიერო წოდებაზე ხალხში საკმაოდ გავრცელებულ ლექსს:

„დიაკონო, კერასა
თავი გიგავს ძერასა.
აი თვალი კი დაუდგა
მაგ შენ კითხვა-წერასა!“

ამით აკაკი მინიშნებს, რომ ჟურნალის თანამშრომლების სოციალურ წარმოშობაზე საუბარი ზედმეტად მიაჩნია, ასევე მათი ასაკის მითითებაც [წერეთელი 1990: 250]. აკაკის სამარცხვინოდ მიაჩნია მათ მიერ ქართული ლიტერატურის შემდეგ პერიოდებად დაყოფაც: 1) თავადების (მავნებელ და საძაგელ), 2) აზნაურების (უმნიშვნელო და უსარგებლო) და 3) დიაკვნების (საიმედო) ლიტერატურად. პრესის ამ ახალი მუშაკების სრულყოფილების გასაბათილებლად აკაკის „ერთი იმერული მდაბიო“ ლექსი ახსენდება და მას „იმედს“ მიუძღვნის:

„ხახაია, ფრახაია,
თავს აცვია კვახაია!
მოდით და გამოიცანით,
პილნია და გლახაია“
[წერეთელი 1990: 251].

როგორც დავინახეთ, ზემოთ მოყვანილ სტატიაში აკაკი იცავს თავადაზნაურთა ინტერესებს, მწერლების კლასობრივი ნიშნით დაყოფა მიუღებლად მიაჩნია და ამის გამო სასტიკად აკრიტიკებს ჟურნალ „იმედს“. ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომლის გამოც აკაკი მეორედასეულად ვერ ჩაითვლება.

80-იან წლებში აკაკი ინტერესდება საქართველოდან მარგანეცის ექსპორტით და დანვრილებით შეისწავლის ამ საქმეს, რაც

აისახება კიდევ მის პუბლიცისტურ ნერილებში: „ქვა-გუნდის ამბავი“ და „შავი ქვა“. რა თქმა უნდა, აკაკი მომხრეა იმ სასარგებლო შრომისა, რომელიც საზოგადოების მამოძრავებელი უნდა გახდეს, მაგრამ ის არ უარყოფს მასში თავადაზნაურობის როლს. სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ აკაკი თავისი მრწამსით სამოციანელია და არც ერთ საკითხში არ ემიჯნება პირველი დასის წარმომადგენლებს.

ლიტერატურა:

წერეთელი 1990: წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

წერეთელი 2010: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 6, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2010.

წერეთელი 2015: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 7, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2015.

Tamar Sharabidze Was Akaki a member of the second troupe?

S u m m a r y

Scholars of Akaki's life and work consider him as a man of the 60's. a backbone of younger Georgian intellectuals forming an opposition to the Tsarist regime. However, there is an opinion that Akaki joined the second troupe in the 70-80s and became a member of Niko Nikoladze's group. This was indicated by a researcher S.Khundadze. To find out whether this view is true, we must distinguish between the views of the first and second groups and present the place of Akaki on either side of one or the other. Working for the newspaper "Droeba" and the magazine "Krebuli" (the latter was published in 1870-1873 under the direct cooperation and leadership of Niko Nikoladze) still does not mean that he belonged to Nikoladze's group. The answer to this must be given by Akaki's artistic and publicist work.

The main reasons for the rift between the first and second groups were as follows. According to the third troupe's, the Georgian intellectuals called "Tergdaleulebi" did not know the practical life that required constant change, They had no professional education; There was a rift between their word and deed as they used the older generation on their side, They tried to reconcile

the ranks, were not in favor of seizing lands for the nobles, had no negative attitude towards them. According to the third troupe's, the key to destroy the inequality between the ranks was the economy and not the love for each other, Useful labor would become the driving force of society, which could only succeed in the lower class, the nobility lost all "industrial" significance and became superfluous luggageThe main work was the construction of roads and tunnels, the construction of ports, the extraction of minerals, and the efficient management of agricultural activities. These cases were to be led by a group of intellectuals instead of the government. The peasants had to collectively redeem the land from the landlords and register it as common property; They saw the future in the development of the industrial class, or the industrial bourgeoisie. Their program was based on the socialist-bourgeois idea, while national interests were of a secondary quality. In the work we will try to present the public thinking of Akaki Tsereteli.

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და
თინათინ ჩირინაშვილი

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14 14 Ilia
Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # 6284; #6278
www.press.tsu.edu.ge

